ყველა ფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

დარჩა 42 დღე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 149 (12 525) 27 ივნისი პარასკევი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

EXCLUSIVE

## რას ელოდით ჩემგან?

ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან »»» 6





## ბედნიერი და მოტივირებული

### ლიპი ნამდვილად დაბრუნდა!

**როზერტო დონადონის** წასვლა ჯერ გაციებული არ იყო, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ მისი მემკვიდრე რომ დაასახელა. დიახ, რა თქმა უნდა, **მარჩელო ლიპი!**

ლიპი მეორედ შედის ერთ მდინარეში, მაგრამ ეს ის მდინარეა, სადაც ის თევზივით გრძნობს თავს. "არასოდეს თქვა - არასოდეს"! - ლიპიმაც ისროლა ცოტა ხნის წინათ ეს ფრაზა. საერთოდ, ასეთია მწვრთნელის ცხოვრება. ჩემოდნები მუდამ ჩალაგებული უნდა გქონდეს, დღეს საჭირო ხარ, ხვალ აღარ...

მაგრამ ლიპი ყოველთვის საჭირო კაცია. 2006 წლის 9 ივლისს ის არ წავიდოდა ნაკრებიდან, რომ არა მავანთა კაპრიზი, "კალჩოპოლის" სკანდალი და რალაც ამდაგვარი, თითიდან გამოწოვილი ამბები...

"ახალი" მწვრთნელის პრეზენტაცია 1 ივლისს შედგება. ამ დღიდან ის ხელახლა შეუყვება მუნდიალის გზას და ტიტულის დაცვას შეეცდება. შეძლებს? ვინ იცის...

"ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ, ბედნიერი და მოტივირებული. მომავალი კვირიდან ვიწყებთ..." - უთხრა ლიპიმ "ფედერკალჩოსთან" ჩასაფრებულ ჟურნალისტებს. მის ხელში (2004-06) "სკუადრა აძურამ" 29 მატჩი გამართა. მონაგარი ასეთია: 17 მოგება, 10 ფრე და 2 მარცხი.

მოგეხსენებათ, საქართველო და იტალია მუნდიალის შესარჩევში ერთად არიან. 6 სექტემბერს, **ჯოვანი ტრაპატონის** ირლანდიას ვმასპინძლობთ, 10-ში კი ლიპის იტალიას უნდა ვესტუმროთ. პატარა საქართველო ორი "დიდი მაესტროს" წინაალმდეგ. როგორია?

# რუსეთის წამალი ესპანეთია

### 29 ივნისს, ვენაში. ფინალი: გერმანია-ესპანეთი

»»» 8




სილვას გააქვს მესამე გოლი რუსეთის კარში

# აირჩიე, საქართველოვ!



ლეო ბეენჰაკერი



ჰექტორ კუპერი



ავრამ გრანტი



იოჰან ნეესკენსი



ალბერტო მალეზანი



ზიკო

»»» 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო. ამხანაგური მატჩი

# ინწკირველი უკვე დინამოელია

## მოსკოვში ოვონოსა და აკირემის გარეშე



რაინერ ცობელმა დინამოელები მოსკოვში ნასვლამდე დილმის ბაზაზე დამოძღვრა

დღეს, გამთენიისას თბილისის "დინამო" მოსკოვს გაემგზავრა. საქართველოს ჩემპიონი მოსკოვის "დინამომ" 85 წლის იუბილეზე მიიპატიჟა ამხანაგური მატჩისთვის, რომელიც ხვალ გაიმართება.

**რაინერ ცობელის** გუნდი რუსეთის დედაქალაქში ერთობ შესუსტებული შემადგენლობით წავიდა. დინამოელები მოსკოვში იქაური "დინამოს" ბაზაზე, ნოვოგორსკში დაბინავდებიან. თბილისელთა სიაში სულ 19 ფეხბურთელია, მათ შორის ერთი ახალწვეულიცაა - **ალექსანდრე ინწკირველი**. 26 წლის მცველი, რომელიც "ვიტ ჯორჯიიდან" გვახსოვს და ბოლო წლებში აზერბაიჯანულ "ქარვანში" ასპარეზობდა, ამიერიდან "დინამოს" ღირსებას დაიცავს. ინწკირველთან კლუბმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ცობელის გუნდის მოსკოვური ჩამონათვალი ასეთია:

მეკარეები: **გიორგი ლორია, გიორგი ლოსაბერიძე.**

მცველები: **შოთა კაშია, გურამ კაშია, გულვერდ თომაშვილი, მილოშ კრშკო, ოლეგ გველესიანი, გიორგი გუგავა.**

ნახევარმცველები: **დავით დილმელაშვილი, გიორგი ნერგაძე, დავით ოდიკაძე, ნიკოლოზ ფირცხალავა, ლევან ხმალაძე, , გიორგი ჯიშკარიანი.**

თავდამსხმელები: **გიორგი მერებაშვილი, ილია სპასოევიჩი, ზვიად ქანთარია, მათე ვაწაძე.**

ამ სიაშია კი არის **მათე ვაწაძე**, მაგრამ ის მოსკოვში თამაშს ვერ შეძლებს. რუსულ "დინამოსთან" ტრავმების გამო საეჭვოა **გიორგი მერებაშვილის, ოლეგ გველესიანისა** და **ილია სპასოევიჩის** თამაშიც. გაბონელი ლეგიონერები, მეკარე **დიდიე ოვონო** და ფორვარდი **ჯორჯ აკირემი** ეროვნულ ნაკრებთან ერთად ემზადებიან. აფრიკელები ცობელის გუნდს გერმანულ შეკრებაზე შეუერთდებიან, ისევე როგორც **ალექსანდრე ინწკირველი.**

"დინამო" მოსკოვიდან 29 ივნისს გერმანიას გაემგზავრება, სადაც ბადბლანკენბურგში დაბინავდება და 9 ივლისის ჩათვლით მოსამზადებელ შეკრებას გაივლის. ჩვენი ჩემპიონები გერმანიაში 5 ამხანაგურ მატჩს გამართავენ: 1 ივლისს ბადბლანკენბურგის ნაკრებთან, 3-ში "კარლ ცაისთან", 5-ში "ერფურტთან", 8-ში "აუესთან" და 9 ივლისს "ბაიერჰოფთან".

**დავით ცაბაძე**

ვიტ ჯორჯია. ამხანაგური მატჩები

# მუმლაძის გუნდი უკრაინაში გაფრინდა

საქართველოს ვიცე-ჩემპიონმა "ვიტ ჯორჯიამ" გუშინ და გუშინწინ ამხანაგური მატჩები გამართა. ჯორჯიელები გუშინ "ნორჩ დინამოელს" მეორე შემადგენლობით დაუპირისპირდნენ. შეხვედრა "ვიტელებმა 1:0 მოიგეს, გოლი 70-ე წუთზე **მიხეილ როსტიაშვილმა** გაიტანა.

"ვეტერინარებმა" "ნორჩ დინამოელთან" ასეთი შემადგენლობით იასპარეზეს:

**ღურბელეიშვილი, ადამაძე, კაიშაური, კასრაძე, კვალინაძე, ვასაძე, მაისაშვილი, ლანიაშვილი, ჯანელიძე, ბერიაშვილი, კიკნაძე.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **მეფარიძე, ინჯგია, როსტიაშვილი, ვეკუა.**

გუშინწინ კი ვიტჯორჯიელებმა თანაქალაქელ "ოლიმპიკთან" მოსინჯეს ძალები. **რამაზ მუმლაძის** გუნდმა 1:0 მოიგო. ეს ერთადერთი გოლი მე-14 წუთზე **ირაკლი კლიმიაშვილმა** გაიტანა. "ოლიმპიკის" წინააღმდეგ "ვიტ ჯორჯიამ" ამ შემადგენლობით იასპარეზა:

**ბედიაშვილი, ხურცილავა, ლ. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, ბეჭვაია, რაზმაძე, კლიმიაშვილი, ლიპარტია, გ. დათუნაიშვილი, მიქაძე.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **მიქაბერიძე, ყველაშვილი, მელქაძე, ლუჭაშვილი.**

"ვიტ ჯორჯიამ" საჩხერის "ჩიხურადან" მცველი **დავით ხურცილავა** დაიმატა. ვეტერინართა კლუბმა ხურცილავასთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ვეტერინარებმა მეორედან პირველ გუნდში გადაიყვანეს ნახევარმცველი **ლევან ლანიაშვილი** და ფორვარდი **მიხეილ როსტიაშვილი.**

დღეს კი "ვიტ ჯორჯია" ყირიმს გაემგზავრა. ვიტელები "კრიმტეპლიცას" ბაზაზე დაბინავდებიან და ამხანაგურ მატჩებსაც გამართავენ 3, 6, 8 და 10 ივლისს. მუმლაძემ ყირიმში 24 ფეხბურთელი წაიყვანა:

მეკარეები: **გრიგოლ ბედიაშვილი, არდალიონ მიქაბერიძე, შოთა ღურბელეიშვილი.**

მცველები: **დავით ლომაია, ლაშა კასრაძე, ლაშა ჯაფარიძე, გურამ ადამაძე, ამირან ყველაშვილი, ალექსი კაიშაური, დავით ხურცილავა.**

ნახევარმცველები: **გაგა ბეჭვაია, გიორგი კვალინაძე, გიორგი მელქაძე, დავით მაისაშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, გიორგი ჯანელიძე, გიორგი ვასაძე, ლუკა რაზმაძე, რევაზ ლანიაშვილი.**

თავდამსხმელები: **ჯაბა ლიპარტია, ვასილ ლუჭაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, მიხეილ როსტიაშვილი.**

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ნაკრები. მწვრთნელის საკითხი

# ხუთი ახალი კანდიდატი: კუპერი, ნეესკენსი, ზიკო, მალეზანი, ბეენჰაკერი

ევროპის ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება და ფეხბურთის ფედერაციამაც ეროვნული ნაკრების თავკაცის ძიება-შერჩევის საქმე გააქტიურა. გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ კანდიდატთა სიას "ჩელსის" ყოფილი თავკაცი **ავრამ გრანტი** დაემატა. გუშინ კი კიდევ 5 კანდიდატის ვინაობა გავიგეთ: არგენტინელი **ექტორ რაულ კუპერი**, ჰოლანდიელები **იოჰან ნეესკენსი** და **ლეო ბეენჰაკერი**, იტალიელი **ალბერტო მალეზანი** და ბრაზილიელი **ზიკო.**

*"დიახ, ავრამ გრანტი ერთ-ერთი კანდიდატია. ჩვენ შორის უკვე შედგა საუბარი. კიდევ არაერთი კანდიდატის გვარი გაჟღერდება და ყველა მათგანთან გვექნება კონტაქტი. შემიძლია დაგიდასტუროთ ისიც, რომ მალეზანი, ნეესკენსი და კუპერიც ჩვენი ნაკრების თავკაცობის კანდიდატები არიან. მათ პირადად მე არა, მაგრამ ჩვენი წარმომადგენლები, ამ საქმეზე მომუშავე აგენტები დაუკავშირდნენ. ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია. სულაც არ გამოვრიცხავ, რომ ამ სიას ხვალზეგ გამოაკლდეს ან დაემატოს ვინმე. ამ სიაში რჩებიან ადრე დასახელებული კანდიდატები - პეტარ სეგრტი, ფოლკერ ფინკე... ამ ჩამონათვალში არავინაა ფავორიტი. სია დაიწურება და ბოლოს რამდენიმე კანდიდატი დარჩება. ჩვენი ორიენტირია, რომ ეროვნულ ნაკრებს უკვე 1 აგვისტოს ახალი მწვრთნელი ჰყავდეს. მანამდე არსებული დრო კი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ამ საკითხზე, ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ უფრო მასშტაბურად ვიმუშავებთ და ასე ვთქვათ, საკითხს მეორე სტადიაში გადავიყვანთ",* - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა.**

ფედერაციის სხვა ხელმძღვანელებმა კი კიდევ ორი კანდიდატი დაგვიდასტურეს - ზიკო და ლეო ბეენჰაკერი.



ნაკრები ჯერჯერობით კვლავ უმწვრთნელოდაა

**იოჰან ნეესკენსი (ჰოლანდია)**

- 1951 წლის 15 სექტემბერს დაიბადა. ნეესკენსი 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატისას ჰოლანდიის ნაკრებში **გუუს ჰიდინკის** თანაშემწე იყო. სხვათა შორის, ავსტრალიის ნაკრების ჩაბარებისას, ჰიდინკმა თავად ისურვა ნეესკენსი ყოფილიყო მისი ასისტენტი, ვინც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჰოლანდიურ "ნიიმეგენსაც" წვრთნიდა.

**ლეო ბეენჰაკერი (ჰოლანდია)**

1942 წლის 2 აგვისტოს დაიბადა. 1979-81 წლებში "აიაქსის", 1981-84 "სარაგოსას", 1985 წელს "ვოლენდამის" თავკაცი გახლდათ. 1985-86 წლებში ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად მუშაობდა. 1986-89 წლებში მადრიდის "რეალს", 1989-91-ში "აიაქსს" წვრთნიდა. 1990 წელს ისევ ჰოლანდიის ნაკრები ჩააბარეს. 1992 წელს კვლავ მადრიდის "რეალის" თავკაცია. 1992-93 წლებში "გრასჰოპერსს" წვრთნის, 1993-94 წლებში საუდის არაბეთის ნაკრებს, 1994-95 წელს "ამერიკის", 1995-96 წლებში "ისტანბულსფორის", 1996 წელს "გვადალახარას", 1996-97 წელს "ვიტესის", 1997-2000 წლებში "ფეიენოორდის", 2000-03 წლებში "აიაქსის", 2003-04 წლებში ისევ "ამერიკ, ს", 2004-05 წლებში "გრააფსხაპის", 2005-06 წლებში ტრინიდადისა და ტობაგოს ეროვნული ნაკრების, 2006 წელს პოლონეთის ეროვნული გუნდის თავკაცია და ეს გუნდი.ვაიყვანა ევრო 2008-ის ფინალურ ეტაპზე. სხვათა შორის, ბეენჰაკერი "ფეიენოორდში" **გიორგი დემეტრაძის** მწვრთნელიც გახლდათ.

**ზიკო (ბრაზილია)**

- დაიბადა 1953 წლის 3 მარტს. 1999 წელს წვრთნიდა იაპონურ "კაშიმა ანტლერსს", 2002-06 წლებში იაპონიის ეროვნული ნაკრების თავკაცი იყო. 2006-08 წლებში კი თურქული "ფენერბაჰჩეს" მთავარი მწვრთნელი გახლდათ. 1990-91 წლებში ბრაზილიის სპორტის მინისტრი იყო. სამხრეთ ამერიკაში, მე-20 საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელებს შორის მე-7 ნომრადაა დასახელებული.

**ალბერტო მალეზანი (იტალია)**

- 1954 წლის 5 ივლისს დაიბადა. 1990-97 წლებში "კიევოში" ჯერ ახალგაზრდულ გუნდს წვრთნიდა, მერე მთავარი გუნდის მეორე მწვრთნელი იყო. 1993-97 წლებში კი "კიევოს" თავკაცად მუშაობდა. 1997-98 წლებში "ფიორენტინას" დამრიგებელი გახლდათ, 1998-2001 წლებში კი "პარმას" ხელმძღვანელობდა. სხვათა შორის, 1999 წელს "პარმამ" უეფას თასი სწორედ მალეზანის მწვრთნელობისას მოიპოვა. 2001-03 წლებში "ვერონას", 2003-04 წლებში "მოდენას", 2005-06 წლებში ბერძნულ "პანათინაიკოსს", 2007 წელს "უდინეზეს", ხოლო 2007-08 წლებში "ემპოლის" მთავარ მწვრთნელად მუშაობდა.

**ექტორ კუპერი (არგენტინა)**

1955 წლის 16 ნოემბერს დაიბადა. 1993-95 წლებში "ურაკანს" წვრთნიდა, 1995-97 წლებში "ლანუსს", 1997-99 წლებში "მალიორკას", 1999-2001 წლებში "ვალენსიას", 2001-03 წლებში იტალიურ "ინტერს", 2004-06 წლებში ისევ "მალიორკას", 2007 წელს "რეალ ბეტისის" მთავარი მწვრთნელი იყო. 2008 წელს "პარმა" ჩაიბარა.

**დავით ცაბაძე**

# ვინ იყო გრანტი ჩელსიმდე

ებრაელი **ავრამ გრანტი** საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცობის ერთ-ერთი კანდიდატი შეიქნა და რედაქციაში რამდენიმე გულშემატკივარმა დაგვირეკა : ვინ იყო გრანტი "ჩელსიმდე"?

53 წლის გრანტი "ჩელსის" მფლობელის, **რომან აბრამოვიჩის** მეგობარია და არც მიღწევებით არის ღარიბი.

თელავივის "მაკაბი" ორჯერ აჩემპიონა ისრაელში ( 1992/95) , ერთხელაც თასი ააწევია ( 1994), ჰაიფას "მაკაბიც" ორჯერ დაამშვენა ოქროთი, (2001/02), 2002-06 წლებში ისრაელის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო. 2006 წელს გრანტი "პორტსმუთის" ტექნიკურ დირექტორად დაინიშნა, ერთი წლის შემდეგ კი "ჩელსის" დირექტორად. შარშან სექტემბერში **ჟოზე მოურინიო** "ჩელსიდან" წავიდა და აბრამოვიჩმა გუნდი გრანტს ჩააბარა. გრანტის ხელში "ჩელსი" გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, ინგლისის "კარლინგის თასის" ფინალში და პრემიერლიგაში დაიკავა მეორე ადგილი - იყო წარმატებები, მაგრამ არ იყო ტიტული - გრანტი "ჩელსიდან" გაუშვეს და ახალი სამსახური უნდა აირჩიოს.

ავრამ გრანტის სამწვრთნელო კარიერა

**1986-91 ჰაპოელი ფეთახ-თიკვა**
**1991-95 მაკაბი თელ-ავივი**
**1995-96 ჰაპოელი ჰაიფა**
**1996-00 მაკაბი თელ-ავივი**
**2000-02 მაკაბი ჰაიფა**
**2002-06 ისრაელის ნაკრები**
**2007-08 ჩელსი**

**დავით თავართქილაძე**



დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **დავით მაისურაძე**, ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.**

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX.**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# დამსჯელი რაზმი და სირბილი დიღმის ტყეში




ფეხბურთი არის თამაში, რომელიც გრძელდება ოთხმოცდაათი წუთი და რომელსაც გერმანელები იგებენ. გარი ლინიკერის სიტყვები სადა და კოხტაა და ამიტომაც შემორჩა სენტენციად, თორემ ფებურთს ყოველთვის დიდი გუნდები ვერ მოიგებენ.

აგერ, რუსეთის ნაკრებმა აალაპარაკა მთელი ევროპა, ჩავრჩით, სადაც ვიყავით. საქრთველოს ყველაზე ლამაზი ქალაქია სოხუმი! არის ხმაური, არ არის მძვინვარება - დაახლოებით ასე უნდა იყოს ჩვენი საქმე. რუსებმა კი ფეხბურთში მაგრად გაგვასწრეს. არ ვიცი, იქაც პუტინის დანიშნულია თუ არა ფეხბურთის ფედრაციის პრეზიდენტი, მაგრამ უკიდეგანო და საშიშ ქვეყანაში მაინც გამოიძებნა გონება, ხელისუფლება და ფულიანი ხალხი ფეხბურთის ტყე-პარკში არ დარბის "დინამო", დიღომში საკუთარი ბაზა აქვს, მაგრამ კლუბის მომავალი კვლავ გაურკვევლია. ჭორ - მართალი ერთმანეთშია არეული. ზოგი ამბობს, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი აღარ დააფინანსებს "დინამოსო", ზოგი კი ამტკიცებს, "დინამომ" სანდრო კობახიძე დნეპროპეტროვსკის "დნიპროში" 700 ათას დოლარად გაყიდა და საარსებოდ ერთი წლის მარაგი დაიგულაო.



"WE HAVE DECIDED TO GIVE YOU A SPORTING CHANCE."

ჩვენ კი ყვირილით გვეუბნებიან, რუსეთი მდიდარი ქვეყანა კი არის, მაგრამ სწორად ვერ ვითარდება და ვერაფერს მიაღწევსო.

რუსეთი უკიდეგანო და საშიში ქვეყანაა, მაგრამ არასწორი განვითარებით მისი ფეხბურთი ამდენს ვერ მიაღწევდა - ბოლო წლებში რუსულმა გუნდებმა უეფას თასი ორჯერ მოიგეს და ახლა აგერ ავსტრია - შვეიცარიაშიც აშლიგინეს ეროვნული გუნდი. წუხელ კი განადგურდნენ ესპანელებთან, მაგრამ მაინც...

რუსეთში კარგად იციან, რომ სახელმწიფოსთან ომი წამგებიანია, არც ის არის კარგი საქმე, ფულიანი კაცი მოიმდურო და რომან აბრომოვიჩიც ჩართეს სანაკრებო ამბავში - ოლიგარქის შემწეობით რუსთა ფეხბურთი კიდევ უფრო მოფულიანდა და ნაკრებსაც ეშველა.

გუს ჰიდინკი გენიოსია, მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა. რუსეთმა საფეხბურთო ქარხანა უჰიუდინკოდ ააშენა. სახელიანი მწვრთნელი ჩვენც მოვიწვიეთ, მაგრამ ისევ იქ განვითარებისთვის.

ჩვენთანაც იცვლება რალაცეები. ფედერაცია აღარ ეძებს ისეთ მწვრთნელს ეროვნული ნაკრებისთვის, წელიწადში მილიონზე მეტი რომ დაჯდება და საქმის კეთებასაც საძირკვლიდან იწყებს - ბავშვთა ფეხბურთი, ტალანტების მოძიების სისტემა და რაც შეიძლება მეტი შეკრება ასაკობრივ ნაკრებებს. საცაა გადაწყდება, გამოუძებნის თუ არა სახელმწიფო რაიმე დახმარებას საფეხბურთო კლუბებს.

ქართულ გუნდებში ისევ ჭაკადაა საქმე. ჭიათურის "მაღაროელი" უმაღლეს ლიგაში გადავიდა, პირობითი ლეცენზიაც აიღო და მერელა გადაწყდა, რომ უსასხრობის გამო ისევ პირველ ლიგაში მოუწევდა ყურყუტი. "მაღაროელის" ადგილი უმაღლესში "გაგრამ" დაიკავა, რომელსაც "მაღაროელმა" უმაღლესი ლიგის საგზურისთვის პლეი ოფში მოუგო. ღმერთმანი, ძალიან ჩახლართული ამბავია. "გაგრამ" კი უმაღლესი ლიგისთვის მზადება დიღმის ტყე-პარკში სირბილით დაიწყო.

დამსჯელ რაზმს დაემსგავსა "ზესტაფონი". ჯერ იყო და გოგი ფიფიას წაუყენა ულტიმატუმი, თუ კონტრაქტს არ გააგრძელებ, არ გათამაშებთო და მუქარა აუსრულა. ახლა იგივე მოსთხოვა გიორგი ხიდეშელს და მურთაზ დაუშვილს, ხოლო ლექსო ბენაშვილი ძალიან მკაცრად დასაჯა უდისციპლინობისთვის.

არის გამონათების იმედიც. გამოგვიცხადეს, საფეხბურთო სკოლა "საბურთალო" პროფესიულ კლუბად გადაიქცევა და ეროვნულ ჩემპიონატს უბნის გუნდი ეყოლებაო. ავჭალას ჰყავდა "მერანი 91", გლდანს ჰყავს "ამერი", მაგრამ ამ გუნდებს მაინც დააკლდათ რაღაც, მართლა უბნის გუნდად ჩამოსაყალიბებლად. ახლა "საბურთალოს" ჯერია და განზრახვა მართლაც საინტერსოა, ოღონდაც ფეხბურთი მაინც ტრადიციული თამაშია და ტრადიციები ფეხბურთში ძალიან ბევრს ნიშნავს. აღარავის ახსოვს "კოლხეთი 1913" და "შევარდენი 1906", ფული და ენერგია ახალი ფურცლისთვის ემეტებათ და გულიც ამიტომაა თანაღრად.

# ახალკაცი და უგულავა პრემიერმინისტრთან

## თუ გვაძლევთ, მოგვეცით



ვლადიმერ გურგენიძემ ფეხბურთისთვისაც მოიცალა

როდის ამოქმედდება ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა? ეს კითხვა იმდენჯერ დაისვა, ძველი ანეკდოტი გაგახსენდება.

მომხმარებელი მაღაზიის ცარიელ დახლთან მიდის და კითხულობს:

- სად არის თევზი?
- არ მოუტანიათ.
- სად არის მომარაგების გამგე?
-დაიჭირეს.
- სად არის საწყობის გამგე?
- დაიჭირეს.
- სად არის დირექტორი?
- დაიჭირეს.
- სად არის გამყიდველი?
- დაიჭირეს.
- ამდენი ხალხის დაჭერას თევზი დაგეჭირათ, არ სჯობდა?!

ბევრი რამ მოხდა შარშანდელი შემოდგომის აქეთ, მღელვარება და დაძაბულობა, გაურკვევლობა და ვიშვიში, ორი არჩევნები და ბევრი საკადრო ცვლილებები, საქმე კი ჯერ წინ არ წასულა, თუმცა...

რამდენიმე დღის წინათ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** და გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** პრემიერმინისტრ **ვლადიმერ გურგენიძეს** შეხვდნენ. საუბარი ფეხბურთის განვითარების პროგრამის ამოქმედებაზე წარიმართა. სტადიონების აშენება - რეკონსტრუქცია, ზოგი სტადიონის კერძო მფლობელობაში გადაცემა და უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის ფინანსური დახმარება - პრემიერმინისტრმა ამ ყველაფერზე ფედერაციის ხელმძღვანელთა განმარტებანი მოისმინა და შესაბამის სტრუქტურებს უკვე სათანადო დავალებაც მისცა. შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ განვითარების პროგრამა ივლისში ან აგვისტოში უნდა ამოქმედდეს.

თქმა არ უნდა, ამ პროგრამამ სულ-ზე უნდა მოუსწროს დამდეგ სეზონს, თორემ უმაღლესი ლიგის გუნდების აბსოლუტურ უმრავლესობას საქმე დალმა მისდით.

დავით თავართქილაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კობა ჟორჟიკაშვილთან

# რატომ აჯობეს რუსებმა ჰოლანდიელებს?

## ცხინვალში ევროპულ ტენდენციებს ითვალისწინებენ



კობა ჟორჟიკაშვილი

**ცხინვალის "სპარტაკმა" სეზონისთვის მზადება დაიწყო. შარშანდელი პირველობის ალმოჩენად მონათლულ გუნდში ბევრი ცვლილება არაა.**

**"სპარტაკის" მთავარ მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილთან საუბარი გუნდის სამზადისით დავიწყეთ და ევროპული ფეხბურთის ტენდენციებით გავაგრძელეთ.**

**- ბატონო კობა, რა ხდება "სპარტაკში", ახალ ჩემპიონატს რა ცვლილებებით ეგებებით.**

- ბევრი ცვლილება არ იქნება. ორიოდე ფეხბურთელმა დაგვტოვა, მაგალითად, "ზესტაფონმა" ძარია დაიბრუნა, რადგან ჩვენთან არენდით თამაშობდა და ამ კლუბის საკუთრებაა. ასევე იყო კვარაცხელიაც, მასზე უფლებები რუსთავის "ოლიმპს" გააჩნია და დაგვემშვიდობა. კიდევ რამდენიმე მოთამაშე ახალ კლუბს ეძებს, მანამდე კი ჩვენთან ვარჯიშობენ, მაგალითად, ჩვენი კაპიტანი რეზო ქემოკლიძე და კიდევ ორიოდე სხვაც. სხვა ყველა გუნდში დარჩა და ალბათ, ახალ სეზონსაც ძველი ბირთვით ჩავატარებთ.

**- დასრულებულ სეზონში "სპარტაკი" უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი ულარიბესი კლუბი იყო. 300 ათასი ლარი დღეს არაფერია. ახალ სეზონში ბიუჯეტს არ გიზრდიან?**

- ჯერჯერობით, იგივე ბიუჯეტი გვაქვს. ჩვენ სახელმწიფო გვაფინანსებს და დღევანდელ ვითარებაში, დაფინანსების რადიკალურად გაზრდა ძნელია.

**- გუნდი სად ემზადება?**

- ისევე, როგორც შარშან, ახლაც თბილისში ვართ. აქ შედარებით უკეთესი მოსამზადებელი პირობებია. "ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე ბურთით ვვარჯიშობთ, სპორტის დეპარტამენტის დარბაზში კი ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას ვცდილობთ. ძალიან დიდი სამუშაოა ჩასატარებელი. ვერ ხედავთ, რუსები ევროპის ჩემპიონატზე როგორ თამაშობენ? შეხვედრის დროს, დაახლოებით 14 კილომეტრს დარბიან.

**- „სპარტაკის" მოთამაშეთა ანალოგიური მაჩვენებელი რამდენია?**

- ალბათ, 6 კილომეტრი. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცუდი მაჩვენებელია. შეიძლება, ფეხბურთელმა ერთი მატჩი 14 კილომეტრი ჩვენთანაც ირბინოს, მაგრამ მერე ორგანიზმი გადაეწვება, რადგან გამძლეობის რეჟიმი და სწრაფგამძლეობა არ გააჩნია. თანამედროვე ფეხბურთში ტერმინიც დამკვიდრდა "სპრინტერულ რეჟიმში მოძრაობა". ეს არის უდიდესი შრომის შედეგი, რომლის მიღწევაც, საქართველოში, თითქმის, შეუძლებელია.

**- რატომაა შეუძლებელი?**

- ძალიან დიდი ფინანსებია საჭირო, რომლითაც გუნდს მოსამზადებლად აუცილებელ პირობებს უქმნიან. ისე არ გაიგოთ, თითქოს ჩვენი მოთამაშეები 6 კილომეტრზე მეტს ვერ დარბიან. კროსებზე 12-ზეც ავდივართ, მაგრამ სწრაფგამძლეობის მაჩვენებელი 6-ს ვერ სცილდება. ეს კი ძალიან დაბალია.

**- კაცმა რომ თქვას, "სპარტაკის" პირობებით, ესეც დიდი მიღწევაა.**

- ფეხბურთელებს ორგანიზმი რის საშუალებასაც აძლევს, ცდილობენ და ძლებენ.

**- რომელიმე გუნდს თუ აქვს ისეთი პირობები, მაჩვენებელი 10 კილომეტრამდე მაინც რომ აიყვანოს?**

- სწრაფგამძლეობის რეჟიმში ამის მიღწევა ძნელია. ეს რთული თემაა. თითქმის არ მეგულება ფეხბურთელი, რომელიც 18 კმ/სთ-ში სისწრაფით გადაადგილების დროს, ნორმალურად სუნთქავს. ამ დროს ყველამ ნახეთ, რუსები როგორ მოძრაობენ. მათ ყოველთვის შეეძლოთ დიდი სამუშაოს შესრულება, გუს ჰიდინკმა კი რუსების ენერგიას სწორი მიმართულება მისცა. თუ დააკვირდით, ჰოლანდიას რუსებმა მეტი და სწორი მოძრაობით აჯობეს. თითქმის ყველა ეპიზოდში ჰოლანდიელებს რიცხობრივ უპირატესობას უქმნიდნენ და აშკარად დაჩაგრეს.

**- გამორიცხავთ, რომ ასეთი არაადამიანური სირბილის საფუძველი არა მხოლოდ კარგი მომზადება, არამედ დოპინგიც არის?**

- გამორიცხული არაა. საერთოდ, ხომ იცით, თანამედროვე მედიცინის მიღწევები დოპინგ-კონტროლის მექანიზმებს წინ უსწრებს. ესეც ერთგვარი სირბილია – ხან ერთი გაასწრებს, ხან მეორე და სულ ერთმანეთის დაწევაში არიან. როდესაც ძველ მეთოდს გამოააშკარავებენ, მანამდე დოპინგის ახალ სახეობას იგონებენ.

ისე არ გამიგოთ, თითქოს რუსების წარმატებას დოპინგს მივაწერდე. მათ მოსამზადებელი ეტაპი ზამთარში ჩაატარეს, ახლა პიკს მიაღწიეს და ევროპის ჩემპიონატს სხვებზე უკეთეს მდგომარეობაში შეხვდნენ.

სხვებმა კი სეზონი დაასრულეს, გადაღლილი მოთამაშეები ჰყავთ, ნორმალურად დასვენება და ძალების აღდგენაც ვერ მოახერხეს. ეს ფაქტორი მათზე ცუდად მოქმედებს. იმასაც თუ გავითვალისწინოთ, რომ რუსებს დიდი ფული აქვთ, ყველაფერი გასაგები იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

უცხოურ პრესაში. ინტერვიუ ალექსანდრე ჩივაძესთან

# საქართველოში გამარჯვებას რუსეთს უწინასწარმეტყველებენ

**ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას ალექსანდრე ჩივაძემ რუსულ "სპორტ-ექსპრესს" უკვე მეორე ინტერვიუ მისცა. საუბრის მთავარი თემა რაღა თქმა უნდა, რუსეთის ნაკრების ასპარეზობა იყო. მკითხველს რუსეთ-ესპანეთის ნახევარფინალის შედეგი უკვე ეცოდინება, მაგრამ ინტერვიუ მაინც არ უნდა იყოს უინტერესო.**



ალექსანდრე ჩივაძე

**- რუსეთის ნაკრების თამაშს საქართველოში როგორ აფასებენ?**

- თქვენს გუნდს ყველანი დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალს. მე და ჩემი მეგობრები რუსეთის ნაკრებით აღფრთოვანებულები ვართ.

**- ყველაზე მეტად რომელი მატჩი მოგეწონათ?**

- ყველაზე მაღალ დონეზე ჰიდინკის გუნდმა ჰოლანდიასთან ითამაშა. ჰიდინკმა თავისი კოლეგა ყველა კომპონენტში დაჯაბნა. ბუნებრივია, არც საბერძნეთსა და შვედეთთან ჩატარებული შეხვედრების დავიწყება შეიძლება. რუსეთის ნაკრების უპირატესობა არც იმ თამაშებში იწვევდა ეჭვს.

**- სასტარტო მატჩში ესპანეთთან განადგურების შემდეგ რუსი მცველები სამართლიანად გააკრიტიკეთ. როგორ ფიქრობთ, ხარვეზები მათ სრულად გამოასწორეს?**

- დიახ, მათ თამაში ასი პროცენტით გააუმჯობესეს. თუმცა საამისოდ დაცვის ხაზში გარკვეული ცვლილებების შეტანა გახდა საჭირო. ჰიდინკმა გამოცდილი სერგეი იგნაშევიჩი ძირითად შემადგენლობაში დააბრუნა და სწორადაც მოიქცა. დენის კოლოდინს კი მომდევნო შეხვედრებში შეცდომები აღარ დაუშვია, საკუთარ ფუნქციებსაც მაღალ დონეზე ასრულებდა და შეტევებშიც რიგიანად ერთვებოდა. სამწუხაროა, რომ ნახევარფინალს იგი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს. ესპანელებს ძალიან ძლიერი ფორვარდები ჰყავთ. დავიდ ვილია და ფერნანდო ტორესი რუსეთის ნაკრებს იმაზე გაცილებით მეტ ხიფათს შეუქმნიან, ვიდრე ეს რუუდ ვან ნისტელროიმ შეძლო.

**- რუსეთ-ესპანეთის წყვილში საქართველოში ვის უწინასწარმეტყველებენ გამარჯვებას?**

- რა თქმა უნდა, რუსეთს! ჩემს ქვეყანაში ძალიან ბევრს სჯერა, რომ რუსეთი ესპანეთსაც დაამარცხებს და ფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებს.

**- საქართველოში, ალბათ, ევრო 2008-ს დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს.**

- ბუნებრივია, საქართველო ხომ საფეხბურთო ქვეყანაა. ხალხს ფეხბურთი ძალიან უყვარს. ავსტრია-შვეიცარიის მოედნებზე უმაღლესი დონის თამაშები მიმდინარეობს, ამაში კი რუსეთის ნაკრებს დიდი წვლილი მიუძღვის.

**- საქართველოში რუსეთის ნაკრებს ბევრი გულშემატკივარი ჰყავს?**

- გარკვეული რაოდენობის ხალხი რუსეთს ქომაგობს, ოღონდ დიდი ხმაურის გარეშე. თბილისში სახალხო ზეიმი მხოლოდ მაშინ იყო, როცა თბილისის "დინამომ" თასების თასი მოიპოვა.

**- ჰიდინკის მუშაობას როგორ შეაფასებთ?**

- ამ მწვრთნელის შესაქებად სიტყვები არ მეყოფა. რუსეთის ეროვნული გუნდი ბრწყინვალე ფეხბურთს თამაშობს.

**- როდის ექნება საქართველოს ნაკრებს რუსეთის მსგავსი წარმატებები?**

- ვერ გეტყვით, როდის შევძლებთ ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატის მედლების მოპოვებას. იმედი მაქვს, თქვენი მაგალითი გამოგვადგება. საქართველოს ძლიერი ფეხბურთელები ყოველთვის ჰყავდა...

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

# შეროზიამ მგლები დატოვა

## ზუგდიდური ფეხბურთის კითხვის ნიშნები

**"მგლების" მომავალი ბურუსითაა მოცული, სამაგიეროდ, უკვე ცნობილია, რომ გუნდი მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. ბესიკ შეროზიამ ხანგრძლივ გაურკვევლობაში ყოფნას თანამდებობის დატოვება არჩია. სამწუხაროდ, კიდევ ერთი უმაღლესლიგელი დაშლის საფრთხის წინაშეა, რაც 12-გუნდიანი ჩემპიონატის კიდევ უფრო დასუსტებას გამოიწვევს. არადა, "მგლებმა", რომელმაც უმაღლესში მხოლოდ ერთი სეზონი გაატარა, თავი ხარისხიანი ფეხბურთით დაგვამახსოვრა.**



ბესიკ შეროზია

- ძალიან ვწუხვარ, ასეთი ნაბიჯის გადადგმა რომ მომიწია, მაგრამ სხვა გზას ველარ ვხედავდი. მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდის ჩამოყალიბება გვინდოდა და ამის მაგივრად საშინელი სიტუაცია მივიღეთ. წამოსვლის წინ ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს გუნდის ერთგულებისთვის მადლობა გადავუხადე.

**- არადა, კლუბის ხელმძღვანელობას სერიოზული გეგმები ჰქონდა...**

- "მგლებს" ჯერ ახალი სეზონისთვის მზადებაც არ დაუწყია და რომელ სერიოზულობაზეა საუბარი. მოკლედ, გუნდის უმაღლეს ლიგაში თამაში ძალიან საეჭვოა.

**- შესაძლოა, მისი ადგილი "ბაიამ" დაიკავოს?**

- დიახ, საუბარია, "ბაიასთან" გაერთიანებაზე, ან მისთვის ადგილის დათმობაზე, მაგრამ კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით.

**- "მგლების" ბედის ბოლომდე გარკვევას რატომ არ დაელოდეთ?**

- "მგლებმა" უმეღლეს ლიგაში რომც იასპარეზოს, აუტსაიდერობისთვის იქნება განწირული, ასეთ გუნდში მუშაობის სურვილი კი არ მაქვს. არადა, წინა სეზონი მაღალ დონეზე ჩავატარეთ და მეტის მიღწევაც რეალურად შეგვეძლო.

**- რა გეგმები გაქვთ?**

- რაღა თქმა უნდა, სამწვრთნელო საქმიანობის გაგრძელება მსურს. ამბიციურ ქართულ კლუბში დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ნუ შემაწუხებთ!

## სიონს გამოცდილები სჭირდება

გუშინ, ბოლნისის "სიონში" კრება ჩატარდა, რომელზეც ბევრი სიახლე გახმაურდა. უკვე გადაწყვეტილია, რომ გუნდის ღირსებას ამიერიდან **ზურაბ მამალაძე, ალექსანდრე კოშკაძე** და **ზაურ ხაჭიპერაძე** დაიცავენ. მეკარე მამალაძე "სიონის" შემადგენლობაში შარშანაც თამაშობდა, შემდეგ კი აზერბაიჯანულ "გაბალაში" იყო. კოშკაძე ბოლოს ახალციხის "მესხეთში" გამოდიოდა, ხაჭიპერაძე კი პირველი ლიგის გამარჯვებულის, ქიათურის "მაღაროელის" წევრი იყო.

"სიონი" რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ ძირითადი შემადგენლობის წევრთაგან თითქმის არავინ წასულა. გამონაკლისები მხოლოდ **ერიკ რომეო ჩასემი** და **ბიოიმო ფრიდოლინი** არიან. შეგახსენებთ, სულ ცოტა ხნის წინათ კამერუნულმა დუეტმა "ზესტაფონთან" გააფორმა კონტრაქტი. წავიდა მეკარე **გიგა იაშვილიც**, რომელმაც გასულ სეზონში საკმაო რაოდენობის შეხვედრები ჩაატარა.

ახალი მთავარი მწვრთნელის, **ოთარ კორღალიძის** ხელმძღვანელობით "სიონი" უკვე რამდენიმე დღეა, ვარჯიშობს. დღეს გუნდი თბილისში პირველ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს რუსთავის "ოლიმპის" წინააღმდეგ. "ოლიმპს" "სიონი" ზეგაც გაეჯიბრება. უკვე გაირკვა შეკრების ადგილიც - მომავალი სეზონისთვის კორღალიძის გუნდი გრიგოლეთში მოემზადება.

"მომავალ სეზონში მაღალი მიზნებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ექსპერიმენტების დრო არ მაქვს, ასე რომ, ფეხბურთელების გასინჯვას არ დავიწყებ. აქცენტს მხოლოდ იმ მოთამაშეებზე გავაკეთებ, რომელთა შესაძლებლობებსაც კარგად ვიცნობ. ძალიან ვთხოვ ფეხბურთელებსა და მათ მეურვეებს, ჩემთან დარეკვით თავს ნუ შეიწუხებენ და ნურც მე შემაწუხებენ. ძალიან კარგად ვიცი, ვინ უნდა მოვიწვიო გუნდში", - ამბობს ოთარ კორღალიძე, რომელიც "სიონის" სხვა ახალი მოთამაშეების ვინაობას რამდენიმე დღეში დაასახელებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დარასელიამ ტორპედოსთან კონტრაქტი გაწყვიტა

მოსკოვის „ტორპედოს" 19 წლის ქართველმა მცველმა **გედევან დარასელიამ** გუნდთან კონტრაქტი გაწყვიტა და თავისუფალი აგენტი გახდა.

ამის შესახებ ფეხბურთელმა „ლელოსთან" ისაუბრა: „მოსკოვის „ტორპედო" ჩემს თხოვნას დათანხმდა და კონტრაქტი გამიწყვიტა. შარშან, შემოდგომაზე ახალი მთავარი მწვრთნელი სავილ საბიტოვი დაგვინიშნეს, რომელმაც მითხრა, რომ ძირითადში არ მათამაშებდა. ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის იმედიც გადამიწურა და განათხოვრებაზეც უარი მითხრა. ჩემთვის ყველაფერი გასაგები იყო და ერთი კვირის წინათ „ტორპედოს" ხელმძღვანელობას კონტრაქტის გაწყვეტა ვთხოვე. ეს იმით დავასაბუთე, რომ „ტორპედოში" მოტივაცია აღარ დამიტოვეს, სათამაშო პრაქტიკა არ მქონდა, ჩემდა გასაოცრად, ძალიან იოლად დამთანხმდნენ. ბოლომდე ვერც დავიჯერე, თავისუფალი რომ ვიყავი".

დარასელიას თქმით, მენეჯერები რამდენიმე ეროვნულ კლუბში მოწყობას სთავაზობენ: „უცხოეთში არის შეთავაზებები, მაგრამ უთამაშებლობით იმდენი დავკარგე, მინდა ერთი წელი საქართველოში ვითამაშო და ფორმა აღვიდგინო. ევროპაში თამაში კარგია, მაგრამ ვგრძნობ, უთამაშებლობამ ბევრი დამაკლო. რამდენიმე მიწვევა უკვე მაქვს და ორი კვირის განმავლობაში გადაწყდება, რომელ კლუბში ვითამაშებ." - გვითხრა დარასელიამ.

შეგახსენებთ, რომ გედევან დარასელია მოსკოვის „ტორპედოში" 2006 წელს ჩაირიცხა და კონტრაქტი 2009 წლამდე გააფორმა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ფოფხაძემ შვედეთში ითამაშა

**გიორგი ფოფხაძის** „ვიბორგმა" ახალი სეზონისთვის მზადების პირველი საკონტროლო მატჩი გამართა. დანიის სუპერლიგიდან გავარდნილმა კლუბმა შვედეთში ადგილობრივ გაისთან ითამაშა, რომელიც უმაღლეს ლიგაში მე-10 ადგილზეა. შვედეთის ლიგაში მცირე შესვენება იყო და ერთ კვირაში ჩემპიონატი განახლდება. მიუხედავად ამისა, დანიელები თანაბრად ეთამაშნენ მეტოქეს და მხოლოდ 0:1 წააგეს. გიორგი ფოფხაძე სასტარტო შემადგენლობაში იყო.



**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# სლავიას სტადიონი ქართველის გოლით გაიხსნა

**ირაკლი ლილუაშვილი** სლოვაკეთის ჩემპიონატის მესამეადგილოსან „ნიტრაში" წლეულს ჩაირიცხა და როგორც ჩანს, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის დიდი შანსი გააჩნია. სლოვაკური კლუბი 28 ივნისს ინტერტოტოს თასის განმეორებით შეხვედრაში ბაქოს "ნეფთჩის" უმასპინძლებს.

21 ივნისსს, ბაქოში შეხვედრა აზერბაიჯანელების გამარჯვებით (2:0) დასრულდა. "ნეფთჩისთან" შეხვედრამდე, "ნიტრამ" პრაღის „სლავიასთან" ამხანაგურად ითამაშა და 1:3 წააგო.

სტუმართაგან ერთად-ერთი ბურთის ავტორი ქართველი თავდამსხმელი ირაკლი ლილუაშვილი გახდა, რომელსაც გუშინ ვესაუბრეთ.

"პრაღიდან ახლახანს დავბრუნდით, სადაც "სლავიასთან" ვითამაშეთ. ერთადერთი ბურთი მე გავიტანე და როგორც ვფიქრობ, ძირითად შემადგენლობაში ადგილი გავინაღდე. შეხვედრის შემდეგ მთავარი მწვრთნელი მესაუბრა, რომელიც ჩემით ძალიან კმაყოფილი იყო. მართალია წავაგეთ, მაგრამ მე მართლა მაგარი აქტიური ვიყავი და საგოლე გადაცემაც მივეცი გუნდელს, მეკარესთან პირისპირ დავტოვე, მაგრამ ვერ გამოიყენა.

სხვათა შორის, "სლავია"-"ნიტრას" მატჩით პრაღაში ახალი სტადიონი გაიხსნა. ისეთი ლამაზი სტადიონი იყო, პირველი ტაიმი რომ დამთავრდა, გასახდელში შესვლა აღარ გვინდოდა. ჯერ მოედანი, მერე თვითონ სტადიონის დიზაინი ძალიან მომეწონა მეც და ჩემს თანაგუნდელებსაც. არადა,. სლოვაკეთშიც ბევრი ლამაზი არენაა და თითქოს, ვერაფერი გაგვაოცებდა.

რაც შეეხება ბაქოს "ნეფთჩის", მასთან ძალიან რთული მატჩი გველის. მე კი ვიცნობდი გიორგი ადამიას, მაგრამ მის წინააღმდეგ არასდროს მეთამაშა. ის არის აზერბაიჯანელების ლიდერი, უმაგისოდ შეტევა არ იწყება და მთელი გუნდი მასზეა აწყობილი. ახლა "ნიტრას" მცველებმა იციან, რომ მის წინააღმდეგ განსაკუთრებული მონდომებითა და ყურადღებით უნდა ითამაშონ. მართალია, პირველი თამაში 0:2 წავაგეთ, მაგრამ მჯერა, რომ სახლში აუცილებლად მოვიგებთ. მიუხედავად აზერბაიჯანელების სერიოზული უპირატესობისა, ჩვენ უკეთესი გუნდი გვყავს"- გვითხრა ლილუაშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**



ირაკლი ლილუაშვილი

# გვაზავა არმიის ბაზაზე

რუსული პრემიერლიგის განახლებისთვის ემზადება ერთ-ერთი აუტსაიდერი ვლადივოსტოკის „ლუჩიც". „ლუჩი" 7 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა და გასავარდნ ზონაშია. გუშინ, **ლევან გვაზავას** გუნდი ამხანაგურად გაეჯიბრა მოსკოვის ცსკა-ს და 4:4 დაუზავდა. ეს მატჩი არმიელების საფეხბურთო ბაზაზე გაიმართა, ლევან გვაზავამ პირველ ტაიმში ითამაშა. პირველი ტაიმი „ლუჩმა" 3:1 მოიგო.

# გიგიაძე ავსტრიაში გამოჩნდა

ლუგანსკის „ზარია" უკრაინის ჩემპიონატისთვის ემზადება, მორიგ ამხანაგურ მატჩში „ზარია" 0:2 დამარცხდა დონეცკის „მეტალურგთან". ამ შეხვედრაში მეორე ტაიმი ითამაშა „ზარიას" ქართველმა ნახევარმცველმა **გიორგი ციმაკურიძემ** (54-ე წუთიდან). სიმფეროპოლის „ტავრია" კი ავსტრიაში ემზადება, სადაც ამხანაგურ მატჩში ავსტრიის ვიცე-ჩემპიონი „ზალცბურგი" დაამარცხა – 3:2. რაც ყირიმულ კლუბს დაუბრუნდა, **ვასილ გიგიაძემ** პირველად ითამაშა ძირითად გუნდში, ის 52-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კვირკველიამ დაასრულა

ყაზანის „რუბინმა" დაასრულა ავსტრიული შეკრება. ბოლო მატჩში სამი ქართველი ლეგიონერის გუნდმა 2:1 დაამარცხა ლასკ-ი. ამ შეხვედრაში ჩვენებურთაგან მხოლოდ **დავით კვირკველიამ** ითამაშა, ისიც მეორე ტაიმში, 55-ე წუთიდან. **ლაშა სალუქვაძე** არ გამოჩენილა, ხოლო გოლკიპერ **ნუკრი რევიშვილს** ავსტრიულ შეკრებაზე საერთოდ არ უთამაშია.



# ქართველები დუბლში გადაიყვანეს

ბელარუსის ჩემპიონატის მე-12 ტურში ჯერ მხოლოდ ერთი შეხვედრა გაიმართა, სოლიგორსკის „შახტიორმა" ბრესტის „დინამოს" უმასპინძლა და 0:2 დამარცხდა. ტურის დანარჩენი მატჩები 28 ივნისს გაიმართება. ბრესტის „დინამოში" ორი ქართველი ლეგიონერი ირიცხება, ნახევარმცველი **რომან გოგინაშვილი** და ფორვარდი **გია თოდუა**. ძალიან გაგვიკვირდა, როცა ისინი მატჩის პროტოკოლში ვერ აღმოვაჩინეთ, გასული სეზონის ბოლოს ქართველები ლიდერის როლში იყვნენ „დინამოში". სამწუხაროდ, „დინამოს" მწვრთნელს **ვლადიმირ გევორქიანს** ორივე ქართველი დუბლებში გადაუყვანია, სოლიგორსკში მათ წინა დღით ითამაშეს დუბლების მატჩში (1:1), თოდუა სასტარტოში იყო, მე-14 წუთზე მისი პასით **დემიდოვიჩმა** გახსნა ანგარიში, შესვენებაზე თოდუა შეცვალეს. 54-ე წუთზე მოედანზე გოგინაშვილიც გამოჩნდა. ბრესტის „დინამოს" ძირითადი გუნდი 15 ქულით მერვე ადგილზეა უმაღლეს ლიგაში. დღეისთვის, ბელარუსის უმაღლეს ლიგაში 5 ქართველი ლეგიონერი თამაშობს: რომან გოგინაშვილი და გია თოდუა („დინამო" ბრესტი), **გიორგი ჭედია** („ტორპედო" ჟოდინო), ვლადიმერ ზუხბაია („ლოკომოტივი" მინსკი) და **გივი კვარაცხელია** („მტზ-რიპო" მინსკი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ცხადაძე გუნდს ქართულად აწყობს



კახა ცხადაძე

ამას წინათ, ბაქოს „სტანდარდის" ქართველ მწვრთნელ **კახი ცხადაძესთან** ინტერვიუ შემოგთავაზეთ, სადაც საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი აზერბაიჯანულ გაზეთს უყვებოდა, რომ მის გეგმებში უპირველესაც გუნდის ხელახლა კომპლექტაცია შედის. როგორც ჩანს, ცხადაძე სიტყვიდან საქმეზე გადავიდა, რესურსად კი ის ნაცნობ, ქართულ საფეხბურთო ბაზარს იყენებს. ცხადაძემ უკვე აიყვანა „სტანდარდში" გოლკიპერი **მიხეილ ალავიძე**. როგორც „აზერისპორტს" განუცხადა, ცხადაძე „სტანდარდში" საქართველოს ნაკრების 20 წლის მცველ **გიორგი ხიდეშელსაც** ეძახდა, თუმცა ამ უკანასკნელმა აზერბაიჯანში წასვლა იუარა. ცნობილი გახდა, რომ ქართველ მწვრთნელს კიდევ ერთი თანამემამულის ჩამატება სურს, „სიმურგში" მოთამაშე **დავით ბოლქვაძის**. ბოლქვაძე „ამერის" ფეხბურთელია და კონტრაქტით ამ კლუბს ეკუთვნის, ის ბაქოში იმ შემთხვევაში წავა, თუკი კლუბები ერთმანეთში შეთანხმდებიან. დავით ბოლქვაძემ გასულ სეზონში „სიმურგის" მაისურით ოთხი გოლი გაიტანა. თუკი ბოლქვაძე დატოვებს „სიმურგს", ქართველთა რიცხვი იქ მაინც არ შემცირდება, რადგან რუსთავის „ოლიმპიდან" ზაქათალაში ერთი წლით გადავიდა გამოცდილი მცველი **მიხეილ მახვილაძე**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ელიავას მესამე მატჩი

რუსული პრემიერლიგის მესამეადგილოსან „ამკარში" საქართველოს ნაკრების მარცხენა მცველი **ზაალ ელიავა** ისინჯება. ელიავა „სკონტოელია", თუმცა ლატვიურ გუნდში დიდი ხანია არ გამოჩენილა. „ამკარი" პოლონურ შეკრებაზეა, სადაც გუნდმა მესამე საკონტროლო შეხვედრა გამართა, მოგებისა და ფრის მერე რუსული გუნდი დამარცხდა, შავ-წითლებმა ადგილობრივ „გურნიკთან" წააგეს. ქართველმა მცველმა პირველი ტაიმი ითამაშა. ორივე გოლი „ამკარმა" სწორედ პირველ ტაიმში გაუშვა.



ზაალ ელიავა

# ონიანი ზესტაფონიდან არ წასულა

გუშინ, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს "ზესტაფონის" ორი წამყვანი მოთამაშე, **ედიკ საჯაია** და **როინ ონიანი** რუსთავის "ოლიმპში" გადადიოდნენ.

ინფორმაცია როინ ონიანთან გადავამოწმეთ, რომელმაც ხმები უარყო: "რუსთავში როგორ წავიდოდი, როდესაც "ზესტაფონში" ვვარჯიშობ. შეიძლება, ეს ხმები იმიტომ გავრცელდა, რომ "ოლიმპში" ფორმის შესანარჩუნებლად ჩემი მოგვარე, გიორგი ონიანი ვარჯიშობს. საჯაიაც ჩვენთან ერთად ვარჯიშობს. მას კონტრაქტი აგვისტოში უმთავრდება და მანამდე ვერსად გადავა", - გვითხრა "ზესტაფონის" კაპიტანმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

# რას ელოდით ჩემგან?

## იმისათვის, რომ ქართულმა ფეხბურთმა წარმატებებს მიაღწიოს, წლებია საჭირო

**საქართველოდან წასულ კლაუს ტოპმიოლერს ჩეხეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს სთავაზობენ. ტოპი პრაღაში ხვალ ჩავა და ჩეხეთის საფეხბურთო კავშირის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს გამართავს. "კიკერის" ინფორმაციით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ კარელ ბრიუკნერს სწორედ კლაუსი შეცვლის. საქართველოს ნაკრებიდან, სადაც მან წარმატებას ვერ მიაღწია, პირდაპირ ჩეხეთში? რატომ? ნუთუ იმიტომ, რომ ტოპმიოლერი სუსტი სპეციალისტია და ჩეხებმა ეს ჯერ არ იციან? რა თქმა უნდა, არა. ყველას კარგად მოეხსენება, რაც შეუძლია ტოპის და მისი შესაძლებლობები საქართველოს ნაკრებში ნაჩვენები შედეგებით არ იზომება.**

**რას ურჩევს კლაუსი საქართველოს ნაკრების მომავალ მწვრთნელს? როგორ უყურებს ის ქართული ფეხბურთის სამომავლო პერსპექტივას? როგორ იხსენებს საქართველოში გატარებულ ორწელიწადნახევარს? ამ და სხვა კითხვებზე ტოპიმ პასუხები გუშინ, სატელეფონო საუბრისას გაგვცა...**



**- სანამ საქართველოს ნაკრებს დატოვებდით, პიროვნებები, რომლებიც რეგულარულად გაკრიტიკებდნენ, ამბობდნენ, ტოპმიოლერი საქართველოდან იმიტომ არ მიდის, რომ იცის, სამსახურის შოვნა ძალიან გაუჭირდებაო...**

- მართლა ასე ამბობდნენ? იცით, რამდენიმე წელია, ოჯახის წევრები მეხვეწებიან, პენსიაში გადიო. ახალგაზრდა აღარ ვარ და უნდათ, რომ მეტი დრო დავუთმო, მაგრამ მე არ მინდა ამ საქმისთვის თავის დანებება. სანამ ძალა მეყოფა, პენსიაში არ გავალ. თავისუფლად შემიძლია, რომ არ ვიმუშავო, მაგრამ რა ვქნა, რომ მუშაობა ძალიან მინდა.

**- როგორც ჩანს, საუკეთესო წინადადებას ელოდით და აი, ჩეხეთიდანაც დაგიკავშირდნენ. რამდენადაც ვიცით, ჩეხეთის საფეხბურთო კავშირთან მოლაპარაკებებს აწარმოებთ და დიდი შანსია, რომ კარელ ბრიუკნერი თქვენ შეცვალოთ...**

- დიახ, მოლაპარაკებები დაწყებულია და მართლაც დიდი შანსია, რომ ჩეხეთის ნაკრები ჩავიბარო. უკვე უარი ვუთხარი ავსტრიას. სიმართლე გითხრათ, ავსტრიის ნაკრების გაწვრთნას განის ნაკრების გაწვრთნა მირჩევნია, სადაც ასევე მიხმობენ.

**- ანუ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი პირველი მცდელობა წარუმატებელი გამოდგა, მაინც ნაკრების გაწვრთნა გსურთ. ჩეხეთი კი საქართველოზე გაცილებით უკეთესი მისამართია...**

- ჰო, ჩეხეთის ნაკრები საქართველოზე გაცილებით ძლიერია, მაგრამ მე მაინც მინდა, რომ იმ ხალხზე ვისაუბრო, რომლებიც მაკრიტიკებდნენ. მოდით, ვკითხოთ მათ, მაინც რას ელოდებოდნენ ჩემგან? ჯგუფში იტალია, საფრანგეთი, უკრაინა და შოტლანდია გვყავდა. საქართველოს ნაკრებს ასეთ ჯგუფში პირველი ან თუნდაც მეორე ადგილი უნდა დაეკავებინა? ჰო, ფეხბურთში გამორიცხული არაფერია, მაგრამ დიდი სენსაციებისთვის გაცილებით ბევრი რამ არის საჭირო. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში იტალიასთან, ირლანდიასთან და ბულგარეთთან მოვხვდით. გადაჭრით იმის თქმა, რომ საქართველოს ნაკრებმა ასეთი ჯგუფიდან მუნდიალზე უნდა გააღწიოს, ძალიან გადამეტებულია. ბოლო ორი წლის განმავლობაში ქართულ ფეხბურთში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ მხოლოდ ორი წელი ნამდვილად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ეგრევე ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდე. არ არსებობს ღილაკი, რომელსაც თითს დააჭერ და მუნდიალზე გაგიყვანს. ეს რეალობაა და რეალურად, შრომაა საჭირო. შრომა და იღბალიც. საქართველოს დარ ქვეყნებს მოთმინება მართებთ. შეიძლება ძალიან გაგიმართლოს და მუნდიალზე მოხვდე, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ძალიან გაგიმართლებს. რეალურად, ორ წელიწადში ასეთი სასწაულები არ ხდება. იმისათვის, რომ ქართულმა ფეხბურთმა წარმატებებს მიაღწიოს, წლებია საჭირო. ერთ და ორ წელიწადში რეიტინგში 80-90 ადგილით დაწინაურება შეუძლებელია. რაც შეეხება ჩეხეთის ნაკრებს, იქ სხვა ვითარებაა. თუ დავინიშნები, გამოდის, რომ ჩავიბარებ გუნდს, რომელიც აწყობილი და სრულყოფილია, რომელსაც მხოლოდ გაწვრთნა ჭირდება. ჩეხ ფეხბურთელებს არ უნდათ ისეთი ელემენტარული დეტალების ახსნა, რაც ქართველი ფეხბურთელების დიდ ნაწილს სჭირდებოდა. ავიღოთ თუნდაც მეკარე - პეტრ ჩეხი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გოლკიპერია...

**- საქართველოს ნაკრებში კი მეკარე ფაქტობრივად არ გყავდათ...**

- ასეც ვერ ვიტყვი. იყვნენ მეკარეები, მაგრამ ცხადია, ჩეხი არცერთი არ იყო. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ ახალი მეკარე ალმეზარდა. ალბათ მიხვდით, მაკარიძეს ვგულისხმობ...

**- საქართველოში ვინმეს თუ ეკონტაქტებით?**

- დიდი ხანია, არავისთან მისაუბრია. არა.

**- თქვენი წასვლის შემდეგ, ნაკრები დროებით პეტარ სეგრტმა ჩაიბარა - ფრე ესტონეთთან, მარცხი პორტუგალიასთან... მიუხედავად ამისა, სეგრტი ერთ-ერთ კანდიდატად რჩება და გამორიცხული არ არის, რომ თქვენი შემცვლელი გახდეს. როგორ ფიქრობთ, შეძლებს პეტარი ამას?**

- რა გითხრათ, ეს უშუალოდ ფედერაციის გადასაწყვეტია. კონტრაქტი გაწყვეტილია, შესაბამისად, ეს თემა ჩემთვის ამოწურულია. ახლა ფედერაციამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ნაკრები კარგ მწვრთნელს ჩააბაროს. მეორე მხრივ, პეტარმა თვითონ იცის თავის საქმისა. გააჩნია, რა გეგმები აქვს სფფ-ს და როგორია ფინანსური შესაძლებლობები.

**- წარმოიდგინეთ, რომ თქვენი უახლოესი მეგობარი, რომელსაც ყველაფერ საუკეთესოს უსურვებთ, საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატია. მოვიდა თქვენთან და რჩევა გკითხათ. თქვენ ხომ ორი წელი იმუშავეთ საქართველოში და ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად იცით. რას ეტყვით მეგობარს?**

- ვეტყვი, რომ საქართველოს ნაკრებს დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ ამ პოტენციალის გამოყენება მთელი რიგი საკითხების გამო ძალიან ძნელია. მაგრამ ეს პოტენციალი არც ისე დიდია, როგორც ეს ჩემს ოპონენტებს ეგონათ ან ჰგონიათ. ვგულისხმობ იმას, რომ საქართველოს ნაკრები არ არის გრანდი. მინდოდა, ფეხბურთელებთან ისე მემუშავა, რომ ამ გენერაციას პატარა სასწაულები მოეხდინა. დიდ სასწაულებს რომ ვერ მოვახდენდით, ეს თავიდანვე ცხადი იყო. საქართველოს ნაკრები საფრანგეთს ან იტალიას უკან ვერ მოიტოვებდა. ეს იგივეა, რომ ლუქსემბურგის ნაკრებს გერმანიის ჯგუფში ჩატოვება მოსთხოვო. ჩემი აზრით, თურქეთს და შოტლანდიას რომ მოვუგეთ, ეს უკვე სასწაული იყო. ურუგვაისთანაც მოვიგეთ, მაგრამ ეს არ იყო სასწაული, რადგან მეტოქე ბოლომდე არ დაიხარჯა. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ საუკეთესო შემადგენლობა ფაქტობრივად ერთხელაც ვერ შევკრიბე.

**- იქნებ, მენტალურ პრობლემებთან გვაქვს საქმე? საქმისადმი მიდგომა, შრომისმოყვარეობა, მონდომება...**

- მინდა გითხრათ, რომ ეს ქართველი ფეხბურთელების დიდი ნაწილის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. მაგრამ ამას ყველაზე ვერ ვიტყვი. ერთი რამ ცხადია: საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა და ამის კვალობაზე, ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავს. 5-6 მოთამაშე ძალიან მაღალი კლასისაა, მაგრამ ფეხბურთს 11 კაცი თამაშობს და კიდევ 11 მაღალი კლასის მოთამაშე თადარიგისთვისაა საჭირო.

**- საერთო ჯამში როგორ აფასებთ საქართველოში კატარებულ ორწელიწადნახევარს?**

- ძალიან დადებითად. გავეცანი ახალ ქვეყანას, ახალ, ულამაზეს კულტურას, გავიჩინე ახალი მეგობრები - ვისაც ვგულისხმობ, თვითონ იციან. მინდა, ისინი გულითადად მოვიკითხო და ყოველივე კარგი ვუსურვო.

**- ანუ, არ ნანობთ, რომ საქართველოში ჩამოხვედით?**

- არაფრისდიდებით! ყველაფერი ისე რომ ყოფილიყო, როგორც წარმომედგინა და როგორც უნდა ყოფილიყო, უდიდესი სიამოვნებით დავრჩებოდი. სანამ კონტრაქტის გავწყვეტდი, არაერთ შემოთავაზებაზე ვთქვი უარი, რადგან მჯეროდა, რომ მივაღწევდი იმას, რაც მსურდა. თურქული და პორტუგალიური კლუბები მეპატიჟებოდნენ, იყო შემოთავაზებები ბუნდესლიგიდანაც, მაგრამ ყველას ვეუბნებოდი, საქართველოში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ-მეთქი. ხომ იცით, თუ ერთხელ რაღაც ისე არ მოხდა, როგორც უნდა მოხდეს, შეიძლება გული საერთოდ აგიცრუვდეს და ასე იყო ჩემს შემთხვევაშიც. მიუხედავად ამისა, ვიმედოვნებდი, რომ ყველაფერი შეიცვლებოდა და სფფ-საც არაერთხელ მივუთითე, რომ რაღაც-რაღაცები გამოსასწორებელი იყო. რეაგირება არ ყოფილა და როცა მივხვდი, რომ არაფერი შეიცვლებოდა, ვთქვი, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება-მეთქი.

**- იქნებ არის ისეთი საკითხები, რასაც აქამდე საიდუმლოდ ინახავდით და თუ ასეა, არ მოვიდა დრო, რომ ქართველმა გულშემატკივრებმა ყველაფერი შეიტყონ?**

- არაფერი ყოფილა ისეთი, რაც ხალხს უნდა გაეგო და ვერ გაიგო. საქართველოში მუშაობის დროს მე ყოველთვის ყველაფერზე გულახდილად ვლაპარაკობდი. ქართველ ქომაგებს მოთმინებას ვურჩევ. ერთ და ორ წელიწადში ქართული ფეხბურთი ვერ აშენდება და ვერ გაუთანაბრდება თუნდაც შოტლანდიურ ფეხბურთს. დიახ, ჩვენ შოტლანდიას მოვუგეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართული ფეხბურთი შოტლანდიურზე მაღლა დგას ან მასთან მიახლოებულია. ვფიქრობ, მინიმუმ 3-4 წელია საჭირო იმისათვის, რომ ქართულ ფეხბურთში ბევრი რამ შეიცვალოს. ოღონდ 3-4 წელიწადი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება საკმარისი, თუ ამ ხნის განმავლობაში მიზანმიმართული სამუშაოები ჩატარდება და არავინ იზარმაცებს. წინააღმდეგ შემთხვევაში 4-ჯერ და 5-ჯერ მეტი დრო იქნება საჭირო. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება საქართველოს ნაკრების მწვრთნელი. ვინც იქნება, სრული კარტ-ბლანში და მშვიდად მუშაობის საშუალება უნდა მისცენ. თავიდანვე იტალიასთან და საფრანგეთთან გამარჯვება არ უნდა მოსთხოვონ. სრული ძალაუფლება უნდა მისცენ და ბოლომდე ენდონ მასაც და მის შტაბსაც. დამიჯერეთ, სხვანაირად არაფერი გამოვა. საფეხბურთო კლუბები ფედერაციას მხარს არ უჭერენ, პირიქით, ეწინააღმდეგებიან და მეტიც, ფეხს უდებენ. ვიღაც ვიღაცის მტერია, ვიღაც ვიღაცის მოვალე, ამას ის არ მოსწონს, იმას თავი პროფესორი ჰგონია. მერე ვიღაც გამოჩნდება, რომელსაც პირველობა უნდა და მიზნის მისაღწევად ისეთ რამეს გააკეთებს, რომ მხოლოდ მისი ან ვინმეს კი არა, საქვეყნო საქმე ფუჭდება. ეს ყველაფერი ერთ დიდ ქაოსს ქმნის და არაფერი გამოდის. თუ ყველა ერთმანეთს მხარში არ ამოუდგა, რა გასაკვირია, რომ საქმე არ გაკეთდება. იცით, როდესაც საქმე ქვეყნის ინტერესებს ეხება, ზოგიერთ პირად სურვილსა და ამბიციაზე უარი უნდა თქვა. თუ ასე არ მოიქცევი, რა აზრი აქვს მუშაობას.

**- რა იყო ყველაზე ცუდი?**

- ის, რომ ბოლო თამაშებში ფეხბურთელები ნაკრებში აღარ მოდიოდნენ. რატომ იქცეოდნენ ასე, ეს ჩემთვის დღემდე გამოცანად რჩება. ფეხბურთელს რომ ქვეყნის ნაკრებში გამოიძახებ და არ ჩამოვა, ეს კატასტროფაა. კონკრეტულ გვარებს არ დავასახელებ, ვისაც ვგულისხმობ, თვითონ მიხვდებიან და მინდა ვთქვა, რომ მათ გული მატკინეს.

**- ცხადია, არსებობენ ფეხბურთელები, რომლებმაც სუფთა ადამიანური და მორალური თვალსაზრისით თქვენი იმედები ვერ გაამართლეს.**

- ასეთი ფეხბურთელები ყოველთვის და ყველგან არსებობენ. ცხადია, მოხდა ისეთი რაღაცები, რასაც არ მოველოდი, მაგრამ ეს მუშაობის პროცესში ჩვეულებრივი ამბავია.

**- რას ურჩევდით საქართველოს ნაკრების მომავალ მწვრთნელს?**

- საქართველოს ნაკრების მომავალ მწვრთნელს ყურადღებით ყოფნას ვურჩევ. ვინც არ უნდა იყოს ის, ფაქტია, რომ რკინის ნერვები უნდა ჰქონდეს. ერთი შეხედვით პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: საქართველოს ნაკრების მწვრთნელი გაცილებით მძიმე წნეხის ქვეშ მოექცევა, ვიდრე მაგალითად, პოლონეთის ან შვეიცარიის.

**- 2005 წელს ეს ყველაფერი რომ გცოდნოდათ, საქართველოში მაინც ჩამოხვიდოდით?**

- აუცილებლად, ოღონდ ძალიან ბევრ რამეს სხვანაირად გავაკეთებდი. ერთი წელი მარტო იმაში დავკარგე, რომ სიტუაციას გავცნობოდი და ყველაფერი გამეგო. მე მეგონა, რომ საქართველოს ნაკრებში თამაში თითოეული ქართველი ფეხბურთელის ოცნება იყო. აღმოჩნდა, რომ ასე არ ყოფილა...

**- ერთ-ერთ კანდიდატად ფოლკერ ფინკეც მოიაზრება. მასზე რა აზრის ხართ და როგორ ფიქრობთ, დააყენებს ფეხზე საქართველოს ნაკრებს?**

- ფინკე ძალიან კარგი მწვრთნელია და მან ეს უკვე დაამტკიცა "ფრაიბურგში", სადაც ეპოქა შექმნა. ჩემი აზრით, ფინკე საქართველოსთვის ზედგამოჭრილი მწვრთნელი იქნებოდა.

**- მაგრამ ფიქრობთ, რომ საქართველოს ნაკრების მუნდიალზე მოხვედრა უტოპიაა...**

- ეს შესაძლებელია, რადგან ფეხბურთში გამორიცხული არაფერია. მაგრამ ამის მოთხოვნა არის უტოპია! ბულგარეთს საქართველოზე გაცილებით ძლიერი ნაკრები ჰყავს. იტალია, სადაც მარჩელო ლიპი ბრუნდება, აქედანვე არა მხოლოდ შესარჩევი ციკლის ჯგუფის, არამედ მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტია. ირლანდიის ნაკრებიც ძალიან ძლიერია. ანუ, რეალურად რომ ვიმსჯელოთ, ამ ჯგუფიდან იტალია და ბულგარეთი უნდა გავიდნენ.

**- დაბოლოს, ევროპის ჩემპიონატი. გერმანია ფინალში გავიდა...**

- ჰო, იოახიმ ლიოვის გუნდმა ფინალში თამაში ნამდვილად დაიმსახურა. ხორვატიასთან ცუდად ითამაშეს და არც ავსტრიასთან ბრწყინავდნენ, მაგრამ პორტუგალიასთან იდეალური ფეხბურთი აჩვენეს. თურქეთთან ცოტათი გაუმართლათ, მაგრამ ფინალში დამსახურებულად გავიდნენ. ვფიქრობ, ბუნდესგუნდი ევროპის ჩემპიონი გახდება. რუსეთის ნაკრებმა უდიდესი სენსაცია შემოგვთავაზა. ჰიდინკის ბიჭებმა ცუდად დაიწყეს, მაგრამ მერე გამოსწორდნენ. გუნდი, რომელმაც ჰოლანდიის შესანიშნავი ნაკრები გააგდო, უდიდეს აპლოდისმენტებს იმსახურებს. ქებას იმსახურებს ესპანეთიც. მაგრამ ევროპის ჩემპიონი მაინც გერმანია გახდება (იცინის).

გოტფრიდ ლენცი

იტალია

# დონადონი წავიდა, ლიპი უკვე რომშია...

## კონტრაქტი შეთანხმებულია



**როზერტო დონადონი** იტალიის ნაკრების მწვრთნელი აღარ არის. გუშინ ეს უკვე ოფიციალურად გაცხადდა. "სკუადრა აძურას" ან უკვე ყოფილი თავკაცი ფეხბურთის ფედერაციას იქაური დროით 13 საათზე ეწვია. ვიზიტს ერთადერთი მიზანი ჰქონდა: კონტრაქტის გაწყვეტა. "ფედერკალჩო" არ მიიჩნევს, რომ დონადონი გადაყენებულია, უბრალოდ, ხელშეკრულების იმ ყბადაღებული მუხლის თანახმად, თანამშრომლობა ავტომატურად შეწყდა და ფედერაციის პრეზიდენტმა **ჯანკარლო აბეტემ** ეს განმარტა კიდეც. საბოლოოდ დაიხურა კომპენსაციის საკითხიც. "დონმა" გარკვევით განაცხადა, რომ ფედერაციისგან ერთი ევროც არ უნდა. ჩანს, ეს გალიზიანებული კაცის ტონია, თუმც ის იქვე დასძენს, რომ ფედერაციის ბოსი მისი მეგობარია:

*"როგორც ვიცი, აბეტე ადვოკატია. ამავე დროს, ის ჩემი მეგობარიცაა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩემს ინტერესებს ვერ დაიცავს. აბეტემ ფეხბურთის ფედერაციის ინტერესებზე უნდა იზრუნოს და ამაში გასაკვირი არაფერია. რაც შეეხება კომპენსაციას, ვრჩები იმ აზრზე, რომ ეს საკითხი დღის წესრიგიდან უნდა მოიხსნას. კიდევ ერთხელ ვამბობ: არანაირი თანხა არ მჭირდება".*

მარჩელო ლიპი კი, აბეტესთან მოსალაპარაკებლად, მშობლიური ვიარეჯოდან რომში წინა ღამით ჩაბრძანდა. "კორიერე დელო სპორტმა" უკვე გაავრცელა ფოტოები (თუმც უხარისხო), რომელზეც ჩანს, რომ ლიპი ფედერაციის ოფისში, ვია ალეგრიზე, გუშინ დილით თავისი ვერცხლისფერი "მერსედესით" მივიდა. ვიზიტის პირველი წუთები ტელეკომპანია "სქაი იტალიამაც" გააშუქა. მანქანიდან გადმოსულმა ლიპიმ ჟურნალისტები თავაზიანად ჩამოიშორა და შენობაში გაუჩინარდა. მისი და აბეტეს შეხვედრის შემდეგ, ოფიციალური ინფორმაცია არ გავრცელებულა. თუმც მედიისთვის ცნობილი გახდა, რომ მხარეებმა კონტრაქტი უკვე შეათანხმეს...

### ზემანი: დონადონის გაშვება შეცდომაა

ლიპის კიდევ დავუბრუნდებით. ახლა კი, ერთი საინტერესო პერსონის მოსაზრება. სკანდალური განცხადებებით ცნობილი მწვრთნელი **ზდენეკ ზემანი** დონადონის გაშვებას შეცდომად მიიჩნევს:

*"ვთვლი, რომ ეს შეცდომაა. იტალიამ ისეთივე ფეხბურთი ითამაშა, როგორიც ორი წლის წინათ, მსოფლიო ჩემპიონატზე. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ამჯერად, "სკუადრა აძურას" ბედი ნაკლებად სწყალობდა. არ არის სწორი, თითქოს დონადონი ერთადერთია, ვინც იტალიის ნაკრების გავარდნის გამო პასუხი უნდა აგოს. წარუმატებლობის მიზეზი ისიცაა, რომ ფეხბურთელების უმეტესობა ევროპის ჩემპიონატს ცუდ ფორმაში შეხვდა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ იტალიურმა კლუბებმა ჩემპიონთა ლიგასა და უეფას თასზე ფიასკო განიცადეს".*

პრინციპში, ზემანი გარკვეულწილად მართალია, მაგრამ ის მაინც ხომ არ არის საკამათო, რომ სანაკრებოდ ფეხბურთელებს მწვრთნელი არჩევს და მათ ფორმასა თუ უფორმობაზეც ისაა პასუხისმგებელი. მაშინ, გამოდის, რომ "აძურას" მოთამაშეთა ღარიბი სათამაშო კონდიციები დონადონის "დამსახურებაცაა". აქ, მწვრთნელი შეიძლება გაამართლო იმაში, რომ სერია A-ს დასრულებიდან ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე, სულის მოსათქმელადაც და მოსამზადებლადაც, საკმარისი დრო არ იყო. თუმც ეს მუდმივი პრობლემაა და ამ მხრივ, ყველა გუნდი მეტ-ნაკლებად თანაბარ პირობებში იყო. იტალიას საწუწუნო სხვებზე მეტი არ უნდა ჰქონდეს.

მივდივართ იქამდე, რომ ნაციონალურ პირველობათა დაწყება-დამთავრების ვადები უნდა გადაიხედოს. ეს ეხება იმ წლებს, როცა მუნდიალი ან ევროპის ჩემპიონატი ტარდება. ერთი ალტერნატივა ისაა, რომ ადგილობრივმა ლიგებმა კლუბების რაოდენობა შეკვეცონ. მაგრამ ამაზე ფიქრი კი არა, გაგონებაც არავის უნდა. სამაგიეროდ, **მიშელ პლატინიმ** ისროლა ახალი იდეა, რომელსაც ყურადღება თითქოს არავინ მიაქცია (ალბათ, იმიტომ, რომ ევროპის ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა და ახალი იდეებისთვის არავის სცხელა). იდეა ასეთია - იქნებ, ფინალური ეტაპები ისე დავგეგმოთ, რომ აგვისტოს ბოლომდე გაგრძელდესო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამხრეთაფრიკული მუნდიალი 2010 წლის ივლისის ბოლოს დაიწყება, თუ პლატინი თავისას გაიტანს.

დაგვეთანხმებით, არის ამაში ლოგიკა. ოღონდ, პრობლემა ის გახლავთ, რომ მერე ეროვნული ჩემპიონატების დაწყება გადაიწევს სადღაც ოქტომბრის დასაწყისისთვის, რასაც ბევრი ნამდვილად არ მიესალმება...

ზემანმა კომენტარი გააკეთა ნაკრებში **ფრანჩესკო ტოტის** შესაძლო დაბრუნების თაობაზეც. ორიოდ დღით ადრე, იტალიურ მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს ტოტი და **ალესანდრო ნესტა** მზად არიან, დაბრუნდნენ ეროვნულ გუნდში, თუკი მწვრთნელის პოსტს ლიპი ჩაიბარებს. აი, რას ამბობს ზემანი:

*"არა მგონია, ეს მართალი იყოს. ტოტი თავის ნათქვამს უკან არ წაიღებს. ნაკრები მისთვის უკვე ისტორია. სხვათა შორის, როცა მან განცხადება გააკეთა, დავურეკე და ვურჩიე, არ ეჩქარა, ტრავმა მოერჩინა და ნაკრებში თამაშზე უარი არ ეთქვა... სამწუხაროდ, მან არ დამიჯერა. რა გაეწყობა... ვფიქრობ, თუ კარვალიო ამაური გადაწყვეტს იტალიის ნაკრებში თამაშს, ტონისთან ერთად კარგ ტანდემს შექმნის".*

ჟურნალისტებმა ისარგებლეს შემთხვევით და ზემანს "კალჩოპოლის" სკანდალიც შეახსენეს: *"ის ხალხი, ვინც მაქინაციებში ამხილეს, კვლავ ფეხბურთში ტრიალებს და ეს, უბრალოდ, თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი. თითქოს, რაღაც შეიცვალა, მაგრამ უმნიშვნელოდ. ფაქტია, სასამართლომ ხელშესახებ შედეგებს ვერ მიაღწია, ამიტომ, "კალჩოს" მიმართ ჯერაც პესიმისტურად ვარ განწყობილი".*

ბოლოს კი ზემანს საკუთარ მომავალზეც ჰკითხეს: *"რამდენიმე ვარიანტი მქონდა, მათ შორის, იტალიური კლუბებისგანაც, მაგრამ არჩევანი "ცრვენა ზვეზდაზე" შევაჩერე. იქ მუშაობა გაცილებით ადვილია. იტალიაში კლუბების პრეზიდენტებს ჩემი ეშინიათ. მათ ჰგონიათ, რომ სისტემას შევცვლი... მაგრამ არაფერზე ვნანობ, იტალიურმა ფეხბურთმა ძალიან ბევრი რამ მომცა".*

### ოფიციალურად...

დონადონისა და აბეტეს შეხვედრამ თითქმის სამ საათს გასტანა. ფედერაციის პრეზიდენტის კაბინეტში მწვრთნელს ნაკრების მენეჯერი **ჯიჯი რივაც** ელოდა. მხარეებმა დეტალურად იმსჯელეს განვლილ ორ წელიწადსა და ევროპის ჩემპიონატის შედეგებზე, წარმატებებსა თუ შეცდომებზე... პრინციპში, ეს ყველაფერი ფორმალობა იყო. აბეტემ არ აკადრა დონადონის, რომ ფედერაციის ოფიციალური განცხადება მწვრთნელს გაზეთში წაეკითხა. "ფედერკალჩოს" პრესრელიზში კი ნათქვამია, რომ დონადონი გათავისუფლებულია საკონტრაქტო ვალდებულებებისგან, თავად ამ კონტრაქტში ჩადებული პუნქტის გამო, რომელიც ნახევარფინალში ვერგასვლის შემთხვევაში, თანამშრომლობის ავტომატურ გაწყვეტას ითვალისწინებდა.

ახლა, იტალია ლიპის ოფიციალურ დაბრუნებას ელოდება...

თურქეთი

# თერიმი მიდის... იტალიაში?



თურქეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე წარუშლელი კვალი დატოვა. მიუხედავად ნახევარფინალში დამარცხებისა, ჩვენი მეზობელი ქვეყანა თავისი შვილების თამაშით, რბილად რომ ვთქვათ, უკმაყოფილო არ უნდა იყოს. "ბოლო წუთის" გმირებმა, როგორც თურქებს ავსტრია/შვეიცარიაში შეარქვეს, კინაღამ გერმანიასთანაც გაისროლეს და დაადასტურეს თავიანთი სტატუსი, მაგრამ... მაგრამ, "კოკამ წყალი მეოთხედ აღარ მოიტანა"...

ახლა, ნამდვილად ვერ ვიხსენებთ და, ის, რაც თურქეთმა ერთ კონკრეტულ ტურნირზე გააკეთა, ვგონებთ, მუნდიალების მასშტაბითაც უპრეცედენტო ფაქტია. შემობრუნებული თამაშები ბევრი გვინახავს და, სწორედ ამ საქმის დიდოსტატებთან დამარცხდა თურქეთი ნახევარფინალში, მაგრამ ზედიზედ სამ მატჩში? თან პერმანენტული საკადრო პრობლემების პირობებში? და კიდევ უკანასკნელ წამებზე? ეს ნამდვილად გმირების გუნდია...

ამ გმირებს თავისი სწორუპოვარი მწყემსი ჰყავდათ, ვინც პატარა თურქული სასწაულის ულაპარაკო შემოქმედი იყო - **ფათიჰ თერიმი**. კაცი-ემოცია, კაცი-ენერგია... კაცი-ლიდერი... კაცი, რომელმაც ზედმიწევნით ზუსტად შეარჩია საევროპო შემადგენლობა და ასევე ზუსტად იცოდა, კრიზისის პირობებში როგორ უნდა გადაეჯგუფებინა ძალები, რათა გუნდის საბრძოლო თვისებები და განწყობა შეენარჩუნებინა. ფანტასტიკური ბრძოლისუნარიანობა არ იყო ერთადერთი კოზირი, რითიც თურქეთი ნახევარფინალამდე მივიდა. გერმანიასთან მატჩში მან საოცარი სათამაშო დისციპლინა, შეტევისა თუ კონტრშეტევის წარმართვის უნარი და ტექნიკური მომზადების მაღალი დონე გამოავლინა. ყველა შემთხვევაში, თურქეთის ნაკრები, რუსეთთან ერთად, ამ ევროს ერთ-ერთი ნათელი წერტილია...

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს თერიმი პოსტს ტოვებს. სავარაუდოდ, თურქეთის ფეხბურთის ფედერაცია მწვრთნელის ამ სურვილს არ დააკმაყოფილებს და ეცდება, დაარწმუნოს, რომ წასვლის დრო ჯერ არ დამდგარა... მაგრამ ჩანს, "ფიორენტინასა" და "მილანის" ყოფილ თავკაცს გადაწყვეტილება მიღებული აქვს. თერიმმა ჩათვალა, რომ მაქსიმუმს მიაღწია. არა და, წინ მუნდიალია, სადაც თურქეთის ნაკრების ამ შემადგენლობას რაღაც პერსპექტივა ნამდვილად აქვს. გავიხსენოთ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, საიდანაც **შენოლ გიუნეშის** გუნდმა ბრინჯაო წაიღო. მაშინ, რატომ არ უნდა სურდეს 54 წლის თერიმს, რომ თანამემამულე კოლეგის მიღწევას შეეჭიდოს?

კაცია და გუნებაო, ნათქვამია. ეტყობა, ფათიჰ-ეფენდი თვლის, რომ სწორედაც წასვლის დროა. ნაკრების ბიჭები, თავის მწვრთნელიანად, სამშობლოში უკვე გმირებად შერაცხეს. გმირის რანგში წასვლა კი თერიმისთვის უთუოდ მომგებიანია:

*"ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან და ფეხბურთელებთან შეხვედრის შემდეგ, გამოვალ და საჯაროდ ვიტყვი, რომ ვიმუშავე ისე, როგორც შევძელი. იმედი მაქვს, რომ ვინც ჩემს მერე მოვა, ამ გუნდს ჩემპიონობას მოუტანს. ადრე უკვე ვთქვი, რომ ნებისმიერი შედეგის მიუხედავად, ნაკრებიდან წავიდოდი. ჩემს სიტყვას ვასრულებ. ყველაზე რეალური ისაა, რომ უცხოეთში წავალ. მაგრამ, ვიდრე პრეზიდენტს არ შევხვდები, მეტს ვერაფერს ვიტყვი".*

შემდეგ, თერიმმა ტურნირი შეაჯამა: *"ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც თურქულ ფეხბურთს ბოლო 70-80 წლის განმავლობაში არ გაუკეთებია. ფეხბურთელები თავაწეულები უნდა იყვნენ. დიახ, მათ წააგეს და ჩვენ გავვარდით, მაგრამ ეს იყო დიდებული 47 დღე, როცა ჩვენ ერთად ვიყავით და თავდაუზოგავად ვმუშაობდით, მაშინ, როცა მთელი მსოფლიოსთვის ახლა დასვენების პერიოდია. ჩვენ აქ ვიყავით საკუთარი ქვეყნის პრესტიჟის დასაცავად და მგონი, შევძელით კიდეც ეს. ჩემი ბიჭების გამო ვამაყობ. რაც ჩვენ გავაკეთეთ, უმნიშვნელოვანესი მოვლენაა მთლიანად ქვეყნისთვის და თურქული ფეხბურთისთვის. იმედი მაქვს, რომ ამის შემდეგ, თურქეთის ნაკრები ყოველთვის იქნება მუნდიალებსა და ევროპის ჩემპიონატებზე. ეს გუნდი დიდ ბიძგს მისცემს ქვეყანაში ფეხბურთის შემდგომ წინსვლას. ამის დიდი იმედი მაქვს".*

რაც შეეხება თერიმის მომავალს. ჯერ კიდევ მეოთხედფინალამდე, პრესაში დაიწერა, რომ თურქი სპეციალისტი სერიოზულად განიხილავდა იტალიაში დაბრუნების შესაძლებლობას. აპენინებზე ის "ფიორენტინასა" და "მილანს" წვრთნიდა. ფლორენციაში თერიმს საქმე აწყობილი ჰქონდა. გავიხსენოთ თუნდაც მაგიური ორკვირიანი ინტერვალი, როცა ერთმანეთის მიყოლებით "ინტერი" (3:1) და "მილანი" (4:0) გააცამტვერა. მაგრამ საკმარისი იყო საშინაო მარცხი (1:4) **დინო ძოფის** "ლაციოსთან", რომ "ვიოლას" პრეზიდენტმა **ვიტორიო ჩეკი გორიმ** თერიმს კარისკენ მიუთითა...

მერე იყო "მილანი", სადაც თავიდანვე ურიგოდ არ ჰქონდა საქმე, მაგრამ **სილვიო ბერლუსკონის** არ მოეწონა "რეჯინასთან" საშინაო ფრე და... თერიმმა იტალია დატოვა, ქვეყანა, სადაც მას "იმპერატორი" შეარქვეს. ჩანს, მას კვლავ იტალიისკენ მიუწევს გული. როგორც იქაური წყაროები იტყობინებიან, "ჯენოას" ხელმძღვანელობა მზადაა, ახლავე შეუწყვიტოს კონტრაქტი **ჯამპიერო გასპერინის**, თუკი თერიმი "მარასიზე" მუშაობას დათანხმდება. თურმე, ანალოგიური განწყობაა "ნაპოლისა" და "პალერმოშიც".

სხვა ქვეყნებს რაც შეეხება, ამბობენ, **პოლ ინსის** დანიშვნამდე თერიმს "ბლექბერნიც" დაუკავშირდაო, მაგრამ რაკი მწვრთნელმა მოსაფიქრებლად ორი კვირა ითხოვა, **ზურაბ ხიზანიშვილის** უფროსებმა არჩევანი ისევ ინსზე შეაჩერეს. საუბარია აგრეთვე "ვესტ ჰემსა" და "ჰერტაზეც". მოკლედ, არჩევანი თერიმზეა...

# EURO 2008

ევროვნული ბიბლიოთეკა

# ВАНЯ, ИДИ ДОМОЙ!

**ნახევარფინალი**

**რუსეთი-ესპანეთი 0:3**

ვენა. 26 ივნისი

**რუსეთი:** აკინფეევი, ანიუკოვი, იგნაშევიჩი, ვ. ბერეზუცკი, ჟირკოვი, სემაკი, საენკო (57. სიჩოვი), სემშოვი (56. ბილიალეტდინოვი), ზირიანოვი, არშავინი, პავლიუჩენკო.

**ესპანეთი:** კასილიასი, რამოსი, პუიოლი, მარჩენა, კაპდევილია, სენა, ინიესტა, ჩავი (69. ჩაბი ალონსო), სილვა, ვილია (35. ფაბრეგასი), ტორესი (69. გუისა).

**გოლები:** 0:1 ჩავი (50), 0:2 გუისა (73), 0:3 სილვა (83)

**მაყურებელი:** 51 428

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| 2 | გაფრთხილება | 0 |
| 6 (1) | დარტყმა | 18 (11) |
| 18 | ჯარიმა | 14 |
| 3 | კუთხური | 4 |
| 48% | ბურთის ფლობა | 52% |



აქ, ტორესი პენალტს ითხოვდა...

ქებათა ქება ესპანეთის დიდ ნაკრებს! 1984 წლის შემდეგ, "სელექსიონმა" ევროპის ჩემპიონატის ფინალში პირველად გააღწია. კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ ამ დიდ წარმატებაზე არაერთი თაობის ფეხბურთელი ოცნებობდა, მაგრამ ფეხბურთიდან ისე წავიდა, რომ ნატვრა ვერ აისრულა. ესპანელები ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე გრძნობდნენ, რომ წინ რაღაც დიადი, აქამდე მიუწვდომელი და შეუძლებელი ელოდათ. **ლუის არაგონესმა** ეს შეძლო. მართლაც, ლანძღვაგინებით მინასთან გასწორებულმა ასაკოვანმა მწვრთნელმა სასწაული მოახდინა. მოდით, ვაღიაროთ, რომ ეს სასწაული მხოლოდ ფინალში გასვლა არ არის. ამაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი, უშუალოდ თამაშის ხარისხი და მრავალფეროვნებაა. ამ ევროპის ჩემპიონატზე ბურთს ისე ვერავინ აკონტროლებდა, როგორც ესპანეთის ეროვნული გუნდი. პირენეელებმა ცხვირაბზუებული რუსეთის ნაკრები მიწაზე ძალიან მტკივნეულად დაახეთქეს. თავდაპირველად, გაჩნდა ეჭვი და მცირე შიში, **დავიდ ვილიამ** ტრავმა მიიღო... მაგრამ, არაგონესმა მოედანზე **სესკ ფაბრეგასი** შეუშვა და "სელექსიონი" არაჩვეულებრივად ათამაშდა. მეორე ტაიმში ესპანეთმა **გუუს ჰიდინკის** გუნდი მოედნიდან გააქრო...

**ჩავი ერნანდესის, დანი გუისასა** და **დავიდ სილვას** გვარები ესპანური ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება. ამ ბიჭების სამმა გოლმა დიდ გამარჯვებებს მოწყურებულ "სელექსიონს" საოცნებო ფინალის საგზური მოუტანა. თამაშის წინა დღეებში ჩვენი მეზობლების ბანაკში დიდი ეიფორია სუფევდა. როგორც ჩანს, ჰოლანდიასთან მოპოვებულმა შთამბეჭდავმა გამარჯვებამ რუსები შეცდომაში შეიყვანა. გულშემატკივრებმა დაიჯერეს, რომ მათი კერპები ევროპული დონის მოთამაშეები იყვნენ. გუშინ, ისინი დარწმუნდებოდნენ, რომ ევროპულ დონეს მხოლოდ მათი მთავარი მწვრთნელი პასუხობს, დანარჩენები კი ბევრი არაფრით გამოირჩევიან. რა თქმა უნდა, **ანდრეი არშავინი** ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ **სენამ** და **პუიოლმა** მას ფეხი არ გაანძრევინეს.

არაგონესმა წლის უმთავრესი ტურნირისთვის გუნდი არაჩვეულებრივად მოამზადა. ცოტა გასაკვირია, მაგრამ პერმანენტული უილბლობით დაღლილმა პირენეელებმა, როგორც იქნა, საკუთარი შესაძლებლობების ირწმუნეს. მთავარი ეს იყო, თამაშის ორგანიზება კი მონდომების საქმე გახლდათ. "სელექსიონში" ყველაფერი საათივით იყო აწყობილი. გუნდის ხერხემალი ისევ და ისევ სენა გახლდათ, გაესპანელებულმა ბრაზილიელმა მოედნის ცენტრში რუსები ლამის ცოცხლად შეჭამა, თუმცა ბუნებრივია, თანაგუნდელების დახმარების გარეშე ის ვერაფერს გახდებოდა. აღფრთოვანებას იწვევდა ესპანელთა დინამიურობა. იყო ეპიზოდები, როცა სენა არშავინის გასაჩერებლად სხვა ზონაში გადადიოდა. ამით, წესით, **სემშოვს** ხელ-ფეხი უნდა გახსნოდა, მაგრამ ამ დროს მარკოსს **სილვა** აზღვევდა. როცა ვალენსიელი მოედნის სიღრმეში შედიოდა, **კაპდევილია** დაუყოვნებლივ წინ მიიწევდა და **საენკოსა** და **ანიუკოვს** შეტევაში ჩართვის საშუალებას უსპობდა. არანაკლებ აღფრთოვანებას იწვევდა, დაცვიდან შეტევაში გადასვლის სისხარტე. ესპანელები წამებში უბრუნდებოდნენ თავიანთ პოზიებს და გაშლილი ფეხბურთით მოწინააღმდეგეს არა ერთ თავსატეხს უჩენდნენ...

ცოდვა გამხელილი სჯობს და, **ინიესტა** შორსაა საუკეთესო კონდიციებისგან, მაგრამ გენიალური ბარსელონელი ისე როგორ დაეცემოდა, რუსები კიდევ ერთხელ რომ არ გაემწარებინა. გახსოვთ, ამ გუნდების პირველი შეხვედრა? ანდრესმა მაშინ ულამაზესი პასით ვილია ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა და გოლი გაატანინა. ამჯერად, ინიესტამ ჩავის შეუწყო ხელი. "ბარსას" ბიჭებმა კატალონიური ცეცხლი დაანთეს და რუსები მწარედ დასაჯეს.

არც ეს იყო შემთხვევითობა. გაიხსენეთ, კატალონიური გიგანტის თამაშები. ჩავის საჯარიმოში შეპარვა ძალიან უყვარს და მშვენივრადაც გამოდის ხოლმე. შეუძლებელია, ინიესტას თანაკლუბელის მოძრაობა თავიდანვე არ დაენახა, ამიტომ, მან ბურთი ცენტრისკენ შემოატრიალა და მეგობარს პასი არ დაუგვიანა.

მეორე გოლი **გუისას** ანგარიშზე ჩაიწერა. "მალიორკის" ფორვარდი საოცარი ადამიანია. ის არასოდეს ხმაურობს, პრეტენზიებით თავს არავის აბეზრებს და საქმეს ყოველთვის ჩუმად აკეთებს. გუისა ჯერ კარგად გაიხსნა, მერე ბურთი დაამუშავა და საკმაოდ რთული პოზიციიდან ბურთი მეკარის მოძრაობის საპირისპირო მხარეს გაგზავნა. არსებობენ ფორვარდები, რომლებიც დარტყმის დროს ბურთს თვალს ვერ აშორებენ. ისინი, როგორც წესი, უამრავ მომენტს აფუჭებენ ხოლმე, მაგრამ გუისა მათ კატეგორიას ნამდვილად არ განეკუთვნება. მალიორკელმა ყველაფერი გააზრებულად გააკეთა.

ბოლოს სილვამაც გაიტანა. ვალენსიელს საგოლე პასი ფაბრეგასმა მიაწოდა. ყველამ იცით, რომ ესპანეთმა რუსეთი მიმდინარე ევროპის პირველობაზე ზედიზედ მეორედ დაამარცხა, თუმცა ამ გუნდების ურთიერთშეხვედრების ისტორია ამით არ ამოიწურება. სტატისტიკის მოყვარულთ აუცილებლად ეცოდინებათ, რომ 1964 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში ესპანეთმა საბჭოთა კავშირის ნაკრები 2:1 დაამარცხა. ყველა თამაშის შედეგი რომ არ ჩამოვთვალოთ, მოკლედ მოგახსენებთ, რომ ესპანელებს რუსებთან არც ერთი ოფიციალური შეხვედრა არ წაუგიათ...

საფინალო სასტვენის შემდეგ ფეხბურთელებმა მოედანზე მცირე ფიესტა მოაწყვეს. ფინალში გასვლით, რა თქმა უნდა, ყველამ გაიხარა, მაგრამ გასახდელში შესულებმა ერთი უსიამოვნო ამბავი გაიგეს: სახელდახელო სამედიცინო შემოწმების წყალობით დადგინდა, რომ ვილიას კუნთი დაეჭიმა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ევრო 2008-ის საუკეთესო ბომბარდირი ფინალურ ორთაბრძოლას სათადარიგოთა სკამიდან იხილავს. ექიმებს გამოცდილება კარნახობს, რომ ამგვარი ტრავმის მოშუშებას, 10 დღე მაინც ჭირდება. აქვე გეტყვით, რომ ექიმები ვილიას დღეს კიდევ საგულდაგულოდ გასინჯავენ და ზუსტ დიაგნოზს დასვამენ.

ცხადია, ტრავმა ძალზე სამწუხაროა, მაგრამ ახლა თავად ვილიას ჩათვლით, ყველა ფინალში გასვლას ზეიმობს. ესპანეთს გერმანია ელოდება. დიდ ტურნირზე ამ გუნდების უკანასკნელი შეხვედრა 1994 წლით თარიღდება. ამერიკაში გამართულ მუნდიალზე "სელექსიონი" და ბუნდესგუნდი ერთმანეთს დაუზავდნენ (1:1). ახლა ფრე არავის აწყობს, ასე რომ, წინ ძალიან დიდი სანახაობა გველის...



გუისას დარტყმა და 2:0

### მატჩის შემდეგ

**ლუის არაგონესი** (ესპანეთი): "ტურნირის დაწყების წინ მიზნად ფინალში გასვლას ვისახავდით, ამის გათვალისწინებით, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მიზანს უკვე მივაღწიეთ. ყველა გულშემატკივარს ვულოცავ, ესპანეთი 24 წლის შემდეგ ისევ ფინალშია. ჩემი ბიჭების ასპარეზობით აღფრთოვანებული ვარ. პირველ ტაიმში ერთი შეხედვით თანაბარი თამაში მიდიოდა, მაგრამ რუსებს ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა ისე უჭირდათ, რომ თითქმის მთელი ენერგია პირველივე ნახევარში დახარჯეს. შესვენების შემდეგ არაჩვეულებრივად ავთამაშდით. აბსოლუტურად ყველაფერი გამოგვდიოდა. ფაბრეგასი შეხვედრაში ძალიან კარგად ჩაერთო. ნახევარდაცვაში შეუდარებლები ვიყავით. შეტევებისას ბურთს იშვიათად ვკარგავდით. რუსების იერიშებს კი ხშირ შემთხვევაში ასევე მოედნის ცენტრში ვაჩერებდით. მოკლედ, ჩემმა ბიჭებმა თავგანწირვით ითამაშეს და აბსოლუტურად დამსახურებულად გაიმარჯვეს. ძალიან ბედნიერი ვარ. რომ შემეძლოს, ესპანეთში ჩავიდოდი, ბავშვობის მეგობრებთან ერთად ჩვენი უბნის საყვარელ ბარში შევიდოდი და გათენებამდე დღევანდელ მატჩზე ვილაპარაკებდი. არა უშავს, ფინალის შემდეგ, თუ მოვიგებთ, უფრო მეტი სალაპარაკო გვექნება. ბარის მეპატრონეს წინასწარვე ვუკვეთავ მაგიდას: აბა, მანოლო, შენებურად უნდა გაგვიმასპინძლდე".

**გუუს ჰიდინკი** (რუსეთი): "დღეს ტურნირის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან დავმარცხდით. ესპანეთს დაახლოებით ერთი საათი გავუძელით, მაგრამ შემდეგ ბრძოლა შევწყვიტეთ და დიდი ანგარიშით დავმარცხდით. დღევანდელი წარუმატებლობის მიუხედავად, ჩემი გუნდით ძალიან კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილზე გასვლა უდიდესი წარმატებაა. როცა რუსეთის ნაკრები ჩავიბარე, უამრავი პრობლემა დამხვდა, მაგრამ საკმაოდ მცირე დროში, ფაქტობრივად, სასწაული მოვახდინეთ. ეს ერთობლივი მუშაობის შედეგია. ბიჭებს თავდადებისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ. პირადად მე, გულშემატკივრებთან შეხვედრის არ შემრცხვება. ესპანეთმა სრულიად დამსახურებულად მოიგო და გამარჯვებას გულწრფელად ვულოცავ".

ილია ნიკოლაიშვილი

# EURO 2008

# ესეც ვენა....



სპეციალური რეპორტაჟი

ლელოსთვის ვენიდან

მამუკა კვარაცხელია

ვიცი, დამიჯერებთ და ამიტომაც გიმხელთ – პირველი, რაც 1 ივნისს უთენია ზონდერბრიგადის მიერ ჩემი გატაცების მომენტში ცოლ-შვილისა და მშობლების შემდეგ გამახსენდა, ევროპის ჩემპიონატი იყო: შენგენისა და შვეიცარიის ვიზიანი პასპორტები, ევრო 2008-ის აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობები (მთელი ჩემპიონატის!!!), საკრედიტო ბარათები, პირადობისა და მართვის მოწმობები... ყველაფერი დაიკარგა... მობილურს, ფულს და სხვა წვრილმანს ვინ ჩივის... ჰო, მართლა, მანქანაც წაიყვანეს...

რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციაში გონს მოსვლის შემდეგ დღეების ათვლა დავიწყე – 7 დღე ჩემპიონატამდე, 6, 5... შოთას გაცილების მატჩამდე ძმებმა ლაუდრუპებმა დამირეკეს, მომიკითხეს, გამამხნევეს და ჩემპიონატზე ხომ მოდიხარო? - მკითხეს... 4 დღე ბაზელის თამაშამდე. 3, 2... არა, გახსნის მატჩს ვერ ვუსწრებ... იქნება მეორე ტურზე მაინც წამოვდგე ფეხზე და ჩავფრინდე? არა, გამტაცებლებს მაგრად უმუშავიათ... მესამეზე? – ექიმს გიჟი ვგონივარ... იქნება მეოთხედფინალში მაინც? – ძველქართულ მამაპაპურ ხერხს – წურბლების დასმას მივმართავ: 33 ქართული წურბელა, მერსედესის სამკუთხა ემბლემასავით რომ აქვთ ლაყუჩები, სამი დღე წოვენ შედედებულ, ჩაშავებულ სისხლს, მთელ სხეულს პანტერასავით კი ამიჭრელებს, მაგრამ მაინც ვერ ერევა ამდენ ჩაქცეულ სისხლსა და ჰემატომას... არა, მაქსიმუმი ნახევარფინალია, ისიც, უკეთეს შემთხვევაში...

ვენაცვალე საბურთალოს საპასპორტო განყოფილების მუშაკებს – ახალი პასპორტი უცებ გამიმზადეს! გერმანიის და შვეიცარიის საელჩოებიც ისე სწრაფად მოქმედებდნენ, ვიზებიც უმალ ავილე და ესეც ვენის რეისი! მაგრამ ბედი არ გინდა, იგვიანებს... წუთები საუკუნეებად მეჩვენება, გადის ერთი საათი, მეორე და როგორც იქნა, ჩასხდომა გამოცხადდა...

ვენა კი თურმე ინგრევა ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, ლამისაა ქარმა და წვიმამ წალეკოს. აკი ვიწვნიეთ კიდეც სტიქიის ძალა გერმანია-თურქეთის ნახევარფინალზე, არადა, დაახლოებით ისეთი პრობლემა ყოფილა, როგორც 2003 წლის საქართველო-რუსეთზე: სათადარიგო დენის წყაროს გამოცდა არცა არავის უფიქრია და როცა დასჭირდათ, ვერ გაერკვნენ...

ესეც ვენის აეროპორტი... ჯერ ადრეა და უეფას საგანგებო, სტუმრების მისალებად განკუთვნილ მაგიდაზე არავინ ზის, მხოლოდ 9 საათიდან იქნებიანო... ბედად, მოხალისეები მცნობენ და ახალთახალი ჰიუნდაის მინივენით პირდაპირ სტადიონზე მოვყავარ. მძღოლს მადლობას ვეუბნები და მის აკრედიტაციაზე სახელის და გვარის წაკითხვისას მეცინება: მიხაელ ვენახი!

აკრედიტაციისას კი მცირე პრობლემა მექმნება – ძველი, გატაცებული საპასპორტო მონაცემები აქვთ, მაგრამ აქაც მშველის უეფას მედია ოფიცრობა და იქვე მიცვლიან ძველ ციფრებს, მიღებენ სურათს და სამ წუთში მიმზადებენ აკრედიტაციას:..

სტადიონის შესასვლელი კი 11 სექტემბრის შემდგომ ამერიკის აეროპორტების შესასვლელს მოგაგონებთ: საგანგებო ჩხრეკასა და ტელემონიტორებს ჩემი ერთლიტრიანი ღვინის ბოთლი ეწირება – რაღა ესენი და რაღა რუსეთის მთავარი სანიტარი კოვალენკო... ეეჰ, დამრჩნენ რუსი კოლეგა-მეგობრები ქართული ღვინის გარეშე...

მედია ცენტრი ცარიელია: ჯერ ადრეა, ნელ-ნელა გროვდებიან ჩემი უეფელი კოლეგები. პირველი ბასკი ბორხე ბილბაო და რუსი სერგეი ბორისოვი მოდიან. ფეხზე რომ მხედავენ, ბიჭები ემოციას ვერ იკავებენ და ისე მეხვევიან, ლამისაა მეორედ მომტეხონ ნეკნები...

წამო, სტადიონი დაგათვალიერებინოთ, - მთავაზობს ბორხე და თავის საკუთარ, ყველგან შესასვლელ საშვს მაძლევს. ასე აღმოვჩნდი ესპანეთის გასახდელში, სადაც ეს-ესაა ნაკრების მენეჯერებმა ფორმა და ბუცები შემოიტანეს და ალაგებენ. დავიდ ვილიას სკამს ვირჩევ და ბიჭები სურათს მიღებენ – აი, ის სამი წყვილი კაშკაშა წითელი ბუცი ჩემს ფეხებსშუა, რომელთაც უკვე 4 გოლი შეაგდეს და ვინ იცის, ეგება დღეს ფინალშიც გაიყვანონ ესპანელები...

ესეც ჰიდინკის მომავალი მისაყუდებელი სათადარიგოთა სკამზე... ვცდილობ, დიდი ჰოლანდიელი მწვრთნელის გამომეტყველება მივიღო და ბიჭებიც მიღებენ და მიღებენ. ბევრი კადრი გააფუჭეს, სანამ არ დარწმუნდნენ რომ ჰოლანდიელივით ვიყურები. არა, ძნელი ყოფილა ჰიდინკობა...

"ერნსტ ჰაპელი" ულამაზესი სტადიონია, ფაქტობრივად ყველა ნიუანსია გათვალისწინებული. ვათვალიერებ ვიპ ლოჟას, სადაც რამდენიმე საათში ევროპისა და მსოფლიოო ფეხბურთის მამები უნდა დასხდნენ. ერთ-ერთ სავარძელზე ვჯდები – იქნება ბლატერის ან პლატინის ადგილი მიკავია?

სტადიონის "ინსპექტირებას" ვამთავრებ და გარეთ გამოვდივარ – მაინტერესებს, რა ხდება. ყველა ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით მოკლეტრუსიან რუს ნაშებს, რომლებიც სიმბოლურ ფასად მოგემსახურებიან... ჰა, რა გაიფიქრეთ? არაფერიც, აპრუწუწუნ, კოვზი ნაცარში ჩაგივარდათ - "მომსახურებაში" თქვენი სახის სამფეროვანი რუსული დროშისფრად შეღებვას ვგულისხმობ...

ალაგ-ალაგ ჩანან დოლრიალა ბუმბულიან-დათხუპნულ-გაჩეჩილი ფანები, ყურადღების მიქცევა რომ უნდათ, ძირითადად რუსები არიან, არ ვიმჩნევ, რომ რუსული მესმის და განგებ ინგლისურად ვეკითხები. პასუხად: რასია – ჩემპიონ! ბ...დ! ზოგს უკვე მიღებული აქვს გრადუსი და მათთვის სულ ერთია, ვინ მოიგებს...

თამაშის დაწყებამდე 3 საათით ადრე ისეთი შხაპუნა წვიმა წამოვიდა, მთელი ჟურნალისტთა საძმო აბობოქრდა და შეშფოთდა – წარღვნა იწყებაო და ყველამ მედია ცენტრის შენობას მოაშურა სირბილით. უნდა გენახათ ფუტკრის სკამონაგონია – 200 ფოტოგრაფი და 900 მწერალი ჟურნალისტი ფუთფუთებდა!!! თანაც ბევრს აქედან ბილეთი არა აქვს და უგრძელეს რიგში დგას დამატებითი ბილეთის მოლოდინში. დამატებითი ბილეთები კი თამაშამდე ერთი საათით ადრე დარიგდება და არაა გამორიცხული, ყველამ ვერ მიიღოს... ძნელია, ათასობით კილომეტრზე წამოხვიდე, ამდენი ფული დახარჯო და თამაშზე ვერ შეხვიდე. მადლობა ღმერთს, ამის პრობლემა არა მაქვს – არათუ თამაშის ბილეთი, არამედ პრესკონფერენციისა და შერეული ზონის საშვიც მომცეს მეგობრებმა და იშტოიანის გარდა ყველა მონაწილე ფეხბურთელს ვნახავ...

თამაშამდე ერთი საათით ადრე მედია ცენტრში დათო ქლიბაძე შემოვიდა, მთელი ჩემპიონატი აქაა და თავის ჭიას ახარებს. სულ ვსაყვედურობ, ამდენ ჩემპიონატს დასწრებიხარ, ამდენი რამე გინახავს და რატომ წიგნად არ წერ-მეთქი. მპირდება, აუცილებლად დავწერო, მაგრამ... კარგა ხანს ვისაუბრეთ და მერე ტრიბუნისკენ გაეშურა.

ეს-ესაა თამაშის ოქმი შემოიტანეს, კოლოდინის ნაცვლად ერთ-ერთი ძმა ბერეზუცკი თამაშობს, მაშასადამე 50 მეტრიან პირდაპირ დარტყმებს კარში ვერ ვიხილავთ. მოკლედ თამაში იწყება...



გერმანელი გულშემატკივრები



ესპანელთა გასახდელში, დავიდ ვილიას სკამზე









ცოტა ხანში ამ ადგილს გუუს ჰიდინკი დაიკავებს

## P.S.

პრესკონფერენციაზე მიმავალი, მოულოდნელად "ჩელსის" ყოფილ მწვრთნელ **ავრამ გრანტს** შევეჩეხე. ის-ის იყო ჟურნალისტებს თავი დააღწია და გასასვლელისკენ მიდიოდა, როცა გვერდიდან მივუახლოვდი და ვკითხე:

**- ბატონო ავრამ, ქართველი ჟურნლისტი გაწუხებთ...**

- გისმენთ, - შეჩერდა გრანტი.

**- მართალია, რომ საქართველოს ნაკრებში ინიშნებით?**

- ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ.

**- იმას მაინც ნუ უარყოფთ, რომ მოლაპარაკებები მიდის...**

- მოდით, ასე გიპასუხებთ: ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, საქართველოზე საუბარი არის, მაგრამ მეტს ვერაფერს გეტყვით...

**- წარმატებას გისურვებთ.**

- გმადლობთ, - მიპასუხა გრანტმა და იქვე პატარა ქალ-ვაჟს მიუახლოვდა. ეტყობა, ოჯახობა ელოდებოდა...



**მამუკა კვარაცხელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

# კრისტიანო ისვენებს

## პორტუგალიელი ვარსკვლავი სპეკულაციებს სარდინიაზე გაექცა

იმ დროს, როდესაც მთელი ევროპა **კრისტიანო რონალდოს** მომავალზე მსჯელობს, ფეხბურთელი მეგობარ გოგონასთან ერთად სარდინიაში ისვენებს. მათი განცხრომის ამბავი "დეილი მეილის" გუშინდელმა ნომერმა მოგვაწოდა.

კრისტიანო და **ნერეიდა გალიარდო** ურთმანეთოდ ვერ ძლებენ. მათ არც გადავსებული პლაჟები აღელვებთ და არც ოჯახის წევრების სიახლოვე. რონალდო სარდინიაში დედასთან და დებთან ერთად გაემგზავრა. მას ესპანეთიდან ჩააკითხა გოგონამ, რომელთანაც იანვრიდან მეგობრობს.

მათი ურთიერთობა იმდენად სერიოზულია, რომ წყვილი მალე ერთ სახლში გადავა. ჯერჯერობით კი რონალდო და ნერეიდა ცალ-ცალკე ცხოვრობენ. უფრო მეტიც, ისინი სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობენ. ნერეიდა მალიორკელია. კრისტიანო მას მალიორკის ერთ-ერთ ღამის კლუბში შეხვდა და მას შემდეგ, გოგონას გამუდმებით პატიჟებდა ინგლისში, "მანჩესტერ იუნაიტედის" თამაშებზე.

იმისათვის, რომ შვებულება დაუვიწყარ დღესასწაულად იქცეს, რონალდომ 10 მილიონ გირვანქად შეფასებული უძვირფასესი იახტა დაიქირავა. "დეილი მეილმა" ვერ გაარკვია, რა უჯდება ფეხბურთელს ეს სიამოვნება. რონალდო და ახლობელ-მეგობრები ყოველ საღამოს სარდინიის გარშემო მოგზაურობენ და გემბანიდან ღია ზღვის ცქერით ტკბებიან.

კრისტიანო ულამაზეს კუნძულზე გაექცა გაუთავებელ სპეკულაციებს მის ტრანსფერთან დაკავშირებით. ფეხბურთელს ტელეფონი გათიშული აქვს, რომ გამუდმებით არ დაურეკონ და არ ჰკითხონ: აპირებს თუ არა "მანჩესტერ იუნაიტედში" კიდევ ოთხი წლით (კონტრაქტის ამოწურვამდე) დარჩენას, ან კიდევ, მართალია, თუ არა, რომ "რეალმა" კვირაში 180 ათასი გირვანქა შესთავაზა.

არანაკლებ საინტერესოა ისიც, თუ რას უპირებს კრისტიანო "მანჩესტერის" მდიდრულ გარეუბან ოლდერლი ეჯში ნაყიდ ვილას. ფეხბურთელმა სახლი "მენიუსთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებისთანავე შეიძინა. მას ეს სიამოვნება 4 მილიონი გირვანქა დაუჯდა. რონალდომ ხელოსნები დაიქირავა, რომ სახლი თავის გემოზე მოეწყო. რემონტი ივლისის შუა რიცხვებში უნდა დასრულდეს, სწორედ იმ დროს, როდესაც კრისტიანოს შვებულება დაუმთავრდება, მაგრამ ის ძვირფას ბინაში შეიძლება აღარ დაბრუნდეს.


კრისტიანო და ნერეიდა

სარდინიაზე გამგზავრების წინ, პორტუგალიელმა ვარსკვლავმა "პორშე 911" შეიძინა. მან ძვირფას ავტოში 80 ათასი გირვანქა გადაიხადა. როგორც ამბობენ, მანქანა ნერეიდასთვისაა განკუთვნილი. ეს მისი საჩუქარი იქნება იმის ნიშნად, რომ წყვილი ერთად აპირებს ცხოვრებას. ქორწილზე ჯერ არ საუბრობენ. რონალდო სულ რაღაც 23 წლისაა და ოჯახის შექმნა სულაც არ ეჩქარება.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# არშავინი ბარსელონაში, 20 მილიონად

## კლუბები ადასტურებენ, რომ მოლაპარაკებები მალე დაიწყება


ანდრეი არშავინს
ბარსელონაში ელოდებიან

"ბარსელონა" "ზენიტთან" მოლაპარაკებებს იწყებს. კატალონიელები **ანდრეი არშავინის** შესაძენად 20 მილიონ გირვანქას ამზადებენ. ეს ინფორმაცია "დიარიო სპორტმა" გაავრცელა. გაზეთი ბარსელონელთა ვიცე-პრეზიდენტ **ფერან სორიანოს** დაუკავშირდა და მისგან ასეთი კომენტარი მიიღო: *"მას (არშავინს) რამდენიმე თვეა, ვაკვირდებით. ვიცოდით, რომ ჩინებული ნახევარმცველი იყო. ევროპის ჩემპიონატისას დავრწმუნდით, რომ შეტევის ფლანგზეც საუცხოოდ თამაშობს. ყოველგვარი ეჭვი გაგვეფანტა. არშავინი სწორედ ის ფეხბურთელია, რომელიც გვჭირდება. "ზენიტს" დაუყოვნებლივ შევეხმიანებით."*

ევროპის ჩემპიონატზე ნაჩვენები საუცხოო თამაშის წყალობით, რუსმა ვარსკვლავმა პრემიერლიგის გრანდების ყურადღებაც მიიპყრო. მაგრამ ფეხბურთელს "ბარსაში" გადასვლა სურს, რადგან "ბარსელონა" მისი ოცნების კლუბია. ბარსელონელთა შეთავაზების შემთხვევაში, არშავინისათვის ალტერნატივა არ იარსებებს და ის "კამპ ნოუზე" დაუფიქრებლად გადავა.

"დიარიო სპორტმა" ინფორმაცია სანკტ პეტერბურგშიც გადაამოწმა. "ზენიტის" სპორტულმა დირექტორმა **კონსტანტინე სარსანიამ** დაადასტურა, რომ "ბარსამ" მოლაპარაკებების დაწყება ითხოვა. სარსანიამ განაცხადა, რომ კლუბი ანდრეის ტრანსფერს ხელს არ შეუშლის: *"დროა, მან ევროპულ გრანდებში მოსინჯოს ძალა. "ბარსელონა" საუცხოო ვარიანტია."* "ზენიტის" წარმომადგენელს ფეხბურთელის ფასის თაობაზე არაფერი უთქვამს. როდესაც სთხოვეს, დაედასტურებინა, რომ "ბარსა" ნამდვილად 20 მილიონს იხდის, სარსანიამ პასუხის გაცემისაგან თავი შეიკავა.

ფიორენტინა

# მუტუ კიდევ სამი წლით

**ადრიან მუტუმ** "ფიორენტინასთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. რუმინელთა ფორვარდმა წერტილი დაუსვა სპეკულაციებს მის მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით. მუტუ ფლორენციაში 2012 წლამდე დარჩება. მას ხელშეკრულების გაგრძელება ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე შესთავაზეს. ფეხბურთელმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. რუმინელები ევროზე სიკვდილის ჯგუფში ჩარჩნენ. შინ დაბრუნებული მუტუ "ფიორენტინას" დაუკავშირდა და აუწყა, რომ გუნდში რჩება. სპეკულაციების თანახმად, ადრიანის შეძენა "ბარსელონასა" და "შალკეს" სურდათ - "ბარსელონას" მას შემდეგ, რაც **ემანუელ ადებაიორმა** კონტრაქტის გაფორმებაზე ცივი უარი განუცხადა.


ადრიან მუტუ

მუტუს ამბავს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა "ფიორენტინის" პრეზიდენტი **ანდრეა დელა ვალე**: *"ეს წუთია, სპორტულმა დირექტორმა, პანტალეო კორვინომ მაუწყა, რომ შეთანხმება შედგა. სიმართლე გითხრათ, მე თავიდანვე ოპტიმისტურად ვიყავი განწყობილი. ვიცოდი, რომ არ გვიღალატებდა. ფლორენცია მუტუსათვის იდეალური ადგილია. ადრიანმა იცის, რა შეუძლია ჩვენს გუნდს. კარგად იცნობს "ფიორენტინის" სახელფასო პოლიტიკას, რომელიც ყველა ფეხბურთელზე ვრცელდება. ფინანსური უთანხმოება არ გვქონია. ამიტომ მოლაპარაკებები უმოკლეს დროში დასრულდა. მიხარია, რომ თანამშრომლობა გრძელდება."*

### სიმაო კვარეშმაში არ იცვლება

**სიმაო საბროსამ** "პორტუში" გადასვლა არ ისურვა. ის კვლავ "ატლეტიკოშია". მადრიდელებმა "პორტუს" სიმაოსა და **რიკარდო კვარეშმას** გაცვლა შესთავაზეს. "ატლეტიკო" მზად იყო, დამატებით 10 მილიონი ევრო გადაეხადა. პორტუგალიური კლუბი დათანხმდა, მაგრამ სიმაოს პროტესტმა გარიგება, ფაქტობრივად, ჩაშალა. სიმაომ უარი იმით ახსნა, რომ ის ძველი ბენფიკელია. "ბენფიკა" და "პორტუ" კონკურენტები არიან. მე რომ "პორტუში" წავსულიყავი, ლისაბონელი გულშემატკივარი ვერ გამიგებდაო, განუცხადა ფეხბურთელმა "ა ბოლას".

მადრიდელებს კვარეშმა სჭირდებათ. 24 წლის ფეხბურთელი 40 მილიონი ევრო ღირს. "ატლეტიკოს" კი მთელ საზაფხულო ტრანსფერებზე 25 მილიონი ევრო აქვს გამოყოფილი. "პორტუს" ეს თანხა სასაცილოდ არ ჰყოფნის. ის ჯიუტად ითხოვს კვარეშმას კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის გადახდას. მხარეები მოლაპარაკებებს აგრძელებენ.

### ეტოო დარჩენის იმედს არ კარგავს

"ეკიპის" ცნობით, "ბარსელონა" ფრანგულ კლუბებს შეეხმიანა და **სამუელ ეტოო** შესთავაზა. კამერუნელი ვარსკვლავით მხოლოდ მარსელის "ოლიმპიკი" დაინტერესდა. მან კატალონიელებს მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა. ეტოოს ფრანგული ვარიანტის თაობაზე არაფერი უთქვამს. ფეხბურთელი ახალ სამსახურს, საფრანგეთზე მეტად, იტალიასა და ინგლისში ეძებს. "მარსელს" იმედს აძლევს ის გარემოება, რომ შთამბეჭდავი სეზონის შემდეგ, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურს დაეუფლა.

ფრანგ მიმომხილველებს ეტოოს "ოლიმპიკში" გადასვლის ძალიან ეეჭვებათ. ფეხბურთელი 40 მილიონი ევრო ღირს. მას წელიწადში 4 მილიონ ევროს უხდიან. "მარსელს" ასეთი ფინანსური რესურსები არ გააჩნია. როგორც ჩანს, მას "ბარსელონასთან" საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება უნდა. ასეთ შემთხვევაში, არც ამოდენა სატრანსფერო თანხის გადახდა მოუწევს და ხელფასის ნაწილიც კატალონიელების დასაფარი იქნება. ეტოო "ბარსელონის" ახალ თავკაც **პეპ გუარდიოლასთან** შეხვედრას აპირებს. კამერუნელი კატალონიაში დარჩენის იმედს არ კარგავს.

### ნიემი რეინას დუბლიორად

"ლივერპული" **პეპე რეინას** დუბლიორს ეძებს. მერსისაიდელები ფულჰემელი **ანტი ნიემით** დაინტერესდნენ. ფინელი მეკარე 36 წლისაა. დუბლიორობისათვის ის სწორედ რომ ოპტიმალური კანდიდატია. "ლივერპული" ბირმინგემელი **მაიკ ტეილორის** შეძენას ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ. "ფულჰემმა" "მიდლსბროდან" ავსტრალიელი კარის დარაჯი **მარკ შვარცერი** შეიძინა. ნიემის პოზიციები შესუსტდა. ამიტომ მერსისაიდელთა შეთავაზებაზე უარი არ უნდა თქვას. დღე-დღეზე "ლივერპულმა" უდინელი მცველის, **ანდრეა დოსენას** ტრანსფერიც უნდა სრულყოს. დოსენა ნორვეგიელ **ჯონ არნე რიისეს** შეცვლის. ამ უკანასკნელმა 5 მილიონ გირვანქად "რომას" მიაშურა. რომაელებს კიდევ ერთი ლივერპულელის, **ჰარი კიუელის** შეძენა სურთ. ავსტრალიელი ვარსკვლავის საკითხი ჯერ არ გარკვეულა.

იუვენტუსი

# ველოსო ქალბატონსაც მოუნდა

## დიეგო მილიტო იაკუინტას ნაცვლად?

"იუვენტუსმა" ლისაბონის "სპორტინგს" **მიგელ ველოსოს** გაყიდვა შესთავაზა. 22 წლის ნახევარმცველს პორტუგალიიდან წასვლა სურს. მას უმაღლეს დონეზე ძალების მოსინჯვა უნდა. სპეკულაციების თანახმად, ველოსოს "მანჩესტერ იუნაიტედი" და "არსენალი" ეპატიჟებიან. "იუვე" მესამე გრანდია, რომელიც ფეხბურთელის ტრანსფერით დაინტერესდა. "სპორტინგის" ხელმძღვანელობა სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტს. მას დიდი ფულის გაკეთების შანსი გაუჩნდა.

"არსენალს" მიგელი **მატიო ფლამინის** შემცვლელად სჭირდება. ამ უკანასკნელმა, მოგეხსენებათ, "მილანს" მიაშურა. "მეთოფეებს" მძიმე ბრძოლა გადახდებათ. "იუვენტუსმა" ჯერჯერობით ვერც **ალბერტო აკვილანი** დაიბევა და ვერც **ჩაბი ალონსო**. ამიტომ მთელ ძალისხმევას ლისაბონელი ვარსკვლავისაკენ მიმართავს.

*"ვადასტურებ, რომ ნახევარდაცვის გაძლიერება გვსურს,* - განუცხადა ტურინელთა სპორტულმა დირექტორმა ალესიო სეკომ "გაძეტა დელო სპორტს" - *მიგელ ველოსო? დიახ, ვიცნობთ მას. შეუძლებელია, რომ არ ვიცნობდეთ. ის კარგი ბიჭია, მაგრამ არა მგონია, მისი შეძენა ადვილი იყოს. შეუძლებელი არაფერია. მე მხოლოდ ის ვთქვი, ძნელი იქნება-მეთქი."*

მიგელ ველოსოს კონტრაქტში ჩაწერილი იყო თანხა - 30 მილიონი ევრო. ამ პუნქტის მოქმედების ვადა ამოიწურა. ესე იგი, ფეხბურთელის ყიდვა გაცილებით იაფად შეიძლება. თანხაზე შეთანხმებას მოლაპარაკება სჭირდება. "იუვე" მოლაპარაკებებს მას შემდეგ გააჩაღებს, როცა დარწმუნდება, რომ ლივერპულელი ჩაბი ალონსოს ტრანსფერი ჩაიშალა.

ტურინელთა ამბიციები ამით არ ამოიწურება. "ქალბატონი" ხორვატიის ნაკრების მარჯვენა მცველით, **დანიელ პრანიჩითაც** დაინტერესდა. 26 წლის ფეხბურთელმა ევროპის ჩემპიონატზე შთამბეჭდავად ითამაშა. ის "ჰერენვეენის" საკუთრებაა. ჰოლანდიელები ფეხბურთელის სანაცვლოდ 6 მილიონ ევროს ითხოვენ. თავდაპირველად, "იუვეს" ლიონელი **ფაბიო გროსოს** შეძენა უნდოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი


მიგელ ველოსო

საფრანგეთიდან წასვლას არ აპირებს. ის "ლიონში" ჩინებულად მოეწყო და იტალია ჯერ არ ენატრება.

"ტუტოსპორტის" ცნობით, ტურინელები "გალათასარაისაც" შეეხმიანნენ და **არდა თურანის** ამბები გამოკითხეს. "იუვე" მზადაა, თურქებს ახალგაზრდა ვინგერის სანაცვლოდ **ჯონათან ზებინა** და **სერჟიო ალმირონი** შესთავაზოს.

და კიდევ, თუ "სარაგოსა" ძალიან ძვირს არ მოითხოვს, "ქალბატონი" არგენტინელ თავდამსხმელ **დიეგო მილიტოსაც** სიამოვნებით გაუფორმებს კონტრაქტს. არაგონელები სეგუნდა დივიზიონში გავარდნენ. ისინი საუკეთესო ფეხბურთელებს ყიდიან. მათ შორის, მილიტოსაც.

როგორც ამბობენ, **ვინჩენცო იაკუინტას** ახალი სამსახურის მოძებნა სურს. თუ ის წავა, "იუვე" მილიტოს ჩაიყვანს. გასულ ზაფხულს დიეგოს ფასი 20 მილიონი ევრო იყო. უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნის შემდეგ, მისი შეძენა 12 მილიონადაც შეიძლებაო, წერს "ასი". კომენტარები არ გაკეთებულა.

პეკინი 2008. ოლიმპიადის მონაწილენი. ბადრი ხასაია (ჭიდაობა)

# ხასაიას მეორე სუნთქვა გაეხსნა



ბადრი ხასაია

ამას წინათ „პეტრეს დარბაზს" ვესტუმრე. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **დათო დავითაია** თავის სტიქიაში დამხვდა. ვარჯიშის შემდეგ ჩემთვისაც მოიცალა.

- საინტერესო ამბავი მამცნეს, - მითხრა მან. - ტალინში ცხოვრობს აფხაზეთიდან ლტოლვილი **ირაკლი ესებუა**, რომელიც შეჯიბრებებზე ბალტიისპირელთა სახელით გამოდის. იგი გუნდთან ერთად ერთობლივ საწვრთნელ შეკრებაზე ყოფილა შვედეთში. პირველსავე დღეს **არა აბრაჰამიანს** ირაკლი ამოურჩევია სპარინგ-პარტნიორად - ხასაიას მაგონებო. ეს ფაქტი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მსოფლიოს საუკეთესო მოჭიდავეები ბადრისთან შესახვედრად სპეციალურად ემზადებიან. არც ჩვენ ვართ გულხელდაკრეფილნი - ვიდეოჩანაწერებით თითოეული შესაძლო მეტოქის დადებით და უარყოფით მხარეებს ვსწავლობთ...

**ბადრი ხასაიას**, მართლაც, ძლიერი კონკურენტები ეყოლება პეკინში. მათ შორის, უპირველესად, სახელოვანი ფალავნები - რუსი ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი **ალექსეი მიშინი**, შვედი ოლიმპიური პრიზიორი, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი არა აბრაჰამიანი, თურქი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი **ნაზმი ავლუჯა** უნდა დავასახელოთ, თუმცა, არც სხვები იქნებიან ხელწამოსაკრავი, რადგან ოლიმპიურ თამაშებზე შემთხვევით არავინ ხვდება, მით უმეტეს - ჭიდაობაში.

წლევანდელი სეზონი ხასაიამ წარმატებით დაიწყო: უნგრეთში მსოფლიო თასზე ერთი შეხვედრა მოიგო, მერე იქვე „გრან პრიზე" ხუთ მეტოქეს სძლია, ნახევარფინალში ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს, ევროპის ჩემპიონ **ვიაჩესლავ მაკარენკოს** (ბელარუსი) დააყრევინა ფარ-ხმალი, ფინალში კი მისი თანამემამულე **ანდრეი ბარანოვსკი** დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ქართველ ფალავანს „ოქრომდე" ხელის ერთი განვდენაღა რჩებოდა ევროპის ჩემპიონატზეც, მაგრამ ტრავმის გამო ოცნება ვერ აისრულა, თუმცა თავიდან სამი მეტოქე იოლად ჩამოიცილა გზიდან. ნახევარფინალში გერმანელ **ფიშერს** დაუპირისპირდა. პირველ პერიოდში, როცა 4:0 დანინაურდა და ჩოქბჯენში იცავდა თავს, მკერდის კუნთი გაუწყდა. გაუსაძლისი ტკივილის მიუხედავად, ის პაექრობა მაინც მიიყვანა სასურველ დასასრულამდე.

- ფინალში თურქ ნაზმი ავლუჯასთან ჭიდაობა სათუო იყო, - მითხრა ბადრიმ. - გუნდის ექიმი და მწვრთნელები სახიფათოდ მიიჩნევდნენ ხალიჩაზე ჩემს გასვლას. მაინც გავრისკე. პირველსავე დაჯახებაზე ისეთი ტკივილი ვიგრძენი, ბრძოლის გაგრძელება ვერ შევძელი. საბოლოოდ, ვერცხლის მედალს დავჯერდი.

არადა, თურქი მოჭიდავე სულაც არ იყო გადაულახავი ზღუდე - შარშან ბაქოში მსოფლიო ჩემპიონატზე ხასაიამ „ბრინჯაოსთვის" პაექრობაში ავლუჯასაც სძლია და აბრაჰამიანსაც, რითაც პეკინის ოლიმპიადის საგზურიც დაიმსახურა და დიდი ხნის ოცნებაც აისრულა. მიზნისთვის ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ უნდა მიეღწია. მით უმეტეს, რომ ბადრი ხასაიამ (ვარჯიში მამის რჩევით 10 წლისამ ქუთაისში ჯემალ კოსტავასთან დაიწყო, 1991 წლიდან დავით დავითაიასთან იმაღლებს ოსტატობას. ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო პირველობების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორია) 2002 წელს უფროსებში ევროპის ჩემპიონატი მოიგო, და მსოფლიოზე კი მეორე ადგილი დაიკავა, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ წლის საუკეთესო ფალავნად დაასახელა. მაგრამ...

- სამწუხაროდ, კარგა ხანია, უიღბლობა დამჩემდა, - განაგრძო თხრობა ხასაიამ. - 2003 წლის სეზონი კარგად დავიწყე: საქართველოს ჩემპიონატის ფინალში **ალექსანდრე დოხტურიშვილს** (მომავალი ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულს - ვ.დ.) ვძლიე და ეროვნულ ნაკრებში ადგილი დავიმკვიდრე, თუმცა ენერგია დიდხანს არ მეყო - შეჯიბრებების წინ წონაში 7-8 კილოგრამის დაკლებამ, ეტყობა, გამომფიტა და საფრანგეთში მსოფლიო ჩემპიონატზე უსაგზუროდ დავრჩი. მომდევნო წელს ჩერნოგორიაში სალიცენზიო ტურნირზე მყესები დამიწყდა და ათენის თამაშებზე ოცნებასაც დავემშვიდობე.

ბადრი ხასაიამ 2004 წელი ტრავმების გამო, ფაქტობრივად, ჩააგდო - მენისკის ოპერაცია გაიკეთა და მთელი სეზონი მკურნალობდა. ცოტა რომ წამოიმუხლა, 2005 წლის ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. რომ ეგონა, ამოვისუნთქეო, ერთ-ერთ ვარჯიშზე მეორე ფეხი დაიზიანა. ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის - **კახა გეწაძის** დახმარებით კიევში გაემგზავრა საოპერაციოდ. უკრაინელი დასტაქრების გარჯა შედეგიანი გამოდგა - ქართველი ფალავანი კვლავ დაუბრუნდა ხალიჩას. ივლისში გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი მოიგო და მსოფლიო ჩემპიონატზეც გაემგზავრა ჩინეთში. იქაც ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ ამჯერად მსაჯებმა უმუხთლეს - მესამე ადგილისთვის ბრძოლისას ალექსეი მიშინის სარმა „ვერ შენიშნეს" და „ბრინჯაოც" რუსს გაატანეს.

- მას შემდეგ, რაც წონა შევიცვალე, ხალიჩაზე თავს უკეთ ვგრძნობ. ფიზიკური კონდიციებიც გავიუმჯობესე და მეტოქეებსაც იოლად ვუმკლავდები. ახლა ჩემს მწვრთნელებთან ერთად პეკინის თამაშებისთვის სპეციალური გეგმით ვემზადები. ვეცდები, ქომაგები ჩინეთის დედაქალაქიდანაც გავახარო, - იმედიანადაა ბადრი ხასაია, რომელიც წახკაძორში იმყოფებოდა საწვრთნელ შეკრებაზე, ახლა კი ვარჯიშს თბილისში გ[illegible]ობს.

**ვაჟა დანელია**

ხელბურთი. ინტერვიუ შოთა თევზაძესთან

# რუმინული ვარიანტი ყველას ჯობდა

**როგორც გაცნობეთ, საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების მეკარე შოთა თევზაძემ ახალი კლუბი გამონახა. იგი მინიმუმ, ერთი წლით რუმინეთის "ბაკაუში" ითამაშებს. შოთას გუშინ თავისი ახალი გუნდის შესახებ გავესაუბრეთ.**

- "ბაკაუს" გარდა, მქონდა სხვა ვარიანტებიც. მაგალითად, თურქეთის ჩემპიონატის კლუბები მიწვევდნენ. თუმცა, "ბაკაუმ" ყველაზე უკეთესი პირობები შემომთავაზა და გავაფორმე კიდეც კონტრაქტი 1+1 სისტემით.

სხვათა შორის, ჩემს აგენტს ახლაც უკავშირდებიან სხვადასხვა გუნდები, მაგრამ უკვე კონტრაქტიანი მოთამაშე ვარ და რუმინეთში გადასვლას არ ვნანობ.

**- რით მოგხიბლა "ბაკაუმ"?**

- კარგი პირობებით, რუმინეთის ჩემპიონატის დონეც საკმაოდ მაღალია. "ბაკაუმ" ზედიზედ ორჯერ მოიგო "ჩელენჯ კაპი" და ევროთასებზე წლეულსაც ითამაშებს. შარშან რუმინეთის ჩემპიონატში მეოთხე ადგილს დასჯერდნენ, ახლა კი გაცილებით დიდი ამბიციები აქვთ. შემადგენლობის საგრძნობლად გაძლიერებას აპირებენ.

**- შენს პოზიციაზე რამდენად ძლიერი კონკურენტები გეყოლება?**

- გუნდში 3 მეკარე ვართ. ერთი ვეტერანია - რუმინეთის ნაკრების ყოფილი გოლკიპერი, მეორე კი ახალგაზრდაა. ვიმედოვნებ, ძირითადი მეკარე მე ვიქნები. ვნახოთ, ჩავალ, ვივარჯიშებ გუნდთან ერთად და მწვრთნელები გადაწყვეტენ ყველაფერს.

ივლისის პირველ ნახევარში საქართველოს ნაკრებს მსოფლიო უნივერსიადაზე დავეხმარები, მერე ცოტა ხნით თბილისში დავბრუნდები და აქედან მივაშურებ რუმინეთს. სეზონის დაწყებამდე გვექნება რამდენიმე შეკრება, ჩავატარებთ ამხანაგურ მატჩებს და დიდწილად იქ გადაწყდება ყველაფერი.

**კობა ხატისაშვილი**




შოთა თევზაძე

ინტერვიუ რატი მსხვილიძესთან

# ჯერ უნივერსიადა, მერე ისევ ისლანდია



**საქართველოს ნაკრების ხელბურთელმა რატი მსხვილიძემ სეზონი დაასრულა. მისმა "სტიარნანმა" ისლანდიის ჩემპიონატში არცთუ ისე კარგად ითამაშა და თუკი შარშან ვერცხლის მედალი მოიპოვა, წლეულს მეხუთე იყო.**

**რატი ისლანდიიდან დაბრუნდა და საქართველოს ნაკრებთან ერთად, მსოფლიო უნივერსიადისთვის ემზადება.**

- სამწუხაროდ, ისლანდიის ჩემპიონატის მეორე ნახევარში დავშავდი. კონკრეტულად, ვარჯიშის დროს, თანაგუნდელს შევეჯახე და ტვინის შერყევა მივიღე. რეაბილიტაციას თითქმის მთელი დარჩენილი სეზონი მოვუნდი და ჩასატარებელი მატჩებიდან თითქმის ყველა გამიცდა. სანამ ჯანმრთელად ვიყავი, მათამაშებდნენ და საშუალოდ, ერთ შეხვედრაში 3-5 გოლი გამქონდა...

**- ახლა ჯანმრთელად ხარ?**

- საბედნიეროდ, უკვე კარგად ვარ და საქართველოს ნაკრებთან ერთად, აქტიურად ვემზადები მოახლოებული უნივერსიადისთვის. იმედი მაქვს, ახლაც ისეთივე წარმატებით ვითამაშებთ, როგორც წინა უნივერსიადაზე. თუმცა, ჯერ ჯგუფიდან გასვლაა საჭირო, სადაც სერბეთი და იაპონია, საკმაოდ ძლიერი მეტოქეები გვყავს.

**- "სტიარნანის" ხელმძღვანელობამ როგორ შეაფასა სეზონი?**

- რაღა თქმა უნდა, მეხუთე ადგილი წარუმატებლობად ჩათვალეს და ახალი სეზონიდან გუნდის გაძლიერებას აპირებენ. ერთი უკრაინელი ლეგიონერი უკვე გაუშვეს და კიდევ გამოეთხოვებიან რამდენიმე ხელბურთელს, სანაცვლოდ კი უფრო ძლიერ მოთამაშეებს დაიმატებენ. ვიმედოვნებ, ახალ სეზონში გაცილებით სოლიდური გუნდი გვეყოლება.

**- როლანდ ერაძემ კარიერა ხომ არ დაასრულა?**

- არა, როლანდი ასაკის მიუხედავად, კვლავ კარგ ფორმაშია. კონტრაქტით კიდევ ერთი წელიწადი აკავშირებს "სტიარნანთან" და მერე თავად გადაწყვეტს საკუთარ მომავალს...

**კობა ხატისაშვილი**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# საქა-რთველო ტურნირს გამოეთიშა

ნორვეგიის ქალაქ სტავანგერში მსოფლიო ტურის ჩორიგ ეტაპზე ასპარეზობა დაასრულა პლაჟბურთის ქართულმა წყვილმა ქალთა შორის **საქა-რთველომ.** ჩვენმა ფრენბურთელებმა G ჯგუფის ბოლო შეხვედრაშიც მარცხი იწვნიეს ამჯერად მექსიკურ დუეტთან. **კანდელასი და გარსია,** მართალია, პირველ სეტში 21:19 დამარცხდა, მაგრამ მერე სრული ტრანსფორმაცია განიცადეს და საქართველოს იოლად სძლიეს 21:14, 15:6.

ამრიგად, საქა-რთველომ ნორვეგიიდან მხოლოდ 80 სარეიტინგო ქულა და 3 500 ამერიკული დოლარი საპრიზო თანხა წამოიღო. რეიტინგში ჩვენი ფრენბურთელები წინ ვერ წაიწევენ, მაგრამ ალბათ, არც უკან დაიხევენ. ვინაიდან ნორვეგიის პლაჟბურთის კორტები მათი კონკურენტებისთვისაც უიღბლო გამოდგა.

წარუმატებლად აიღო სტარტი ვაჟთა შორის **გეორ-გიამ.** ჩვენ ფრენბურთელებს M ჯგუფში მეტოქეებად კემპერერი-კორნეგი (გერმანია), ბორესმა-რუნესი (ჰოლანდია) და სოდერბერგი-ჰოიერი (დანია) ერგო. პირველი შეხვედრა ჰოლანდიელებთან დაძაბული გამოდგა, პირველ სეტში განცდილი მარცხის შემდეგ 16:21, მეორეში გეორ-გია გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა და სეტიც სათავისოდ დაასრულა 21:14. თუმცა მეტის



მისაღწევად ჩვენს ფრენბურთელებს ძალა აღარ ეყოთ და გადამწყვეტ სეტში 15:10 დამარცხდნენ. პირველ ტურში მარცხი იწვნია მოულოდნელად ჯგუფის ფავორიტმა გერმანულმა დუეტმა **კლემპერერი-კორნეგის,** შემადგენლობით, რომელიც ტურნირზე მე-4 ნომრადაა განთესილი. მათი განბილება 29-ე ნომრად განთესილმა დანიურმა დუეტმა **სოდერბეგმა და ჰოიერმა** მოახერხა 2:1(21:10, 19:21, 22:20). იგივეს მოხერხება კი გეორ-გიამ ვერ შეძლო და ჯგუფური ტურნირის მეორე მატჩში გერმანელებთან ორივე სეტი ფაქტობრივად, უბრძოლველად დათმო 14:21, 11:21.

დღეს გეორ-გია ჯგუფის ბოლო შეხვედრას დანიურ წყვილთან **სოდერბერგთან და ჰოიერთან** გამართავს. შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ჩვენ ფრენბურთელებს აუცილებლად ორ სეტში გამარჯვება მართებთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. 18-წლამდელთა ნაკრები

# უკრაინა შვიდ წუთში დავამშვიდეთ

საქართველოს 18-წლამდელ კალათბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისათვის სამზადისს განაგრძობს. **მიხეილ კობეშავიძის** შეგირდებს "დინამოს" ბაზაზე უკრაინელი თანატოლები ესტუმრნენ, რომლებთანაც ჩვენმა გუნდმა 3 საკონტროლო მატჩი უნდა ჩაატაროს.

პირველი შეხვედრა გუშინ შედგა. მატჩის საწყისი 20-წუთიანი მონაკვეთი სტუმრების იყო, რომლებმაც პირველი შეროთხედი 14:12 მოგვიგეს, დიდ შესვენებაზე კი 12-ქულიანი ფორით (39:27) გავიდნენ.

ქართველმა 18-წლამდელებმა მეტოქის გატეხვა, ფაქტობრივად, მესამე პერიოდის საწყის 7-წუთიან მონაკვეთში მოახერხეს, რომელიც 16:0 მოიგეს, "აწყვეტილი" სტუმრები დააოკეს და საბოლოოდ, მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს - 66:62. ჩვენი გუნდიდან ყველაზე მეტად გამოირჩნენ **ნიკა მეტრეველი** (21 ქულა) და **კოკა ტომარაძე** (11 ქულა).

"დინამოს" ბაზა საქართველო-უკრაინას მეორე მატჩს დღეს 18 საათზე უმასპინძლებს, ხოლო მესამე შეხვედრა ხვალ რუსთავის დარბაზში 17 საათზეა დაგეგმილი.

**კობა ხატისაშვილი**

მშვილდოსნობა

# ნარიმანიძე მეოთხედფინალში გავიდა

ფრანგულ ქალაქ ბოეში 23-28 ივნისს მსოფლიო თასის მეოთხე ეტაპი ტარდება მშვილდოსნობაში, სადაც ქართველი ქალები და ვაჟები ასპარეზობენ. ინდივიდუალურ ტურნირში მოხრილი მშვილდ-ისრით ყველაზე უკეთ იასპარეზა **ხათუნა ნარიმანიძემ**. მან საკვალიფიკაციოში მხოლოდ მე-40 შედეგი აჩვენა, თუმცა პლეი ოფში ბრწყინვალედ ისროლა. პირველ წრეში ხათუნამ საკვალიფიკაციოში 25-ე შედეგის მქონე ფრანგი **ვირჟინ არნოლდი** დაამარცხა – 106:99. შემდეგ ნარიმანიძემ ბრიტანელ **ნაომი ფოლკარდის** (მე-8 შედეგი) სძლია – 113:109. მესამე წრეში ნარიმანიძემ დუელში მონღოლი **ბიშინდე ურანთუნგალაგი** დაამარცხა – 112:104. ასე გააღწია ყველასთვის მოულოდნელად ხათუნა ნარიმანიძემ მეოთხედფინალში, იქ კი მას საკვალიფიკაციოში ლიდერი კორეელი **სუნ-ჰიუნ პარკი** შეხვდა, რომელთანაც ჩვენებური დამარცხდა – 105:112. საბოლოოდ, კორეელმა ოქროს მედალი მოიპოვა.

ARCHERY
Meteksan World Cup
Boe, June 23 – 28, 2008

## ესებუას არ გაუმართლა

**ქრისტინე ესებუამ** შესანიშნავად ისროლა საკვალიფიკაციოში და მე-13 შედეგი აჩვენა. მაგრამ პლეი ოფში, მან მხოლოდ ერთი ეტაპი დაძლია, როცა ვენესუელელი **ლიზბეტ ლეონი** დაამარცხა – 109:101. მეორე წრეში ესებუამ ბრიტანელ **ალისონ უილიამსონთან** დაძაბულ ბრძოლაში წააგო – 103:104. ქართველმა ვაჟებმა წარუმატებლად ისროლეს, ისინი პლეი ოფში ვერ მოხვდნენ და ვერც ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვეს. **შალვა ტაბლიაშვილი** 50-ე ადგილზე გავიდა, ხოლო ჩვენები გუნდურ ტურნირში არ ასპარეზობენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



კალათბურთი. ინტერვიუ გელა წულაძესთან

# მთავარია ფიზიკა და ფსიქოლოგია

**აგვისტოში საქართველოს კადეტთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატს ითამაშებს. გელა წულაძის 16-წლამდელებთან ერთად ჯგუფში მოხვდნენ რუსეთის, საფრანგეთისა და ისრაელის ნაკრებები. თუ რა შანსები გვაქვს, ამაზე მწვრთნელი ქვემოთ გვესაუბრება, აქ კი გეტყვით, რომ ჯგუფში თუნდაც ერთი მატჩის მოგება მეოთხე ადგილისთვის თავის არიდების საწინდარი იქნება, ხოლო ქვეჯგუფის ზედა სამეულში მოხვედრა, თავისთავად, A ლიგაში ადგილის შენარჩუნებას უდრის. მეორე ეტაპზე ბოლოადგილოსანი სხვა ჯგუფების მეოთხეებთან ერთად ელიტაში დარჩენისთვის იბრძლებს, ხოლო ზედა სამეული ჩემპიონობისთვის პაექრობას განაგრძობს. ცხადია, ქართველებს ოქროს მოპოვებას არავინ სთხოვს, ჩვენი კადეტების მიზანი, A დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაა, თუმცა თუ შარშანდელ შედეგს გააუმჯობესებენ, უკეთესი იქნება. 2007 წლის ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა 16-წლამდელებმა მე-12 ადგილი დაიკავეს.**

**როგორ მოემზადება გუნდი ევროპის პირველობისთვის, რას უნდა ველოდეთ მისგან და რა შემადგენლობით იასპარეზებს, ამ საკითხებზე კადეტთა ნაკრების თავკაცი გელა წულაძე გვესაუბრება.**



გელა წულაძე

- 23 ივნისიდან დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში ვემზადებით. ფიზმომზადების მწვრთნელ **ავთო ბერიძესთან** ერთად 20 ვარჯიშს ჩავატარებთ. კვირაში მხოლოდ ერთ დღს დავისვენებთ, ხოლო სამი დღე ტრენაჟორების დარბაზში შევალთ. ერთი კვირის შემდეგ საკალათბურთო დარბაზში გადავინაცვლებთ, თუმცა ფიზმომზადებას არ შევწყვეტთ - დილით მძლეოსნობის მანეჟში ვივარჯიშებთ, ხოლო საღამოს ბურთთან ვიმუშავებთ. წვრთნის ასეთი სისტემა 14 ივლისამდე გასტანს და, ვფიქრობთ, რომ გუნდი საკმარისად უნდა მოლონიერდეს.

**- 14-ის შემდეგ საწვრთნელ პროცესში რა შეიცვლება?**

- ევროპის ჩემპიონატზე ყოველი სამი დღის შემდეგ შესვენება გვიწევს, ამიტომ თბილისშიც ამავე სქემით მოვემზადებით - სამი დღე ვივარჯიშებთ, მეოთხეს დავისვენებთ. სხვათა შორის, შარშანაც ამ სისტემით ვემზადებოდით. 14 ივლისიდან ფიზმომზადებას ამოვიღებთ და წვრთნას დილა-საღამოს დარბაზში განვაგრძობთ.

**- აგვისტომდე საკონტროლო მატჩებიც აუცილებელი იქნება...**

- ოფიციალურ ტრნირამდე ამხანაგურ შეხვედრებში ძალების გამოცდა ნამდვილად დაგვჭირდება. სადღეისოდ გადაწყვეტილი არ არის, რომელ ტურნირზე გავემგზავრებით. არის ესტონეთის ვარიანტი, გვეპატიჟება ესპანეთი... ვცდილობთ, ისეთი შეჯიბრება შევარჩიოთ, სადაც ჩვენთვის სასურველი მეტოქენი იქნებიან. ესპანეთთან და იტალიასთან დაპირისპირება სასარგებლოა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის წინ ისეთ ტურნირზე გვინდა წასვლა, სადაც მინიმუმ ერთ მატჩს მაინც მოვიგებთ, რადგან ბიჭებს თვითრწმენა შეემატოთ და ფსიქოლოგიური განწყობა გაუუმჯობესდეთ. ისე არ გაიგოთ, თითქოს ამა თუ იმ მატჩისთვის წინასწარ წასაგებად ვიყოთ მომართულნი, მოედანზე ყოველთვის მოსაგებად გავდივართ, მაგრამ იმავე იტალიასა და ესპანეთს ყოველთვის ჩვენზე ძლიერი, მეტიც - საჩემპიონო გუნდი ჰყავს. საერთაშორისო ტურნირზე, სავარაუდოდ, ივლისის ბოლოს გავემგზავრებით. იქიდან დაბრუნების შემდეგ კიდევ უფრო ნათლად გვეცოდინება, რა კომპონენტები გვაქვს დასახვეწი და 15 აგვისტომდე მათზე ვიმუშავებთ. 15-ში ევროპის კადეტთა ჩემპიონატი დაიწყება.

**- 1992 წელს დაბადებულთა ნაკრები დიდი ხნის წინათ შეიქმნა. შესაბამისად, სხვა ნაკრებებთან შედარებით შეკრული უნდა იყოს.**

- დიახ,1992-წლიანები ორნახევარი წლის წინათ შევკრიბეთ და მას შემდეგ სამ საერთაშორისო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა - ორჯერ თურქეთში, ერთხელ - ესპანეთში. თურქეთში წლეულს ვიყავით და ნაყოფიერად ვიმუშავეთ. იქ თავმოყრილი იყო ევროპის ჩემპიონატის მონაწილე 12 გუნდი, მათ შორის კონტინენტის პირველობაზე ჩვენი ჯგუფის ორი გუნდი - რუსეთი და საფრანგეთი. რუსეთის ნაკრებთან თანაბრად ვითამაშეთ და ბოლო წუთებზე 71:77 დავმარცხდით. შეიძლება აგვისტომდე რუსები ერთი-ორად გაძლიერდნენ, მაგრამ ერთ ადგილზე არც ჩვენ ვდგავართ. თურქეთის ტურნირმა გვიჩვენა, რომ მათთან გამარჯვება შესაძლებელია. ფრანგებს ძლიერი გუნდი ჰყავთ. მათი თამაშის ვიდეოჩანაწერი შევიძინეთ და კარგად ვაანალიზებთ. რაც შეეხება ქვეჯგუფის მესამე მეტოქეს, ისრაელს, ამ ნაკრებს თითქმის არ ვიცნობთ.

**- ისრაელს, შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე აჯობეთ...**

- იმ შემადგენლობიდან 1992-წლიანთა ნაკრებში მხოლოდ მერაბ ბოქოლიშვილი დარჩა. ებრაელებიც ძირეულად შეცვლიდნენ შემადგენლობას, ამიტომ შარშანდელი მატჩით დასკვნების გამოტანა არ შეიძლება.

**- გარდა იმისა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი მეტოქეები ნახეთ, კიდევ რა შეგმატათ თურქეთის ტურნირმა?**

- ნებისმიერ მატჩში თვალშისაცემი იყო ერთი რამ - მოწინააღმდეგენი ფიზიკურად გვჯობდნენ. ამიტომ თბილისში დაბრუნების შემდეგ დიდი ყურადღება დავუთმეთ ტრენაჟორებზე ვარჯიშს და შედეგიც მალე მივიღეთ: თუ მანამდე საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში თითო-ოროლა სუსტი გუნდი გვყავდა დამარცხებული, თურქეთიდან ჩამოსვლის შემდეგ მესამე მატჩიდან არავის არაფერს ვუთმობდით. ისეთ კლუბებსაც კი ვაჯობეთ, ვისთანაც მანამდე 30 ქულის სხვაობით გვქონდა წაგებული. ტურნირის ფავორიტებთან თანაბარ ორთაბრძოლაში დავმარცხდით. კადეტთა ნაკრების პროგრესით ყველა გაკვირვებული იყო. ამას ორი მიზეზი ჰქონდა - ფიზიკურად მოძლიერება და თვითრწმენის შეძენა. თურქეთში ძლიერ მეტოქეებთან თანაბრად თამაშმა ბიჭების ფსიქოლოგიაზე დადებითად იმოქმედა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ 16-წლამდელთა ნაკრებს საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში 4 წლით უფროსებთან უწევდათ პაექრობა.

**- ახლა შემადგენლობაზეც ვთქვათ. ორი წლის წინათ გუნდს რომ კრიბავდით, ერთი-ორი გადაზრდილი აღმოჩნდა და მათი დათხოვნა მოგიხდათ. მსგავსი რამ ხომ არ განმეორდება?**

- არა. ამ მხრივ პრობლემები აღარ ყოფილა. კალათბურთის ფედერაციამ სპეციალურად გამოყო ადამიანი, რომელიც ასაკგადაკეთებულებს ააშკარავებს. თუკი ვინმეს ასაკთან დაკავშირებით ეჭვი ჩნდება, ეს პიროვნება ყველაფერს დეტალურად იკვლევს. ასე რომ, წლოვანების დაკლება ნებისმიერ კალათბურთელს დიდ პრობლემას უქმნის და, რაც მთავარია, გადაზრდილი ნაკრებში ველარ მოხვდება.

**- თურქეთში მოთამაშეთაგან გუნდს ვინმე ხომ არ მიემატა, ან გამოაკლდა?**

- ტურნირზე არ გვყავდა გორელი ლევან რევაზიშვილი, რომელსაც ჯანმრთელობამ არ შეუწყო ხელი. ექიმებმა რომ გასინჯეს, უთხრეს ყველაფერი მოწესრიგდებაო. მან გლანდების ოპერაცია უკვე გაიკეთა და, იმედია, აღარანაირი პრობლემა აღარ ექნება. გუნდში იგი ყველაზე მაღალია (205 სმ) და ნაკრებს აშკარად გააძლიერებს. შეკრებაზე გვყავს კახა მუმლაძე, რომელიც „მეგას" ღირსებას იცავს, იგი დუბლების ჩემპიონატში კარგად თამაშობდა. ისიც მაღალია, ორ მეტრამდე აღწევს.

**- შეკრებაზე 15 კალათბურთელია. ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელ საბოლოო შემადგენლობას როდის გაარკვევთ?**

- ევროპის პირველობაზე 12 მოთამაშეს წავიყვანთ, მაგრამ საბოლოო სია როდის შედგება, ჯერ ძნელი სათქმელია. ყველაფერი შეკრებასა და საკონტროლო მატჩებში გამოაშკარავდება.

საუბრის ბოლოს კადეტთა მწვრთნელმა გელა წულაძემ ჩამოგვიწერა 15-კაციანი გაფართოებული სია:

უკანა ხაზი: **გიორგი ტეტელაშვილი, დავით გურაბანიძე, ირაკლი ჩერქეზიშვილი, შალვა კაკაურიძე, მერაბ ბოქოლიშვილი, დუდა სანაძე;**

ფორვარდები: **ნოდარ თენეიშვილი, ლევან ელაიძე, ნიკა მაღრაძე;**

ფორვარდ-ცენტრები: **გოგა ჯავახიშვილი, ნოდარ შარაბიძე, კახა მუმლაძე;**

ცენტრები: **ირაკლი ალხანაიძე, ლევან რევაზიშვილი.**

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# თექვსმეტი ქართველი თექვსმეტგუნდიან ლიგაში


ნანა ძაგნიძე

ივნისის ბოლო დეკადას ქართველ მოჭადრაკეთა მნიშვნელოვანი ნაწილი მეზობელი ქვეყნის, თურქეთის ტერიტორიაზე გაატარებს. თუმცა იქ დასასვენებლად ნამდვილად არ წასულან - თურქეთის ლიგის გათამაშებაში ჩაერთნენ. თურქეთში რომ ჭადრაკის ბუმია, არაერთგზის ვამცნეთ მკითხველს. სხვადასხვა რანგის საერთაშორისო ტურნირის სიმრავლეც თვალსაჩინოა, თუმცა თურქული ჭადრაკის ხელმძღვანელებმა ადგილობრივი საკლუბო სისტემის განვითარებაც დაისახეს მიზნად და სერიოზულად მოჰკიდეს კიდეც ხელი. ამჯერად უმაღლეს ლიგაში 16 გუნდია. გუნდურ შეჯიბრებაში ერთდროულად 8 მოჭადრაკე თამაშობს. უმეტესობა, ცხადია, თურქია, მაგრამ მთავარ როლებში ლეგიონერები ჰყავთ, - ასეთი პოლიტიკით, ანუ ძლიერ უცხოელთა მიწვევით, მათ მაგალითზე თავიანთი ოსტატების გაზრდა სურთ. სტრატეგია სწორია და ვაგლახ, რომ საერთოდ,საკლუბო სისტემა ჩვენში ჩანასახის დონეზეც კი არ არსებობს: ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე წასვლის წინ თუ შეკოწიწდება ერთი გუნდი - გნებავთ ქალებში, გნებავთ - ვაჟებში და ამით გვინდა ხოლმე ფონს გასვლა. რეგულარული საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი კი ჰორიზონტზეც არ ჩანს. ამიტომაცაა, რომ ქართველი დიდოსტატები და მზარდი, ნიჭიერი ოსტატებიც თურქეთის და სხვა ქვეყნის კლუბებს „აფარებენ“ თავს, სადაც გვარიან სათამაშო პრაქტიკის გარდა, ფინანსურ სარგებელსაც იღებენ. ქართველთა საჭადრაკო შესაძლებლობები, მადლობა ღმერთს, თურქებისთვისაც მისაღებია და იწვევენ კიდეც ჩვენებურებს დიდი სიამოვნებით.

ამჯერად თურქეთში 16 ქართველი - 8 გოგონა და 8 ვაჟი გაემგზავრა. 16 ქართველი სულ 7 გუნდში გადანაწილდა. ესენია: „ტარსუს ზეკა სატრანჯი“, ქალაქ მერსინის გუნდი, რომელშიც **დავით ზარქუა, ანა მათნაძე** და **ქეთი წაწალაშვილი** ირიცხებიან; „თურქ ჰავა იოლარი სფორკლუბი“ (ქ. სტამბოლი) - **მერაბ გაგუნაშვილი, სალომე მელია**; „ერ-ბაქირ სფორი“ (დენიზლი) - **თამაზ გელაშვილი, ლევან აროშიძე, ნინო ხურციძე**; „სელჩუკ უნივერსიტესი“ (კონია) - **მიხეილ მჭედლიშვილი, სოფიო გვეტაძე**; „ჩალისფორი“ (ანთალია) - **კონსტანტინე შანავა, ლელა ჯავახიშვილი**; „ტრუვა სატრანჯ სფორ კლუბი“ (ადანა) - **ნანა ძაგნიძე**; „სერვერგზი ბელედიე სფორი“ (დენიზლი) - **დავით არუთინიანი, თორნიკე სანიკიძე, მაია ლომინეიშვილი.**

როგორც ხედავთ, თანამედროვე ქართული ჭადრაკის წამყვანი დიდოსტატები მრავლად არიან სიაში. რაც თურქულ ლიგას ნამდვილად მატებს პრესტიჟს, თუმცა არც სხვა ქვეყნებიდან წასულები არიან ნაკლები ძალისა - აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან და რუსეთიდანაც კი თამაშობენ საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის დიდოსტატები.

თურქულმა ლიგამ 24 ივნისს აიღო სტარტი და 15 ტურად ჩატარდება. პარტიის ხანგრძლივობა 90 წუთია, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. თანამედროვე ჭადრაკში დროის ასეთი კონტროლია უპირატესი და მოჭადრაკეები მიჩვეულნი არიან, მაგრამ ამჯერად ყველას დიდი ჯაფა დაადგება: დღეში ორ-ორ კლასიკურ პარტიას ითამაშებენ - დილის 10 საათზე და საღამოს ხუთის ნახევარზე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ასეთი კონტროლით პარტია 4 საათამდე და მეტიც კი გრძელდება, მონაწილეები საკმაოდ მკაცრი ფსიქოლოგიურ-ფიზიკური გამოცდის წინაშე დადგებიან. თითო პარტიის თამაში მხოლოდ სამჯერ უწევთ მოჭადრაკეებს: 26 ივნისს, 29 ივნისს და ბოლო დღეს - 2 ივლისს. 26 და 29-ში ტური საღამოს - ხუთის ნახევარზე დაიწყება, ბოლო დღეს კი დილის ათ საათზე.

საღამოს გამართული პარტიები გვიან სრულდება, ამიტომ თქვენი ნებართვით, გუშინდელი ტურის შესახებ ხვალ მოგახსენებთ, დღეს კი ოთხი ტურის შედეგებს გაგაცნობთ.

ოთხი ტურის შემდეგ ოთხი გამარჯვებით და მაქსიმალური ქულათა რაოდენობით სამი კლუბი ლიდერობს 8-8 ქულით. შევნიშნავთ, რომ მოგებისთვის გუნდს 2 ქულა ეწერება, ყაიმის შემთხვევაში - 1; წაგებისთვის - ნული. ამას გარდა,დაითვლება ქულები პარტიების მიხედვით - ანუ ვისაც პარტიათა დაჯამებით მეტი ქულა აღმოაჩნდება, საერთო ქულების თანაბრობის შემთხვევაში, უპირატესობას ამ დამატებითი მაჩვენებლით მიიღებს.

ლიდერებში ქართველთა კლუბებიც არიან, რაც ძალზედ სასიამოვნოა, მაგრამ აუტსაიდერებშიც მოიძებნებიან „ჩვენებურები“.

პირველ ადგილზე 8 ქულით „ტრუვა სატრანჯ სფორ კლუბია“; დამატებითი მაჩვენებლით დღეისთვის ამ გუნდს ყველაზე მაღალი - 32,5 ქულა აქვს. ქართველთაგან აქ მხოლოდ ნანა ძაგნიძე თამაშობს. მეორე ადგილზეა „დორუკ კოლეჯი - 7 ქულა (27). აქ ქართველი არ არის. მესამე ადგილზე „სერვერგზი ბელედიე სფორია“ - 8 ქულა (26,5). ამ კლუბში დავით არუთინიანი, თორნიკე სანიკიძე და მაია ლომინეიშვილია. მეხუთე ადგილზე მერაბ გაგუნაშვილისა და სალომე მელიას „თურქ ჰავა იოლარი სფორკლუბია“ 6 ქულით (24); მეშვიდეზეა დავით ზარქუას, ანა მათნაძისა და ქეთი წაწალაშვილის „ტარსუს ზეკა სატრანჯი“ - 4 (21); მეცხრე ადგილზეა კონსტანტინე შანავასა და ლელა ჯავახიშვილის „ჩალისფორი“ - 4 (17); მეათეზე თამაზ გელაშვილის, ლევან აროშიძისა და ნინო ხურციძის „ერ-ბაქირ სფორი“ - 2 (20,5); ბოლო ადგილზე კი მიხეილ მჭედლიშვილის და სოფიო გვეტაძის „ჩელჩუკ უნივერსიტეტია“ – 0 ქულა (9,5).

რამდენიმე „ქართული“ გუნდის აუტსაიდერობა მოულოდნელი იყო, მაგრამ ჩვენებურთა კარგ თამაშს თურქი მოჭადრაკეები სათანადოდ ვერ უბამენ მხარს და მარცხის მიზეზიც ეს არის. როგორც გითხარით, გუნდები ერთდროულად 8 დაფაზე ასპარეზობენ და ქართველთა მოპოვებულ ქულებს სხვების მიმატებაც აუცილებლად ესაჭიროება, რათა გუნდური გამარჯვება მოიპოვონ.

**ზვიად შათირიშვილი**

ჩოგბურთი

# ტურნირები ქართველთა მონაწილეობით

## მაკა წყვილებში ყოჩაღობს

პადოვაში, ქალ ჩოგბურთელთა ტურნირში (25 ათასი დოლარი) აუტანელი სიცხის გამო, როგორც გუშინ გაცნობეთ, **მაკა ჩახნაშვილმა** ვერ შეძლო ბრძოლის დასრულება იტალიელ **ალისე მორონისთან** მატჩში და ერთეულთა თანრიგიდან გამოვარდა. თუმცა მაკამ მოახერხა მეორე დღეს განახლებული ძალებით ტურნირის წყვილთა ბადეში არა მხოლოდ თამაში, გამარჯვებაც. ჩახნაშვილი და რუსი **მარინა შამაიკო** წყვილებში პირველ ნომრად არიან განთესილები, ისინი პირველი წრისგან თავისუფლები იყვნენ. მეოთხედფინალში ქართველსა და რუსს იტალიელი **ფრანკინისა** და ხორვატი **დოზის** დუეტი შეხვდა, ტურნირის ფავორიტებმა იოლად მოიგეს – 6:2, 6:3. ახლა „ტორნეო პორშეს“ ფინალში გასასვლელად მაკასა და მარინას რუმინელების (**პერიანუ, უნგური**) დამარცხება სჭირდებათ.

## ლაზარე აღარ ხუმრობს

**ლაზარე კუხალაშვილი** აღარ ხუმრობს – 17 წლის ჩოგბურთელმა ლიმერიკის საერთაშორისო ტურნირის (15 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ტურნირიდან გააღწია. თუმცა უცნობმა და ურეიტინგო ქართველმა იქაც გააგრძელა ირლანდიური პუბლიკის გაოცება. ლაზარე ლიმერიკის დარბაზში ხელოვნურბალახიან კორტზე მარჯვედ სცემს ჩოგანს. გუშინ მან მერვედფინალიდან მსოფლიო კლასიფიკაციის 508-ე ჩოგანი და ტურნირზე მე-7 ნომრად განთესილი, 22 წლის ბრიტანელი **ედუარდ სიტორი** დაამარცხა – 6:4, 6:3. ლაზარე უკვე მეოთხედფინალშია, სადაც მას ინდოელი **ჰარშ მანკადი** (674) შეხვდება. მანკადი 28 წლისაა, ორი წლის წინათ ის მსოფლიოს 222-ე ჩოგანი იყო. მერვედფინალში მან ტურნირის პირველი ჩოგანი, ფრანგი **თომას ოგერი** (287) დაამარცხა – 3:6, 6:1, 6:2.

## მეტრეველის წინსვლა

გუშინ, ევროპული ჩოგბურთის ორგანიზაციამ 14 და 16-წლამდელ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც შეიტანეს თბილისის საერთაშორისო ტურნირის, „ავსტრიის ავიახაზების თასის“ შედეგები. სწორედ, ამ ტურნირზე გამარჯვებისთვის 16-წლამდელ ბიჭებში ქართველთაგან საუკეთესო რეიტინგი **ალექსანდრე მეტრეველ უმცროსს** აქვს. 14 წლის მეტრეველი ევროპელებში 202-ე პოზიციაზეა. ოთხივე სიაში უამრავი ქართველია, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ამიტომ მხოლოდ შედარებით მოწინავეთა პოზიციებს გაგაცნობთ. 16-წლამდელ ბიჭებში მეტრეველის შემდეგ მოდიან: 239. **დავით ხუციშვილი** – 65 ქულა; 350. **შოთა პაიჭაძე** – 40; 370. **გიორგი ცივაძე** – 39; 395. **ბიძინა ამაშუკელი** – 35. 16-წლამდელ გოგონებში, ამ ასაკში, ისევე როგორც მთლიანად ქართულ ჩოგბურთში, უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, ვიდრე ბიჭებში. **სალომე კვიტაიშვილი**, რომელიც ჯერ 14 წლისაა, 16-წლამდელთა ევროპულ რეიტინგში 155 ქულით 61-ე ჩოგანია, მისგან შორს არ არიან **ნინო მებუკე** – 150 ქულა, 69-ე ჩოგანი და **გვანცა რობაქიძე** – 130 ქულა, 93-ე ჩოგანი. გამოვარჩევთ **ნინო სუჯაშვილსაც**, რომელიც 54 ქულით 295-ე პოზიციაზეა, თან ის ახლახან გახდა 14 წლისა.

14-წლამდელთა რეიტინგში, ბიჭებში მხოლოდ **ნიკა დოლიძის** გამოყოფა შეიძლება, რომელიც 65 ქულით 190-ე პოზიციაზეა. გოგონებში **ანი გოგვაძე** 105 ქულით 150-ე ადგილზეა, ხოლო **ნინო სუჯაშვილი** (რომელიც ორი წლით უფროსების რეიტინგშიცაა) 104 ქულით 154-ე ჩოგანია. სხვები: 173. **თამარ კომახიძე** – 94 ქულა; 197. **ბარბარე ერისთავი** – 82; 274. **ირინა თოიძე** – 52.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ალექსანდრე მეტრეველი

# გამარჯვება ძველებისაა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა **ვახტანგ ქარსელაძის** ხსოვნისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 8, 10, 12 და 14-წლამდე ასაკის გოგო-ბიჭები მონაწილეობდნენ. ტურნირი გუნდური სისტემით ტარდება - ერთ გუნდში სამი ვაჟი და ერთი გოგოა. შეჯიბრება ერთგვარი რესპუბლიკური დათვალიერებაა, - აქ ნაჩვენები შედეგები მწვრთნელთა გარჯას უსვამს ხაზს და სხვაგვარად მწვრთნელთა ტურნირიც კი შეგვიძლია ვუწოდოთ. გუნდებსაც ისინი ადგენენ.

ტრადიციულად, ის მწვრთნელები მოიაზრებიან, ვისაც ათეული წლებია, ქართულ ჭადრაკში უმოღვაწია: **გივი გოგიჩაიშვილი, გოგი მაჭარაშვილი, დავით გურგენიძე, ზაზა ჭკუასელი, მაკა ხანთაძე** და სხვები. ამჯერადაც ამათ შორის გაიმართა მთავარი ბრძოლები და თუ ვინ გაიმარჯვა, ოდნავ მოგვიანებით მოგახსენებთ.

მანამდე შეგახსენებთ, რომ ტურნირი ორ ეტაპად გაიმართა. პირველ ეტაპზე შვეიცარიული სისტემით, 5 ტურად ითამაშეს, მეორეზე კი ოლიმპიური სისტემით გაარკვიეს უძლიერესნი. 8, 10 და 12-წლამდელებში გუნდების რაოდენობა დიდი იყო, 14-წლამდელებში კი - სულ 8 შეიკრიბა და ამიტომ გადამწყვეტი ეტაპი წრიული სისტემით გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ ფავორიტ მწვრთნელებს ყველა ასაკში ჰყავდათ გუნდები. ცხადია, ასეთი მიდგომა კარგია და მისასალმებელი, მაგრამ დასავლეთი საქართველოდან მხოლოდ ერთი გუნდი იყო ჩამოსული - სენაკის “გამბიტი-4”, რაც ნამდვილად დიდი დანაკლისია ნებისმიერი ტურნირისთვის. დასავლეთ საქართველოში ჭადრაკი ყოველთვის იყო და დღემდე რჩება ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობად.

“გამბიტი 4-მა”, მწვრთნელი **მერაბ ჯლამაძე**, 12-წლამდელებში იასპარეზა საკმაოდ წარმატებულადაც - მესამე ადგილზე დაასრულა ტურნირი. ამ ასაკში პირველი ადგილი **გივი გოგიჩაიშვილის** გუნდმა - “რუსკა და გიომ” დაიკავა. მეორეზე **სოსო კვირიაშვილის** “კახეთია”.

გივი გოგიჩაშვილის შეგირდებმა ოსტატი 14-წლამდელების ტურნირში გამარჯვებითაც გაახარეს - ამ გუნდსაც “რუსკა და გიო” ჰქვია. მეორე ადგილი გოგი მაჭარაშვილის “აისმა” დაიკავა; მესამეზე **ზაზა ჭკუასელის** გუნდი - “147 საჯარო სკოლა” - გავიდა.

გივი გოგიჩაიშვილის შეგირდთა წარმატებაზე ორიოდე კვირის წინაც ვწერდით, როცა 12-წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა საქართველოს ჩემპიონატში ვაჟთა შორის **ირაკლი ბერიძემ** იმარჯვა, გოგონებში კი ჩემპიონი **დეა გოგიშვილი** გახდა. დეა და ირაკლი ამჯერადაც თამაშობდნენ და თავიანთი გუნდების გამარჯვებაში ლომის წილი დაიდეს...

10-წლამდელთა შორის დავით გურგენიძის ხელმძღვანელობით მოასპარეზე “მამლაყინწებმა” იმარჯვეს. როგორც იცით, ბატონი დავითი ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორია და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონიც გახლავთ საჭადრაკო კომპოზიციების შედგენაში. რამდენიმე წელია, მან სამწვრთნელო საქმიანობას მიჰყო ხელი და - წარმატებითაც. მეორე ადგილზე “გორი-2” გავიდა, ვისაც **ოთარ დოლიძე** წვრთნის. მესამე ადგილზე **დავით ხიზანიშვილის** “საბურთალოა”.

8-წლამდელებში გიორგი მაჭარაშვილს “აისი” გახდა უძლიერესი. მეორე ადგილზე **მზია წერეთლის** “მიმინო” გავიდა; მესამეა დავით გურგენიძის “წიწილები”.

**ზვიად შათირიშვილი**

რაგბი. ტრანსფერები

# ავთანდილ კოპალიანმა კონტრაქტი გააფორმა

საფრანგეთში სატრანსფერო სეზონის დასრულებამდე ორი კვირაღა დარჩა. რამდენიმე ქართველი მორაგბე ახალ გუნდთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ახლახან კი ერთმა მათგანმა, შერკინების პირველხაზელმა **ავთანდილ კოპალიანმა** კონტრაქტი გააფორმა ფედერალ 1 დივიზიონიდან ელიტურ, მეორე დივიზიონში აღზევებულ “კოლომიესთან”. შეგახსენებთ, რომ აქამდე კოპალიანი პირველი დივიზიონის ბასკური კლუბის “ბაიონის” ღირსებას იცავდა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი. სუპერმძიმე წონა

# ვინ მოდის მომავლიდან?

**კრივის სამყარო ყველაზე პრესტიჟულ, სუპერმძიმე დივიზიონში ახალი, ქარიზმატული მებრძოლების გამოჩენას ელის. boxnews-ის აზრით, თანამედროვე კრივში ლიდერობაზე პრეტენზიის გამოცხადება რამდენიმე მძიმეწონოსანს შეუძლია. დღეს ამ მოკრივეებს გაგაცნობთ.**

### კრის არეოლა (27 წლის)
*კარიერა: 24 (22 ნოკაუტით)-0-0*
*პოზიცია რეიტინგებში: WBO - 9, WBA - 13, IBF - 10, WBC - 7*

დღეს **კრის არეოლა**, ალბათ, ყველაზე იმედისმომცემი ოკეანისგაღმელი სუპერმძიმეწონოსანია. ხუთწლიანი პროფესიული კარიერის განმავლობაში, მექსიკური წარმოშობის ამერიკელმა 24 ბრძოლიდან 22 ნოკაუტით მოიგო. აქედან 15 ორთაბრძოლაში მან პირველ ორ რაუნდში მოამთავრა საქმე.

სუპერმძიმე წონაში ქარიზმატული მოკრივეების აშკარა დეფიციტის ფონზე, არეოლას პიროვნება ძალიან დიდ ინტერესს იწვევს. მით უმეტეს, რომ კრისის მიერ დამარცხებული მოკრივეების სიაში, ბევრი ისეთი მებრძოლი მოინახება, რომლებსაც სუპერმძიმე წონაში თავისი სიტყვა ეთქმით. ასე მაგალითად, 2007 წელს, WBC Continental Americas-ის ვაკანტური ტიტულისთვის ბრძოლაში, არეოლამ მესამე რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა **ტომას ჰეისი**, რომელსაც მანამდე, 26 ბრძოლაში მხოლოდ ერთი შეხვედრა ჰქონდა წაგებული.

2008 წელი გარდამტეხი უნდა იყოს ამერიკელი მოკრივისთვის. 21 ივნისს, არეოლამ კიდევ ერთი იმედისმომცემი მოკრივე, **ჩაზ უეზერსპუნი** მესამე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა. წინასწარ იყო ცნობილი, რომ ამ ბრძოლის გამარჯვებული ცნობილ ზელანდიელ მძიმეწონოსან **დევიდ ტუას** შეხვდებოდა. ამ უკანასკნელის დამარცხების შემთხვევაში, არეოლას უკვე შეეძლება სატიტულო ბრძოლაზე ფიქრი.

### კევინ ჯონსონი (28 წლის)
*კარიერა: 19 (6 ნოკაუტით)-0-1*
*პოზიცია რეიტინგებში: WBA - 7, WBC - 17*

მიუხედავად სოლიდური ასაკისა, აქამდე ჯონსონმა პროფესიულ კარიერაში მხოლოდ 19 ბრძოლის ჩატარება მოასწრო. მაგრამ მის მიერ დამარცხებული მოწინააღმდეგეების სია საკმარისი საბაბია იმისთვის, რომ ეს მოკრივე პერსპექტიულ სუპერმძიმეწონოსანთა შორის ჩავწეროთ.

კევინს არ აქვს მომაკვდინებელი დარტყმა, მაგრამ შესაშური რეაქციითა და სისწრაფით გამოირჩევა. ის ამ თვისებებს ძალიან კარგად იყენებს და მისი წყალობით, ხშირად მასხრადაც იგდებს მოწინააღმდეგეებს. ამერიკელის ერთ-ერთი საყვარელი ილეთია ბრძოლის დროს მაყურებლებთან ან თავის სეკუნდანტებთან საუბარი და შემდეგ, მოწინააღმდეგისთვის ასევე მოულოდნელად ბრძოლაში დაბრუნება.

### ჩაზ უეზერსპუნი (26 წლის)
*კარიერა: 23 (15 ნოკაუტით)-1-0*
*პოზიცია რეიტინგებში: WBC - 21*

ამ მოკრივეს მოყვარულებში კარგი კარიერა ჰქონდა და აქამდე, პროფესიონალებშიც დაუმარცხებლად გამოდიოდა, მაგრამ როგორც ზემოთ ვთქვით, 21 ივნისს არეოლასთან წააგო. მიუხედავად ამისა, სპეციალისტებს სჯერათ, რომ უეზერსპუნს დიდი მომავალი აქვს და ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ცნობილი პრომოუტერის, **ლუ დი ბელას** მფარველობას ასახელებენ.

ჯონსონის მსგავსად, უეზერსპუნსაც არ აქვს ძლიერი მუშტი, მაგრამ დარტყმების ინტენსივობით გამოირჩევა, რითაც მოწინააღდეგეს არაქათს აცლის ხოლმე. აგრეთვე აღნიშვნის ღირსია მოკრივის ტექნიკა და მოქმედების სისწრაფე.



კრის არეოლა

### ტრევის უოლკერი (28 წლის)
*კარიერა: 27 (21 ნოკაუტით)-1-1*
*პოზიცია რეიტინგებში: WBO - 8, WBC - 14*

**უოლკერი** დიდების მწვერვალისკენ პირდაპირი გზით მიდის და პირადად უსწორდება თავის დივიზიონში ახალგაზრდა და ნიჭიერ კოლეგებს. თავიდან, 2006 წელს ტრევისმა კარიერაში პირველი მარცხი აგემა **ჯეისონ ესტრადას**, ნახევარი წლის შემდეგ კი, კიდევ ერთი კონკურენტი - **ჯორჯ გარსია** ჩამოიცილა გზიდან. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ წარმატებებმა ამერიკელს თავბრუ დაახვია და გასული წლის ოქტომბერში, **ტი ჯეი უილსონთან** ბრძოლაში, მან მოახერხა და პირველივე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით წააგო. ხუთი თვის შემდეგ, ამ მოკრივეებს შორის მატჩ-რევანში გაიმართა და უოლკერმა დაამტკიცა, რომ ოქტომბრის მარცხი შემთხვევითობა იყო. უილსონი მეორე რაუნდში ნოკაუტში აღმოჩნდა.

ტრევისს ინტერვიუების მიცემა უყვარს და უკვე დღეს, ხშირად აცხადებს, რომ მოქმედ მსოფლიო ჩემპიონებთან, **სამუელ პიტერთან** ან **ვლადიმერ კლიჩკოსთან** სურს ბრძოლის ჩატარება. მაგრამ, სანამ უმაღლეს დონეზე გავა, ტრევისისთვის უმჯობესი იქნება თავის უკეთ დაცვა ისწავლოს და ტაქტიკა გაამრავალფეროვნოს.

აქვე, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ამერიკელი მწვრთნელის, **დიკ ვუდის** მონათხრობი. როგორც გაირკვა, 2005 წელს, უოლკერი **ვიტალი კლიჩკოს** სპარინგ-პარტნიორი იყო და ერთ-ერთ ვარჯიშზე, ტრევისმა უკრაინელის ნოკდაუნში გაგზავნა შესძლო. ვუდის სიტყვებით, შესაძლოა ამ ფაქტმა აიძულა კიევის არშემდგარი მერი, მალე დაესრულებინა პროფესიული კარიერა.

### ედი ჩემბერსი (26 წლის)
*კარიერა: 30 (16 ნოკაუტით)-1-0*
*პოზიცია რეიტინგებში: IBF - 8*

აქ ჩამოთვლილ მებრძოლებს შორის, კრივის მოყვარულები ჩემბერსს ყველაზე კარგად იცნობენ. ედიმ რუს **ალექსანდრ პოვეტკინთან** IBF-ის ვერსიით აუცილებელი პრეტენდენტის სტატუსის მოსაპოვებელი ბრძოლა გამართა. მაშინ ამერიკელმა 12-რაუნდიანი ბრძოლის შემდეგ, მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, კარიერაში პირველი მარცხი ინვნია, მაგრამ ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ ჩემბერსმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია გამოცდილ მეტოქეს და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა.

სპეციალისტები აღნიშნავენ ჩემბერსის სისწრაფესა და რეაქციას, თუმცა მოკრივის ნაკლსაც უსვამენ ხაზს - ეს არის ამ წონითი კატეგორიისთვის მოკრძალებული გაბარიტები (სიმაღლე - 185 სმ, წონა - 99 კგ) და არც ისე ძლიერი დარტყმა.

**გია თვალაბეიშვილი**

ჩოგბურთი

# მაკინროი საკუთარ ნახატს ყიდის



ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი **ჯონ მაკინროი**, სოტბის აუქციონის მეშვეობით 700 ათასი დოლარის შოვნას აპირებს.

ამერიკელმა გასაყიდად გამოიტანა მხატვარ **ენდი უორჰოლის** სურათი, რომელზეც თავად ჩოგბურთელი და მისი ყოფილი მეუღლე, **ტატუმ ო'ნილი** არიან გამოსახულნი. 1x1 მეტრის ზომის სურათი 1986 წელს არის შექმნილი.

*"დღევანდელ ბაზარზე ასეთი ტილოების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი შეინიშნება. ამიტომაც მიმაჩნია, რომ უორჰოლის ნამუშევრის გასაყიდად ოპტიმალური დრო შევარჩიე"*, - აცხადებს მაკინროი.

მაკინრომ წინასწარვე გამოაცხადა, რომ აუქციონზე აღებული თანხის დახარჯვას ქველმოქმედებაში აპირებს.

**გია თვალაბეიშვილი**

ჰოკეი

# ლეკავალიე ტამპაში დაამთავრებს

"ტამპა ბეი ლაითნინგის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, სამუდამო მფლობელობაში დაიტოვოს გუნდის ლიდერი **ვენსან ლეკავალიე**. მხარეებმა პრაქტიკულად, მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, კანადელი ფორვარდი კარიერის ბოლომდე "ტამპას" რიგებში ითამაშებს.

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში თავისუფალი აგენტების ბაზარი 1 ივლისს გაიხსნება და სწორედ მაშინ გამოაცხადებენ ოფიციალურად ამ გარიგების შესახებ. წინასწარი ინფორმაციით კი ცნობილია, რომ 28 წლის ლეკავალიე 9-წლიან კონტრაქტს აფორმებს, რომლის მიხედვითაც, ჯამში 77 მილიონ დოლარს მიიღებს.

"ტამპამ" ლეკავალიე 1998 წლის დრაფტზე პირველ ნომრად აიყვანა. ფორვარდი გუნდის ყველა დროის რეკორდსმენია ჩატარებული მატჩებისა და დაგროვილი ქულების მიხედვით. ჰოკეისტის მოქმედი 4-წლიანი კონტრაქტი (27.5 მილიონი დოლარი) მომავალი წლის ზაფხულში იწურება.

გასულ სეზონში, ლეკავალიემ რეგულარულ ჩემპიონატში 81 მატჩი ჩაატარა და 92 ქულა (40+52) დააგროვა, რითაც ბომბარდირთა დავაში მეშვიდე ადგილი დაიკავა. აპრილის შუა რიცხვებში მას მხარის ოპერაცია გაუკეთეს, თუმცა ახალი სეზონისთვის ლეკავალიე სრულ მზადყოფნაში იქნება.

**გია თვალაბეიშვილი**

ავტოსპორტი

# BMW სენას გაიფორმებს

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, 1994 წელს ტრაგიკულად დაღუპული **აირტონ სენას** ნათესავი, **ბრუნო სენა** ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს "BMW-ზაუბერთან". ამის შესახებ გერმანული Sport Bild იუწყება.

ბრაზილიელი პილოტი ამჟამად GP2-ის სერიაში გამოდის და საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე იმყოფება. სავარაუდოდ, სენა გერმანულ-შვეიცარიული საჯინიბოს ტესტ-პილოტი გახდება, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ის საპრიზო პილოტის რანგშიც მოგვევლინოს. ბრუნოს ფორმულა 1-ში გზის გაკვალვაში "ტორო როსოს" თანამფლობელი, აირტონ სენას მეგობარი და ყოფილი თანაგუნდელი, **გერჰარდ ბერგერი** ეხმარება.

როგორც Sport Bild წერს, ბერგერი ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებდა "BMW-ზაუბერის" შეფთან, **მარიო ტიისენთან**, რომელთანაც, თავის დროზე, კომპანია BMW-ის სპორტული განყოფილების დირექტორის თანამდებობას იყოფდა.



აირტონი და ბრუნო

**გია თვალაბეიშვილი**

მძლეოსნობა. ვარსკლავი

# პისტორიუსს ვადა გაუგრძელეს

სამხრეთ აფრიკის მძლეოსნობის ფედერაციამ, ამავე ქვეყნის უფეხო სპრინტერ **ოსკარ პისტორიუსს** პეკინის ოლიმპიადისთვის კვალიფიკაციის გასავლელად ვადა გაუგრძელა. შეგახსენებთ, რომ პისტორიუსს ორივე ფეხის ამპუტაცია ჯერ კიდევ 11 წლის ასაკში, თანდაყოლილი ანომალიის გამო ჩაუტარდა. მაგრამ ნახშირბადოვანი პროთეზის წყალობით, ის სრულფასოვანი ადამიანივით გადაადგილდება, სარბენ ბილიკზე კი ხშირად, ჯანმრთელ სპორტსმენებსაც კი უწევს კონკურენციას.

ამის გამო, მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის მიერ შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ, რომელმაც კონსულტაციები დარგის სპეციალისტებთან გაიარა, დაადგინა, რომ პისტორიუსს მისი მაღალტექნოლოგიური პროთეზი ჯანმრთელ მორბენლებთან გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს და ამის გამო, მას ოფიციალურ ტურნირებში გამოსვლის ნებართვა ჩამოართვა.

საარბიტრაჟო სასამართლომ კი ეს გადაწყვეტილება გააუქმა და პისტორიუსს პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება აღუდგინა. მაგრამ სასამართლო გარჩევებსა და სხვადასხვა ფორმალობებზე პისტორიუსმა ის დრო დაკარგა, რომელიც ვარჯიშისთვის უნდა გამოეყენებინა. სწორედ ამიტომ, სამხრეთ აფრიკის ფედერაციამ მას ოლიმპიადაზე კვალიფიცირებისთვის ვადა გაუგრძელა.




ფედერაციის გადაწყვეტილებით, პისტორიუსს უფლება აქვს, 16 ივლისამდე მოიპოვოს პეკინის საგზური. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სპრინტერი 400 მეტრს 45.55 წამში გაირბენს. შედარებისთვის, პისტორიუსისთვის, ვინც ათენის პარალიმპიურ თამაშებზე 200 მეტრზე სპრინტში ჩემპიონი გახდა, 100 მეტრზე სპრინტში კი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა, კარიერის საუკეთესო დრო 46.33 წამია.

*"რეალურად, ყველაზე მეტი შანსია, რომ ესტაფეტის გუნდში მოვხვდე. სამხრეთ აფრიკაში, 400 მეტრზე სპრინტში ტოპ-მორბენლებს შორის ვარ. აქ ხუთ-ექვს კაცს შეარჩევენ და მათ შორის აუცილებლად მოვხვდები. შარშან, ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილი დავიკავე და ის, ვისთანაც დავმარცხდი, სპორტიდან წავიდა. მოკლედ, ამჟამად მინიმუმ სამეულში ვარ"*, - ამბობს პისტორიუსი, ვინც ოქროს ლიგის სერიის ტურნირების (რომი, ლუცერნი) გარდა, მილანის ტურნირზე გამოსვლასაც გეგმავს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. უიმბლდონი

# ერთ დღეში სამი ფავორიტი



ტიპსარევიჩმა ყუმბარმტყორცნი როდიკი გააჩერა

წლევანდელ უიმბლდონზე დღე ისე არ გაივლის, რომელიმე მაღალი განთესვის ჩოგბურთელმა ტურნირი არ დატოვოს. ამ მხრივ, გამონაკლისი არც მეოთხე დღე იყო, რომელმაც სიურპრიზად მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის, რუსი **მარია შარაპოვას** ნაგება შემოგვთავაზა. რუსი ლამაზმანის გარდა, ტურნირი მეორე წრეშივე დატოვეს ამერიკელმა (ასევე ყოფილმა პირველმა ჩოგანმა) **ენდი როდიკმა** და სლოვაკმა **დანიელა ჰანტუხოვამ**.

რა თქმა უნდა, ამ სამეულიდან ყველაზე დიდი მოულოდნელობა შარაპოვას ნაგება იყო, რადგან ის ბოლო ხანს საკმაო სტაბილურობით გამოირჩევა. როდიკს ჩვეულად თამაშის საშუალებას ხშირი ტრავმები არ აძლევს, ჰანტუხოვა კი, სტაბილურობით ვერასოდეს დაიკვეხნიდა და მისგან დიდი სლემის ტურნირის მოგება უფრო სიურპრიზი თუ იქნება, მაგრამ მოსალოდნელი არც ასე ადრე გავარდნა იყო.

შარაპოვას ტურნირი მისივე თანამემამულე **ალა კუდრიავცევამ** დაატოვებინა, როდიკი სერბმა **იანკო ტიპსარევიჩმა** გამოაგდო, ვინც მებრძოლი სულისკვეთებით გამოირჩევა და ყუმბარისებური მოწოდების მქონე ამერიკელს ბურთის ბრწყინვალე მიღებით მოუგრიხა კისერი. რაც შეეხება ჰანტუხოვას, მას კარისკენ რუსმა **ალისა კლეიბანოვამ** მიუთითა, ჩოგბურთელმა, ვისი სახელიც აქამდე ჩოგბურთის მხოლოდ თავგადაკლულ ფანებს თუ გაეგოთ.

შარაპოვამ, ვისაც უიმბლდონი 2004 წელს აქვს მოგებული, 2003 წლის შემდეგ დიდი სლემის ტურნირი ასე ადრეულად პირველად დატოვა. 20 წლის კუდრიავცევა ტურნირის წინ, რეიტინგში 154-ე ადგილზე იყო და ბუნებრივია, მისგან ფავორიტის დამარცხებას არავინ ელოდა. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ შარშან, უიმბლდონზევე, მან მედგარი წინააღმდეგობა გაუწია **ვენუს უილიამსს**, რომელიც მოგვიანებით ჩემპიონი გახდა.

ისევე როგორც წინა დღით სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს**, შარაპოვასაც მოწოდება არ გამოსდიოდა. რვა ორმაგი შეცდომა მისთვის უჩვეულოა. მით უმეტეს, რომ მათ კრიტიკულ მომენტებში უშვებდა, რვიდან სამი კი ერთ გეიმში დაუშვა(!!!). მათგან ბოლომ კუდრიავცევას მატჩ პოინტი მოაპოვებინა, რომელიც ქულად ორივე ხელით შესრულებული წალმა დარტყმით აქცია. გამარჯვების ქულა რომ მოიპოვა, კუდრიავცევას ისე გაუხარდა, იფიქრებდით, ტურნირის ფინალი მოიგო და ჩემპიონი გახდაო. ვერც გაამტყუნებ, მან ხომ კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

*"რა თქმა უნდა, ნაგება ყოველთვის სამწუხაროა. დღეს განსაკუთრებულად არ მწყალობდა იღბალი. ეს კი ალბათ იმის ბრალია, რომ ალამ მშვენივრად ითამაშა. მას დასაკარგი არაფერი ჰქონდა, ყველა ქულისთვის იბრძოდა. მე კი ინერტული ვიყავი. მოკლედ, ეს ჩემი დღე არ იყო"*, - თავი "იმართლა" შარაპოვამ, ვინც მანამდე კუდრიავცევას ერთხელ, საფრანგეთის შარშანდელ ლია პირველობაზე შეხვედრია და იოლად (6:1, 6:4) დაუმარცხებია.

ტიპსარევიჩმა როდიკისგან ეისების წვიმასაც გაუძლო. კუდრიავცევას მსგავსად, სერბიც ყველა ბურთისთვის გაშმაგებით იბრძოდა, რამაც მეტოქე სრულად განაიარაღა. არადა, ტურნირის დაწყებამდე როდიკი არ მალავდა, რომ პირველობისთვის ბრძოლას აპირებდა. მაგრამ ტურნირის მოგებას ვინ ჩივის, ასე ადრე უიმბლდონს პირველად დაემშვიდობა. ამგვარად, მამაკაცთა ბადე მოწინავე ექვსეულიდან უკვე სამმა ჩოგბურთელმა დატოვა. როდიკის და ჯოკოვიჩის გარდა, მარცხი რუსმა **ნიკოლაი დავიდენკომაც** იწვნია, ვინც ასპარეზობას პირველსავე დღეს გამოეთიშა.

დაბოლოს, ტურნირს გუშინვე კიდევ ერთი სახელოვანი ჩოგბურთელი, მისი ყოფილი ჩემპიონი (1999 წელი), ამერიკელი **ლინდსი დანვეპორტი** დაემშვიდობა. ოღონდ, მან ეს თავისი ნებით გააკეთა – მარჯვენა მუხლის ტრავმის გამო, კორტზე სათამაშოდ გამოსვლაც კი ვერ შეძლო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### კაცები. მეორე წრე

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 5:7, 6:2, 7:6(2), 6:3; **იანკო ტიპსარევიჩი (სერბ)**-ენდი როდიკი (აშშ, 6) 6:7(5), 7:5, 4:6, 7:6(4)**რიშარ გასკე (საფრ, 8)**-სებასტიან გროჟანი (საფრ) 6:2, 6:2 გროჟანი გამოეთიშა; **რაინერ შუტლერი (გერმ)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9) 6:3, 6: 7(8), 4:6, 6:4, 6:4; **ენდი მარი (ბრიტ, 12)**-ქსავიე მალისი (ბელგ) 6:4, 6:2, 6:2; **პოლ-ანრი მატიე (საფრ, 14)**-ჟერემი შარდი (საფრ) 6:3, 7:5, 7:6(1); **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 16)**-ვიქტორ ტროიცკი (სერბ) 6:7(1), 6:7(3), 6:3, 6:1, 6:2; **მიხაილ იუჟნი (რუს, 17)**-სტეფანოგალვანი (იტა) 4:6, 6:4, 6:3, 3:6, 6:3; **გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 19) 6:3, 3:6, 5:7, 6:1, 6:2; **ტომი ჰაასი (გერმ)**-ტომი რობრედო (ესპ, 23) 6:4, 6:4, 6:3; **მარინ ჩილიჩი (ხორვ)**-იარკო ნიემინენი (ფინ, 24) 6:4, 3:6, 6:3, 6:7(6), 7:5; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 25)**-კრის იტონი (ბრიტ) 7:6(2), 6:2, 6:4; **ნიკოლას კიფერი (გერმ, 27)**-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 6:0, 6:3, 6:1; **ჟილ სიმონი (საფრ, 28)**-აგუსტინ კალერი (არგ) 5:7, 6:2, 6:3, 6:4; **იურგენ მელცერი (ავსტ)**-ჯესი ლევინი (აშშ) 4:6, 6:2, 3:6, 6:4, 6:1; **არნო კლემანი (საფრ)**-ბენიამინ ბეკერი (გერმ) 7:6(7), 7:6(3), 6:3

### ქალები. მეორე წრე

**ელენა იანკოვიჩი (სერბ, 2)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ) 6:1, 6:3; **ალა კუდრიავცევა (რუს)**-მარია შარაპოვა (რუს, 3) 6:2, 6:4; **ელენა დემენტიევა (რუს, 5)**-ტიმეა ბაჩინსკი (შვეი) 4:6, 6:3, 6:3; **ვენუს უილიამსი (აშშ, 7)**-ანე კეოტავონგი (ბრიტ) 7:5, 6:2; **დინარა საფინა (რუს, 9)**-სუ-ვეი ჰსიჰი (ტაივ) 6:3, 6:2; **ალისა კლეიბანოვა (რუს)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 10) 6:3, 4:6, 6:1; **ტამარინ ტანასუგარნი (ტაილ)**-ვერა ზვონარევა (რუს, 13) 7:6(10), 4:6, 6:3; **ვიქტორია აზარენკა (ბელ, 16)**-სორანა კირსტეა (რუმ) 6:1, 6:3; **ნადია პეტროვა (რუს, 21)**-მარა სანტანჯელო (იტა) 6:4, 7:5; **აი სუგიამა (იაპ)**-ფლავია პენეტა (იტა, 22) 7:6(5), 2:6, 6:2; **შაჰარ პეერი (ისრ, 24)**-ემილი ლუა (საფრ) 6:3, 6:4; **ხისელა დულკო (არგ)**-ლინდსი დავენპორტი (აშშ, 25) დავენპორტმა არ ითამაშა; **შუაი პენი (ჩინ)**-სიბილ ბამერი (ავსტ, 26) 7:6(7), 4:6, 6:3; **კაროლინა ვოზნიაკი (დან, 31)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან) 6:1, 6:1; **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ)**-სანია მირზა (ინდ, 32) 6:0, 4:6, 9:7; **მარინა ერაკოვიჩი (ახ.ზელ)**-ჯულია გიორგესი (გერმ) 6:2, 7:6(5)

## TV სპორტი

### 27 ივნისი. პარასკევი

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**12:00** საფეხბურთო კლუბი.
**12:50** ევრო 2008. 1/2 ფინალი. ესპანეთი-რუსეთი.
**15:00** საფეხბურთო კლუბი.
**15:50** ევრო 2008.
**16:20** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:35** საფეხბურთო კლუბი.
**17:25** ევრო 2008. 1/2 ფინალი. ესპანეთი-რუსეთი.
**19:35** საფეხბურთო კლუბი.
**20:25** FUTBOL MUNDIAL
. საფეხბურთო ჟურნალი.
**21:00** საფეხბურთო კლუბი.
**22:00** ევრო 2008. 1/2 ფინალი. ესპანეთი-რუსეთი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

**07:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნოტინგემი. ბრიტანეთი.
**09:15** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ვერდერი-ვოლფსბურგი.
**10:55** ფეხბურთი. ევრო 2008. 1/2 ფინალი. ესპანეთი-რუსეთი.
**12:55** სპორტდოსიე. ფეხბურთი.
**13:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. რომა-ლაციო.
**15:10** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. მინესოტა-პიტსბურგი.
**16:45** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**17:15** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ბეტისი-ბარსელონა.
**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნოტინგემი. ბრიტანეთი.
**21:00** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**21:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა 2007-08. საუკეთესო მატჩები. მილანი-არსენალი.
**23:25** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. რომა-ლაციო.
**01:10** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ბეტისი-ბარსელონა.
**02:55** ფეხბურთი. ევრო 2008. 1/2 ფინალი. ესპანეთი-რუსეთი.
**04:55** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნოტინგემი. ბრიტანეთი.

#### EUROSPORT

**10:30** ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
**11:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
**11:30** ფეხბურთი. ევრო 2008. 1/2 ფინალი. გერმანია-თურქეთი.
**13:30** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-გერმანია. ვიეტნამი (LIVE).
**15:30** ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
**16:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდიის გრან პრი. კვალიფიკაცია (LIVE).
**18:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
**18:15** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ნორვეგია (LIVE).
**19:00** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-გერმანია. ვიეტნამი.
**19:30** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-დომინიკის რესპუბლიკა. ვიეტნამი (LIVE).
**20:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
**20:15** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-დომინიკის რესპუბლიკა. ვიეტნამი (LIVE).
**21:30** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-გერმანია. ვიეტნამი.
**22:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
**22:15** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. ტაილანდი-აშშ. პოლონეთი (LIVE).
**00:00** ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. გუნდური. გერმანია.
**00:30** რალი. IRC-ს სერია. I დღე. ბელგია.
**01:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
**01:30** ფეხბურთი. ევრო 2008. 1/2 ფინალი. ესპანეთი-რუსეთი.

#### EUROSPORT-2

**09:00** ახალი ამბები.
**09:15** ფეხბურთი. ევრო 2008. 1/2 ფინალი. გერმანია-თურქეთი.
**11:00** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ყაზახეთი. ვიეტნამი (LIVE).
**13:00** პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. 1/2 ფინალი. ისრაელი.
**14:00** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ნორვეგია (LIVE).
**15:00** ფეხბურთი. ევრო 2008. 1/2 ფინალი. გერმანია-თურქეთი.
**16:45** პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. პლეიოფი. ისრაელი (LIVE).
**17:45** პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. მე-3 ადგილისთვის. ისრაელი (LIVE).
**19:00** პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ფინალი. ისრაელი (LIVE).
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
**21:00** ექსტრემალური სპორტი.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** ოლიმპიზმი. მისია - პეკინი.
**22:15** რალი. IRC-ს სერია. I დღე. ბელგია (LIVE).
**22:45** ოლიმპიზმი. მისია - პეკინი.
**23:00** ფრენბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ავსტრია-თურქეთი. გერმანია.
**00:00** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-დომინიკის რესპუბლიკა. ვიეტნამი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:30** ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია (LIVE).
**01:45** ახალი ამბები.
**02:30** ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
**02:45** ახალი ამბები.
**03:30** ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
**03:45** რალი. IRC-ს სერია. I დღე. ბელგია.
**04:15** ახალი ამბები.
**04:30** ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
**04:45** რალი. IRC-ს სერია. I დღე. ბელგია.
**05:00** ახალი ამბები.
**05:30** ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
**05:45** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ფინეთი | |
|---|---|
| ჰონკა-ვაასა | 1:2 |
| იარო-ჰიკ | 1:1 |
| მარიეჰამნი-ინტერი | 1:1 |
| მიუპა-კტპ | 2:0 |
| როვანიემი-ლაჰტი | 2:2 |
| ტამპერე-კუოპიო | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ატლანტისი-გრიფკ | 2:2 |
| **შვედეთის თასი** | |
| ვალსტრა-იორგრიტე | 1:0 |

ინტერვიუ ლეიტონ ჰიუიტთან

# ტკივილისთვის ვარ დაბადებული

**უიმბლდონის ჩემპიონთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მოულოდნელი ტრიუმფატორი, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი ყოველთვის ამბობს, რომ ლონდონში მოგება, მის კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი და დაუვიწყარი მოვლენაა. ჰიუიტმა უიმბლდონი 2002 წელს დაიპყრო, მას მერე კი, საუკეთესო შედეგი 2005 წელს ჰქონდა, როცა ნახევარფინალში გასვლა მოახერხა, შარშან კი, ავსტრალიელ ვარსკვლავს ტრავმის გამო ბრიტანეთში საერთოდ არ უთამაშია.**

**ლეიტონი უკვე კარგა ხანია, რაც ყველაზე პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირების ფავორიტებში აღარ შედის, თუმცა მისი შეუპოვრობისა და გამოცდილების პატრონს, ნებისმიერ დროს შეუძლია სიურპრიზის შემოთავაზება. ავსტრალიელმა მეორე წრეში ესპანელ ალბერტ მონტანიესის იოლად (7:6, 6:0, 6:2) მოუგო, რის შემდეგაც ლეიტონს ჟურნალისტები გაესაუბრნენ.**

**- პირველ წრეში ხუთსეტიანი მარათონის შემდეგ, ამჯერად სამ სეტში მოგება, ალბათ, მისწრება იყო?**

- სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ამას მხოლოდ იმ კუთხით აქვს მნიშვნელობა, რომ ენერგიის დაზოგვა მოვახერხე და შემდეგი მატჩებისთვის უფრო დასვენებული ვიქნები. თანაც, ზურგი ჯერაც მაწუხებს და ეს გარკვეულ დისკომფორტს მიქმნის. თუმცა ბოლო ორი სეზონია, არ მახსოვს შემთხვევა, როდესაც სრულიად ჯანმრთელს მეთამაშოს. ალბათ, ტკივილისთვის ვარ დაბადებული (იცინის).

**- მონტანიესთან მატჩში მარათონული პირველი სეტის შემდეგ, ზედიზედ ცხრა გეიმის მოგება როგორ მოახერხეთ?**

- ზედიზედ 12 გეიმიც მომიგია, ოღონდ არ მახსოვს, როდის და რომელ საფარზე. მეტოქემ რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა, თანაც რამდენჯერმე ძალიან გამიმართლა.

**- დღეს წააგო ჯოკოვიჩმა, მანამდე გავარდნენ ნალბანდიანი, დავიდენკო, კარლოვიჩი... წლევანდელი უიმბლდონი სიურპრიზებით სავსე იქნება?**

- ვერ გეტყვით, რადგან პირველ ეტაპებზე მოულოდნელი შედეგები ადრეც დაფიქსირებულა. ჯოკოვიჩი ვილაც შემთხვევით მეტოქესთან არ დამარცხებულა, რადგან საფინი, თავისი დროზე, პირველი ჩოგანი იყო. თანაც, ბალახი ნოვაკის საყვარელი საფარი არ არის. კარლოვიჩზე და ნალბანდიანზე ვერაფერს გეტყვით. ალბათ, მაინც, საუკეთესო ფორმაში არ იყვნენ.

**- ფედერერის თამაშზე რას იტყვით?**

- როჯერი როჯერია და ნებისმიერ შემთხვევაში მთავარი ფავორიტია. თანაც, გავარდა ჯოკოვიჩი, რომელიც ნახევარფინალში ფედერერის პოტენციური მეტოქე უნდა ყოფილიყო. შვეიცარიელი მეორე კვირასაც რომ ითამაშებს, ეს ყველამ მშვენივრად იცის.

**- სულ მალე კი, ალბათ, სწორედ თქვენ მოგიწევთ მასთან შეხვედრა.**

- სავარაუდოდ ასე იქნება, თუმცა იქამდე მეც და როჯერმაც თითო მატჩი უნდა მოვიგოთ.

**- ადრე საუკეთესო ჩოგბურთელებს შორის შედიოდით, დღეს კი, იშვიათად ახერხებთ დიდი გამარჯვებების მოპოვებას. რამდენად შეგრჩათ კორტზე გასვლის მოტივაცია?**

- ჩოგბურთისგან დღესაც სიამოვნებას უდიდესს ვიღებ, სხვა საქმეა, რომ ფიზიკურად ჩემზე გაცილებით კარგად მომზადებულ მოთამაშეებთან მარათონული მატჩების მაღალ დონეზე, სტაბილურად ჩატარება უწინდელივით აღარ მიადვილდება. თუმცა ყველაფერს გავაკეთებ, რომ გულშემატკივრებს გული არ ვატკინო და საკუთარი პრესტიჟიც შევინარჩუნო.

**ზურაბ თალაკვაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტაქტიკური გაკვეთილები რენცო ულივიერისგან



**ვებ გვერდმა allenatore.net-მა თავის მკითხველებს იტალიის საფეხბურთო მწვრთნელთა ასოციაციის (AIAC) პრეზიდენტის, რენცო ულივიერის დიდი ინტერვიუ შესთავაზა. ცნობილი სპეციალისტი თანამედროვე საფეხბურთო ტაქტიკაზე საინტერესოდ საუბრობს და საჭიროდ ჩავთვალეთ ამ ინტერვიუს ფრაგმენტები თქვენთვისაც შემოგვეთავაზებინა.**

**- ათწლეულების მანძილზე, ფეხბურთში 4-4-2 სქემა ბატონობდა. მაგრამ ბოლო წლებში (განსაკუთრებით სპალეტის წყალობით), მან თანდათანობით ევოლუცია განიცადა და 4-2-3-1 სისტემად გადაიქცა. რაშია ამ წყობის უპირატესობა?**

- 4-2-3-1 - ეს არის 4-4-2-ის შვილობილი. და ის ნარმოქმნეს გუნდებმა, რომლებიც ყველაზე მეტად იყვნენ მიჯაჭვულნი 4-4-2 სქემაზე. ამ წყობებს შორის განსხვავება ძირითადად, შეტევით მოქმედებებში მდგომარეობს. წინ ორი ფორვარდის ნაცვლად, ერთი თავდამსხმელია გამწესებული, რომელსაც წნეხის ქვეშ ჰყავს ორი ცენტრალური მცველი. ამას ემატება კიდევ ერთი ფორვარდი, რომელიც სიღრმიდან მოქმედებს და ფლანგებზე განლაგებული შემტევი ნახევარმცველები, რომლებიც თავისუფალ ზონებს იპყრობენ. შედეგად, 4-2-3-1 მოდელის დროს, შეტევითი ფაზა შეიცავს ოთხ ფეხბურთელს ოთხი მცველის წინააღმდეგ. შესაძლებელია განაპირა შემტევი ნახევარმცველების ცენტრში გამოყენებაც. ბოლო ფორვარდს სხვადასხვა მახასიათებელი შეიძლება ჰქონდეს: მას შეუძლია შექმნას შეტევის უწყვეტი სიღრმე, ან გაწელოს დაცვის ხაზი (როგორც ამას "რომაში" ტოტი აკეთებს), ან მანევრირება გააკეთოს ერთი ან ორი პასის ჩარჩოში.

**- 4-2-3-1 სქემისას, მთავარი როლი მოედნის ცენტრის მოთამაშეებს ენიჭებათ. "რომასა" და "მანჩესტერ იუნაიტედში" ერთ ნახევარმცველს მეტოქის შეტევების ჩაშლა ევალება, მეორეს - შეტევების ორგანიზება. ეს იდეალური შეხამებაა?**

- ასე მარტივად არ არის. 4-4-2-ის დროს, ორი ცენტრალური ნახევარმცველი ფილტრის როლს ასრულებდა. ამჟამად კი, 4-2-3-1 სქემისას, ისინი ბრწყინვალე ჩამშლელები უნდა იყვნენ და ამავდროულად, ბრწყინვალე შემქმნელებიც. მსოფლიოში ასეთი ფეხბურთელები - თითზე ჩამოსათვლელები არიან.

**- ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ტოტი თავდამსხმელის პოზიციაზე თავისი ფიზიკური შესაძლებლობების ზღვარზე თამაშობს. როგორ ფიქრობთ, ხომ არ ღირს მისი სხვა პოზიციაზე გამოყენება?**

- მცდარია მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს ტოტიმ ფიზიკურად ძალიან მოუკლო. უბრალოდ შთამბეჭდავია ინტენსიურობა, რომლითაც ფრანჩესკოს მისთვის განკუთვნილ პოზიციაზე მიჰყავს თამაში (განსაკუთრებით ბოლო ან ბოლოსწინა პასის ფაზაში).

**- სამი მცველით დაცვის ორგანიზება ცოტათი სარისკო საქმეა. ალბათ, სწორედ ამიტომაც, "უბურთოდ მოქმედების" ფაზაში, 3-5-2 სქემა 5-3-2-ად გარდაიქმნება?**

- დიახ, ვიღებთ 5-3-2-ს. ან კიდევ, დაცვას როტაციული ოთხეულით, როცა ერთ-ერთი ლატერალი (განაპირა მცველი) მეოთხე მცველად იქცევა, ხოლო მეორე ნახევარდაცვაში რჩება. ამით, ერთგვარად მცირდება რისკი პოზიციური დაცვის დროს. მაგრამ შემდეგ, "ბურთის ფლობის" ფაზაში, პოზიციური შეტევისას მთელი დატვირთვა ორი ფორვარდის მხრებზე გადადის. თუმცა გასულ სეზონში, ჩვენ ამ წყობის ახალი ინტერპრეტაცია ვიხილეთ "სამპდორიის" შესრულებით, როცა პოზიციური შეტევისას, ორი ცენტრალური მცველის გარდა, კოლექტიური მოქმედებით ყველა მოთამაშე იყო დაკავებული.

**- 3-5-2-ის დროს, სასარგებლოა ისეთი მცველის ყოლა, რომელსაც ბურთის ტარება შეუძლია?**

- ამ მოდელის ძირითადი კონცეფცია - შეტევაში სწრაფი გადასვლაა. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ბურთი წინ რაც შეიძლება სწრაფი გადაცემებით უნდა მიიტანონ, და არა იმის ხარჯზე, რომ ერთ-ერთმა მცველმა ის ნახევარი მოედანი ათრიოს. მცველის მიერ ბურთის ტარების ერთადერთი საჭიროება მაშინ წარმოიქმნება, თუ მეტოქე ჩაკეტილ ფეხბურთს თამაშობს, ან მაშინ, როცა შეტევაში მყოფ მეტოქეს დასწრებაზე ართმევ ბურთს და კონტრშეტევაზე გადადიხარ.

**- 3-5-2 სქემის დროს რა თვისებები უნდა ჰქონდეთ განაპირა მცველებს?**

- ეს ორი მოთამაშე - ამ მოდელის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. თანაც, მათი ამოცანა საკუთარი მოქმედებების თანაბრად განაწილებაში მდგომარეობს. თუ ერთი ფრთა შეტევაში მიდის, მეორემ უკან უნდა დაიხიოს. ეს მოთამაშეები ვალდებულნი არიან არა მარტო მთელი ფლანგები გააკონტროლონ, არამედ შეტევა ცენტრისკენ გადასვლებითაც დააბალანსონ.

**- ფეხბურთის თანამედროვე სისტემებში დამკვიდრდა "გახსნილი" და "დახურული" ბურთით თამაშის კონცეფცია. რაში მდგომარეობს მათი არსი?**

- "გახსნილი" ბურთი - ესაა თამაში, რომლის დროსაც გუნდი "ბურთის ფლობით" რისკზე მიდის, მაგრამ თავისუფლად შეუძლია მეტოქის თამაში მისთვის სასურველი მიმართულებით წაიყვანოს. "დახურული" ბურთი - თამაშის ყველა დანარჩენი ფაზა გახლავთ. როცა "გახსნილი" ბურთის თამაშს პლეიმეიკერი იწყებს (განსაკუთრებით მაშინ, როცა მას სათანადო წინააღმდეგობას არ უწევენ), ეს ძალიან რთულია მეტოქის დაცვის ხაზისთვის. საქმე ისაა, რომ ასეთ შემთხვევებში, ფორვარდები ახერხებენ სიგანეზე შეტევისთვის და სიღრმეზე მოქმედებისთვის დროის გამონახვას. ამიტომაც ჩვენ, მწვრთნელები, როცა "გახსნილი" ბურთის სიტუაციას ვხედავთ, მცველებს საკუთარი კარისკენ გაქცევას ვურჩევთ.

**- რა არის 3-5-2 სქემის სუსტი მხარეები "უბურთოდ მოქმედების" ფაზაში?**

- პოზიციური შეტევისას ცენტრალური თავდამსხმელი და ორი "ფრთა", რაც შეიძლება ფართოდ უნდა მოქმედებდეს. მაგრამ ამასთან, დაცვით ფაზაში პროპორციული გადასვლისას, შეტევაში ეს სიგანე შენარჩუნებული უნდა იყოს (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ლატერალი უკან დაცვაში ბრუნდება). როცა ეს სიგანე დაცული არ არის, ცენტრალური მცველები ერთი ერთზე რჩებიან მეტოქის შემტევ ჯგუფთან.

**მოამზადა გია თვალაბეიშვილმა**

## ტაქტიკური სქემების საიდუმლოებები




ფორვარდის პოზიცია ქარის მიმართულებაზეა დამოკიდებული




რადიკალური, ეფექტური, შეუჩერებელი... (ბურთის სიჩქარე 297 კმ/სთ)




ყველანაირი ტაქტიკური სქემების გამოყენება




უკომენტაროდ




გაუვალი დაცვა, პასები ცენტრში, გადაცემა ფორვარდისკენ და... პენალტი




საკუთარ კარში გოლს თვითონ გაიტანენ. მეტოქის დახმარება საჭირო არ არის




შენიშვნა! წითელი წერტილი - ეს არა ბურთი, არამედ მთავარი მსაჯია




დარჩით სახლში და სხვა ფეხბურთს ტელევიზორში უყურეთ